ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru

№263 (322) 1-8 აპრილი 2014 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

მკვლელობა შავნაბადას რეზიდენციაში!

გაზეთ **“ილორის”** ამასწინანდელ ნომერში გამოქვეყნდა წერილი სათაურით **“ნაციონალური მოძრაობა დანაშაულებრივი ორგანიზაციაა”,** რომელშიც ვარაუდების დონეზე მოგვყავდა ის არგუმენტები, რომლებიც აშკარად მიანიშნებდნენ ამ არაქართული სულისკვეთების მქონე პოლიტიკური ორგანიზაციის დანაშაულებრივ საქმიანობაზე, რაც დაკარგული ტერიტორიებისა და ლამის ქვეყნის საბოლოოდ განადგურების ფასად დაუჯდა ჩვენს საზოგადოებას. ახლა კი, როცა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას მკვლელობის (და არა ბუნებრივად სიკვდილის, როგორც ამას ნაციონალთა აპოლოგეტები და, რაც მთავარია, ზურაბ ჟვანიას ყოფილი **“მეგობრები”** დღესაც პირზე დუქმომდგარად ამტკიცებდნენ) საქმე ფინიშის სწორზე გავიდა, უკვე აღარავის ეპარება ეჭვი, რომ ეს უდავოდ ნიჭიერი და საქმიანი ადამიანი სააკაშვილისა და მისი დანაშაულებრივი გარემოცვის ბინძური შეთქმულების მსხვერპლი გახდა.

დიახ, პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია სააკაშვილმა და მისმა ბანდიტებმა შავნაბადას რეზიდენციაში მოკლეს, ასევე მოკლეს რაულ უსუფოვიც და ჟვანიას გვერდზე მიუწვინეს, რათა საქმის საქმის გამოძიებას ხელი შეშლოდა იმ საბაბით, რომ დეტალების დაზუსტებას შეიძლებოდა ზურაბ ჟვანიას სახელისა და ღირსების შელახვა მოჰყოლოდა. ეს კი შეუძლებელს გახდიდა ზურაბ ჟვანიას მკვლელობის მოტივების დადგენას, მაგრამ, როგორც იტყვიან, სააკაშვილს და მის ნაცებს **“კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ...”**

ჟვანიას მკვლელობა კი საკმაოდ ეშმაკურად დაგეგმილი პროვოკაცია გახლდათ და შევარდნაძის ხელისუფლების მიერ პრაქტიკაში აპრობირებულიც, რადგან სწორედ ამ მეთოდით მოიშორეს თავიდან შევარდნაძის მიერ დაქირავებულმა მკვლელებმა ხელისუფლებისათვის არასასურველი ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე ნუგზარ საჯაია, ტელეჟურნალისტი გიორგი სანაია, სააკაშვილის მმართველობის ჟამს კი ფრიად საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა მეცენატი და საქართველოს დიდი გულშემატკივარი ბადრი პატარკაციშვილი, ზურაბ ჟვანიას გაურკვეველ ვითარებაში (იმ დროს!) დაღუპვის საქმეზე ექსპერტად მიწვეული ლევან სამხარაული...

სააკაშვილის მკვლელმა **“შნირებმა”** გურამ შარაძეს ვერ მოუხერხეს ვერაფერი, ვერ დააშინეს და ამიტომაც მოკლეს განსაკუთრებული სისასტიკითა და თავხედობით, ქალაქის ცენტრში, დღისით-მზისით, ყველას თვალწინ, ზუსტად ისე, როგორც მაწანწალა ძაღლებს კლავენ ხოლმე (მომიტევოს დიდი ქართველი მეცნიერის სულმა ამგვარი არაკორექტული შედარება, მაგრამ ყველა არასასურველი ოპოზიციონერი (გარდა მათ მიერ ოპოზიციონერად დანიშნული, გურამ ჩახვაძის და გიორგი თარგამაძის, პარტიებად წოდებული მათი პოლიტიკური წარმონაქმნებით) მიხეილ სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმისათვის სწორედაც რომ ცოფიან ძაღლად მიიჩნეოდა და ასე ცინიკურად უნდა გასწორებოდნენ მათ, რათა სხვა ოპოზიციონერებს ჭკუისათვის მოეხმოთ და ჩუმად ყოფილიყვნენ).

დიახ, ის მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც ჩვენ ჭკუანაკლულ მექალთანედ და უნაიროდ აცუნდრუკებულ ხვადად მივიჩნევდით, სწორედაც რომ დაუნდობელი მკვლელი და სასტიკი კაცთმოძულე გახლდათ, რომელსაც შთამბეჭდავ პროპაგანდას უწევდნენ დიდ ფულს დახარბებული ევროამერიკელი უზურპატორები! ნაციონალების აღვირახსნილი თარეში დაიწყო ავადსახსენებელი **“ვარდების რევოლუციის”** მოხდენის დღიდან დაახლოებით წლინახევრის შემდეგ. ზურაბ ჟვანიას მკვლელობის შემდეგ ყველასათვის ნათელი გახდა, რომ საქართველოს ხელისუფლებას სათავეში ედგნენ პირწავარდნილი სისხლის სამართლის დამნაშავე დაშნაკი მიხეილ სააკაშვილი და მისი დანაშაულებრივი ბანდის წევრები, რომლებიც **“ერთგულად”** აგრძელებდნენ საქართველოს გასანადგურებლად საერთაშორისო თაღლითისა და პოლიტიკური ავანტიურისტის ედუარდ შევარდნაძის მიერ აღებულ პოლიტიკურ (სინამდვილეში კი ანტიქართულ და ანტიპოლიტიკურ) კურსს.

დიახ, ულმობელი სიკვდილი დათარეშობდა საქართველოს ყველა კუთხეში, ზეიმი ედგათ ახალაიებს, თარგამაძეებს, ბოკერიებს, სხვა სატანურ ძალებს, გაჩუმდა საქვეყნოდ გამოცხადებული ტერორისაგან უზომოდ დაშინებული ინტელიგენცია, წინა პლანზე გამოვიდნენ მეძავები, მკვლელები, თაღლითები, პოლიტიკური ავანტიურისტები, ხაზინის ქურდები...

შეშინებული საქართველო ლამის ტაშისკვრით შეეგება ამჟამად პარლამენტარ გიორგი ბარამიძის მიერ სვანეთში მოწყობილ სისხლიანი ეკზეკუციას, რამაც აფრასიძეების ოჯახის უდანაშაულო წევრების სიცოცხლე შეიწირა. ეს იმის **“ნათელი”** სიგნალი გახლდათ, რომ ქვეყანაში გადამწყვეტ ფაზაში შევიდა ხელისუფლების მიერ დეკლარირებული ძალადობა და ტერორი!

ქვეყანაში განუკითხაობისა და პროგრესული საზოგადოების წინააღმდეგ ოფიციალურად გამოცხადებული სახელისუფლებო ტერორის **“სურნელი”** დატრიალდა, რაც, ყოველთვის, ვერაგულად ჩაფიქრებული საერთაშორისო დანაშაულის უტყუარი წინაპირობა გახლავთ...

საქართველო უნდა დანგრეულიყო – ეს გახლდათ საერთაშორისო მასონური ძალებისა და მუდამ საქართველოს მტრად აღიარებული **“დაშნაკცუტიუნის”** სამოქმედო გეგმა, რისთვისაც მილიარდები დახარჯეს მართლმდიდებლობის დაუძინებელმა მტერმა, პირწავარდნილმა მასონმა ჯორჯ სოროსმა თუ ამერიკელმა მილიარდერმა კერკ კირკორიანმა...

სწორედაც რომ, მათი მზაკვრული გეგმით, საქართველო უნდა დანგრეულიყო რელიგიურად, მენტალურად, ტერიტორიულად, ეთნიკურად...

ყველაფერი წინასწარ, **“დაშნაკური”** სიზუსტით იყო გათვლილი – ედუარდ შევარდნაძის მიერ აღზრდილ-დავაჟკაცებულმა, მოქკავშირის საშოში დაბადებულმა ნაცებმა და მათმა დორბლიანმა ბელადმა კარგად იცოდნენ, რომ ყველაზე იოლად სამართავი დაშინებული საზოგადოებაა, და ამიტომაც, საკუთარი მოღვაწეობა ქართველი ხალხის დაშინებითა და დათრგუნვით დაიწყეს! შედეგმაც არ დააყოვნა. შემდეგ იყო მშვიდობიანი დემონსტრაციების დარბევა, სანდრო გირგვლიანის მხეცური მკვლელობა, ქუჩებში დაუნდობლად ჩახოცილი უდანაშაულო ახალგაზრდები, ტელეარხ **“იმედის”** დატერორება და კანონიერი მეპატრონისათვის წართმევა, კორუფცია და ჩინოვნიკთა განუკითხაობა, თავხედურად გაყალბებული საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო არჩევნები, 2008 წლის აგვისტოს პროვოკაციული ომი, რამაც ლამის გაანახევრა საქართველო, ბიზნესის დაწიოკება, ხურჩის ტერაქტი, ლაფანყურის **“სპეცოპერაცია”,** საპატიმროებში და პოლიციის უწყებებში ადამიანების სასტიკად წამება...

მაგრამ დამთავრდა ნაციონალთა პარპაში და დადგა სამართლიანობის აღდგენის დრო, რასაც ასე მკაცრად მოითხოვს საზოგადოება. კვლავ აყარყაშდნენ ნაციონალები და დიდი აგრესიით შეხვდნენ იმ ფაქტს, რომ ამას წინათ დააკავეს ზურაბ ჟვანიას დაცვის ნაწილის უფროსი მიხეილ ძაძამია რომელმაც თითქოს არაჯეროვნად შეასრულა თავისი მოვალეობა და დაცვის გარეშე დატოვა პრემიერ-მინისტრი. ჩვენი აზრით კი ძაძამიამ ძალზე **“ჯეროვნად”** შეასრულა მოვალეობა და სულიც ამოხადეს ზურაბ ჟვანიას. ამავე მიზეზითაა დაკავებული ექსპერტიზის ბიუროს ყოფილი მაღალჩინოსანი ლევან ჩაჩუაც, რომელმაც შეგნებულად მიჩქმალა ჟვანიას მკვლელობის ნამდვილი მიზეზები და დანაშაულებრივ ჯგუფთან წინასწარი მოლაპარაკებით შეცდომაში შეიყვანა საზოგადოება. ასევე, დაიკითხა ზურაბ ჟვანიას დაცვის წევრი, ამჟამად თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგებელი დავით დაღელაშვილი რომელიც პარლამენტის ნაციონალი წევრის, უტიფრობით გამორჩეული ირმა ნადირაშვილის მეუღლეა (როგორც რუსები ამბობენ ასეთ შემთხვევაში: “Прекрасная семейка”). თუმცა, უფრო მძიმე პასუხისმგებლობა იმ არაადამიანს უნდა დაეკისროს, რომელმაც ამგვარი დავალებები მისცა ძაძამიას, დაღელაშვილს, ჩაჩუას და სხვებს. ეს პიროვნება კი გახლავთ მიხეილ სააკაშვილი, რომელიც უკვე დასაკითხად დაიბარა მთავარმა პროკურატურამ. სააკაშვილს რომ ვირის აბანოში დიდი ხნით მოუწევს ყურყუტი, ამას ისე ნათლად ვხედავ, თითქოს სარკეში ვიყურებოდე!

დღეს უკვე თვალნათელი ხდება, რომ ყველა აღნიშნული კანონდარღვევა, რომელიც უშუალოდ ნაციონალებისა და მიხეილ სააკაშვილის ამფსონების მონაწილეობით თუ დაკვეთით ხდებოდა, გახლდათ საერთაშორისო დანაშაული, რომელიც მეტად მკაცრ სასჯელს იმსახურებს! ნებისმიერი დამნაშავე მის მიერ ჩადენილ ამგვარ მხეცობებს ერთი სიტყვით მაინც მოინანიებდა, მაგრამ ნაცები და სააკაშვილი იმდენად უზნეოები და სულგამომპალები არიან, რომ კიდევ აქეთ გვასწავლიან ჭკუას, ცოფიანი ძაღლებივით იღრინებიან და აქეთ გვემუქრებიან: ქვეყნის ხელისუფლებაში რომ დავბრუნდებით, ყველას მკაცრად გაგებინებთ პასუხს თქვენს უსამართლობაზეო!

არა, ბატონებო, ავადსახსენებელი **“ნაცები”** არ შეიძლება იყვნენ ეთნიკური ქართველები, რადგან ჩვენს ჯიშსა და ჯილაგს არ ახასიათებს იმგვარი სიფლიდე, უტიფრობა და უზნეობა, რითაც ასე გამოირჩევიან სააკაშვილი და მისი თანამზრახველები! ამგვარი სიმახინჯე დამახასიათებელია შუასაუკუნეობრივი აზიური ბნელეთისათვის, რისგანაც ვერა და ვერ დაუღწევიათ თავი სააკაშვილებს, დარჩიაშვილებს, ვაშაძეებს, თაქთაქიშვილებს, კანდელაკებს, კუბლაშვილებს, მინაშვილებს, ბარამიძეებს, მაჭავარიანებს, საყვარელიძეებს, ჯაფარიძეებს, თევზაძეებს, პაიჭაძეებს, ბოკუჩავებს და მათ იმ ევროამერიკელ ამფსონებს, რომლებიც ფულს დახარბებულები მიდიან ყოველნაირ სიყალბეზე, გზას უბნევენ ჭეშმარიტებაში გარკვევის მსურველ შეუბღალავ საზოგადოებას და სინდისის ქენჯნის გარეშე ასაღებენ თეთრს შავად და – პირიქით! დიახ, ეს ის ჰომოსექსუალი, ბისექსუალი, ლესბოსელი თუ ურჯულო ევროამერიკელები არიან, რომლებიც უარს არ იტყვიან, რომ დიდი ფულის სანაცვლოდ საკუთარი მეუღლეც კი ჩაგიგორონ ლოგინში.

ამ ადამიანებისათვის რომ წმინდა არაფერი არსებობს, ეს არაერთგზის დადასტურდა!

ყველაზე ცინიკური კი ის გახლავთ, რომ ყველასაგან მოძულებული ნაცები დღეს ურცხვად უყიჟინებენ ხელისუფლებაში მოსულ **“ქართული ოცნების”** მესვეურებს, რომ ჩვენს მიერ აშენებულ ქვეყანას ანგრევთო. თუ რა **“აგვიშენეს”** ნაცებმა, ცხრა წელიწადი საკუთარ ტყავზე ვცდიდით და არც იმას გამოვრიცხავთ, რომ შეცდომები დღევანდელ ხელისუფლებასაც ჰქონდეს, მაგრამ ეს გახლავთ ადამიანებისათვის დამახასიათებელი შეცდომა და არა წინასწარგანზრახული სიბოროტე, რითაც **“ნაცები”** წლების განმავლობაში ურყევდნენ ჩვენს ქვეყანას სახელმწიფოებრიობის ბურჯს, მორალს, ზნეობასა და რელიგიურობას!

მკვლელების, ყაჩაღებისა და პოლიტიკური ავანტიურისტებისაგან სხვა რა მოლოდინი უნდა გვქონდეს, რომელთაც ყველაზე მეტად ეხერხებოდათ იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობა, სახელმწიფო ხაზინაში ხელების ფათური, მშვიდობიანი მოქალაქეების დათრგუნვა, ბიზნესის დაწიოკება...

რომელი ერთი უბედურება უნდა ჩამოვთვალოთ?

ამიტომაც მიაჩნია ქართული საზოგადოების სადად მოაზროვნე ნაწილს, რომ ნაციონალები არიან არა წესიერი ოპოზიციონერები, არამედ რევანშისტები, რომელთაც მათდა მოულოდნელად დაჰკარგეს ძალაუფლება და ახლა მოსალოდნელი სასჯელის შიშით ატანილები კადრულობენ უკადრისს.

ამრიგად, ფაქტია, რომ ნაციონალური მოძრაობა არის დანაშაულებრივი ორგანიზაცია, რომელსაც არა აქვს ლეგალურად არსებობისა და **“მოღვაწეობის”** იურიდიული და მორალური უფლება. მე სულაც არა ვარ იმის მომხრე, რომ ზნედაცემულ **“ნაციონალებს”** ქვებით ვსდიოთ ქუჩებში და თავები დავუხეთქოთ, როგორც ამას თავად აკეთებდნენ.

ზურაბ ჟვანიას მკვლელობასთან დაკავშირებულმა გამოძიებამ მნიშვნელოვნად გაიწია წინ და უკვე იკვეთება პრემიერ-მინისტრის მკვლელობის ვერსია. მოვლენები კი კალეიდოსკოპური სისწრაფით ვითარდება და ვიდრე გაზეთის ეს ნომერი გამოვა, კიდევ შეიძლება უამრავი რამ გაირკვეს და ბევრი ეჭვმიტანილიც დააპატიმრონ, რის თაობაზეც დამატებით ინფორმაციებს მივაწვდით ჩვენს მკითხველებს. და რაც მთავარია, მოვლენათა ამგვარი განვითარება თითქოსდა უნდა ახარებდეთ ჟვანიას **“მეგობრებად”** წოდებულ პოლიტიკურ არარაობებს – მაჭავარიანებს, გოგორიშვილებს, ბარამიძეებს... ყველაფერი კი პირიქით ხდება – თავის ამასწინანდელ ტელეინტერვიუში მიხეილ მაჭავარიანმა განაცხადა, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ვიბრძოლებ რათა დავამტკიცო, რომ, ზურაბ ჟვანია ბუნებრივი აირით გაიგუდაო, და ეს მაშინ, როცა ფაქტები უტყუარად ღაღადებენ სრულიად საპირისპიროს.

ეს კი თავისთავად მიანიშნებს, რომ ამ **“მეგობრებმა”** ზურაბ ჟვანია ოცდაათ ვერცხლად გაყიდეს და საბოლოოდ შეაქციეს ზურგი ჭეშმარიტებას!

დიახ, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას სიკვდილი (უფრო სწორად – მკვლელობა) გახლდათ მის წინააღმდეგ მიმართული ბინძური შეთქმულების შედეგი, რომელსაც სათავეში ედგა გამჟღავნებული მკვლელი დაშნაკი მიხეილ სააკაშვილი! ახლა, მთავარია დადგინდეს, თუ რას შეეწირა ზურაბ ჟვანია – იარაღით ან ნარკოტიკებით ვაჭრობის წინააღმდეგ ამბოხს, რომელსაც მიხეილ სააკაშვილის ბიძა, **კბბ**-ს პოლკოვნიკი თემურ ალასანია ედგა სათავეში, თუ მიხეილ სააკაშვილის და მისი ოჯახის მიერ წამოწყებული სხვა ბინძური პროვოკაციისათვის გზის გადაკეტვის მცდელობას?!

იმედია, მალე ყველაფერი გაირკვევა და სამართალიც **“პურს შეჭამს”!**

მანამდე კი, შეგვიძლია დარწმუნებით გითხრათ, რომ, ქართული საზოგადოების აზრით, ახლა ყველაზე აქტუალურად რჩება ავადსახსენებელი არაკაცის მიხეილ სააკაშვილის მიერ თავის დროზე როყიოდ ნასროლი დევიზი, ოღონდ ამგვარი პერიფრაზით:

“ნულოვანი ტოლერანტობა! ყველა ნაციონალი ციხეში!!!”

როლანდ ჯალაღანია,
“ფაზისი”-ს და “აია”-ს აკადემიების
წევრი

აფხაზეთის ღირსეული შვილები

მოგონებანი გარდასულ დღეთა...

სამურზაყანო ძველთაგანვე ცნობილი იყო თავისი ეკონომიკითა და მაღალი კულტურით. მან ბევრი გამოჩენილი მოღვაწე გაუზარდა სამშობლოს. ესენი იყვნენ სახელმწიფო და პარტიული მუშაკები თუ რევოლუციონერები, მეცნიერები, ლიტერატურის, ხელოვნების თუ კულტურის მოღვაწეები.

სამურზაყანოს პირველი ინტელიგენტები, რომლებიც ოფიცრებად მსახურობდნენ რუსის ჯარში იყვნენ – პორუჩიკი თემურყვა ანჩაბაძე და მისი ძმა – ზურაბ ანჩაბაძე. პირველი სწავლულები თავადაზნაურთა ოჯახებიდან გამოვიდნენ: ოქუმელი – გრიგოლ ემხვარი, რომელიც ოქუმის, დიხაზურგისა და ოჩამჩირის სკოლებში მუშაობდა; ბედიიდან – გრიგოლ შერვაშიძე, რომელიც ბედიისა და ოქუმის სკოლებში მუშაობდა. ასევე – ბესარიონ ინალიშვილი – რეჩხიდან, რომელმაც დაამთავრა თბილისის უმაღლესი სასწავლებელი, მუშაობდა ჯერ ოქუმის სკოლაში, შემდეგ გადავიდა გუფში და იქ გახსნა სკოლა. ბოლოს კი სოფელ საბერიოში მუშაობდა მასწავლებლად. არ შეიძლება არ გავიხსენოთ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ინტელიგენტები – ალექსი და ბესარიონ ემხვარები, ქალბატონი ვერა ინალიშვილი, რომელთა სტატიები და ეთნოგრაფიული წერილები სისტემატურად იბეჭდებოდა მაშინდელ ჟურნალებში. უნდა გავიხსენოთ გენერალ-მაიორი საბერიოდან ზურაბ ჩქოტუა. მისი ინიციატივით გაიხსნა საბერიოს სკოლა, გაყვანილ იქნა ოცარცე-საბერიოს გზა.

ზურაბის შვილი, გამოჩენილი ფილოლოგი დავით ჩქოტუა სწავლობდა ოდესისა და პეტერბურგის უნივერსიტეტებში. 1876 წელს მკვლელობის ბრალდებით 20 წლით გადაასახლეს. კატორღიდან დაბრუნდა 1906 წელს. იგი გახლდათ გამოჩენილი პუბლიცისტი, კრიტიკოსი. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, იაკობ გოგებაშვილთან. წერდა სხვადასხვა ხასიათის სტატიებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია **“ვეფხისტყაოსანზე”** დაწერილი მეცნიერული ნაშრომი.

ზურაბის შვილისშვილი (ნიკოს შვილი) იყო პოლკოვნიკი რაფიელ ჩქოტუა, რომელიც 1918 წელს მუშაობდა საქართველოს მთავრობაში აფხაზეთის საქმეთა მინისტრად.

ზურაბის შთამომავალია ჩერქეზი პოეტი მიქაელ ჩიკატუევი. მისი ლექსები ქართულად თარგმნა ლუდა ბერიამ.

სამურზაყანოელი დავით ანჩაბაძე 1871 წელს კანდიდატის ხარისხით ამთავრებს პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს. 1877 წლიდან მუშაობს პეტერბურგში საოლქო სასამართლოს პალატის ნაფიც მსაჯულად. შემდეგ ჩადის საქართველოში და მუშაობს ჯერ ქუთაისში, შემდეგ თბილისში. იბეჭდებოდა ი. ჭავჭავაძის **“ივერიაში”**.

რევოლუციამდელ სამურზაყანოში მოღვაწეობდა პეტრე ანჩაბაძე, რომელიც სწავლობდა ჯერ ქუთაისში, შემდეგ ეკატერინოდარში. მან პირველად, სოფელ ოტობაიაში შეიყვანა სასოფლო-სამეურნეო მანქანები. გლეხებს უფასოდ დაურიგა მიწები. მისი თაოსნობით გაიხსნა ოტობაიას 2-კლასიანი სკოლა. მეგობრობდა პოეტ გიორგი შერვაშიძესთან. მასთან სახლში იპოვეს აფხაზი პოეტის ლექსები, რომელიც დასაბეჭდად გადაეცა ს. ჯანაშიას.

სამურზაყანოს ფოლკლორსა და ეთნოგრაფიაში კარგად ერკვეოდა დიხაზურგელი თვითნასწავლი გლეხი ბეგი გამსახურდია.

ოჯახს ხშირად სტუმრობდა ნიკო მარი და ივანე ჯავახიშვილი, ეთნოგრაფი სერგი მაკალათია. ისინი ეზოში, 300-წლიანი ცაცხვის ხის ჩრდილქვეშ ისხდნენ და ბჭობდნენ სხვადასხვა საკითხებზე.

ენათმეცნიერი, ეთნოგრაფი, ისტორიკოსი, დიდი საზოგადო მოღვაწე პეტრე ჭარაია დაიბადა 1861 წელს, ეშქეთის (ახლანდელი ოჩამჩირის) რაიონში. სწავლობდა თბილისის სემინარიაში, მაგრამ ეკონომიკური მდგომარეობის გამო მე-5 კურსიდან სწავლა შეწყვიტა და სოფელში დაბრუნდა.

პეტრე ჭარაია მუშაობდა გუფის, მოქვის, ფოქვეშის, გალის სკოლებში. იყო დისციპლინის მოყვარული. სამსახურში ცხენით მიდიოდა და არცერთხელ არ დაუგვიანია. ბევრჯერ სთხოვეს გადასვლა თბილისსა და ქუთაისში, მაგრამ პეტრეს არჩევანი მუდამ სამურზაყანო იყო. ის ქართულ ენას ასწავლიდა გალის სკოლაში, სადაც მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე (1919 წელი).

პეტრე ჭარაიას კორესპონდენციები, წერილები იბეჭდებოდა ჟურნალებში: **“ივერია”, “მოამბე”, “კვალი”, “სახალხო განათლება, “დროება”, “ნაშე სლოვო”**. აღსანიშნავია მისი **“ქართულ-მეგრული ლექსიკონი”, “აფხაზეთი და აფხაზები”, “დედა ენის ზოგიერთი სიტყვის ახსნა”, “მეგრული და ქართული ენების ნათესაობა”.**

პირველი სამურზაყანოელი ინჟინერი იყო რაჟდენ კაკუბავა, რომელმაც დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი და მუშაობდა აფხაზეთში ინჟინრად. მისი თაოსნობით აიგო ბევრი ხიდი და გაყვანილია გზები.

პეტერბურგში მიიღო განათლება პირველმა მეტყევე-ინჟინერმა ალექსი გამისონიამ. მას დიდი წვლილი მიუძღვის აფხაზეთში ტყის განაშენიანებასა და მის მოვლა-პატრონობაში.

ღუმურიშიდან იყო იურისტი გრიგოლ ზუხბაია, რომელიც მუშაობდა ჯერ მოსკოვში, შემდეგ თბილისში, ბოლოს სოხუმში მუშაობდა და იყო სოხუმის საჯარო სხდომის პირველი თავმჯდომარე.

პედაგოგი, ჟურნალისტი და პოეტი ივანე გეგია დაიბადა სოფელ ოქუმში. მისი სტატიები სამურზაყანოს ცხოვრებაზე იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. 1890 წელს თბილისში გამოვიდა მისი ლექსების კრებული. მშობლიურ სოფელში დააარსა თეატრალური დასი, რომელიც წარმოდგენებს მართავდა ზუგდიდში, ოჩამჩირეში და სხვა სოფლებში.

სამურზაყანოელი რევოლუციონერი იყო გრიგოლ ემხვარი, რომელიც სწავლობდა პეტერბურგში. 1908 წელს ქართველ სოციალ-დემოკრატებთან ერთად წავიდა სპარსეთში, სადაც სრულიად ახალგაზრდა, 21 წლის ასაკში, ომში დაიღუპა. მას ჰყავდა ძმები – აკაკი და ბოდღო. ქართველი ექიმის, ქალბატონ ლეილა ემხვარის გადმოცემით – აკაკი გახლავთ ლეო ქიაჩელის ნაწარმოების **“ჰაკი აძბას”** მთავარი გმირის ოფიცერ უჯუშ ემხას პროტოტიპი, ხოლო მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ თავისი რომანების **“მთვარის მოტაცება”** და **“ხოგაის მინდია”**-ს რუსულ ენაზე თარგმნა მიანდო ბოდღო ემხვარს.

1905 წლის რევოლუციის აქტიური მონაწილე იყო ოქუმელი სწავლული პლატონ ემხვარი, რომელმაც თავისი რაზმით ბევრჯერ გაუწია წინააღმდეგობა მეფის ადმინისტრაციას. ის იყო **“სამურზაყანოს რესპუბლიკის”** ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

გალის რაიონის სახელოვანი შვილებიდან გამოირჩეოდა ნიჭიერი, განათლებული პედაგოგი გიორგი ტორუა, რომელიც სახელმწიფო დაფინანსებით გაიგზავნა სწავლის გასაგრძელებლად ქალაქ ფეოდოსიაში. სასწავლებლის წარმატებით დამთავრების შემდეგ დაბრუნდა გალში და მუშაობდა მასწავლებლად. თუ რაიონში ვინმე რუსულენოვანი სტუმარი ჩამოდიოდა, გიორგის უნდა ემასპინძლა.

მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეს პირნათლად ემსახურებოდნენ პედაგოგები ალ. გეგიძე, სამსონ სვანაძე, თამარ გეგია, მიხა ჩიკვატია, გრიგოლ ქავთარაძე, შალვა ჩეხერია, ნესტორ ქირთბაია, სევერიან ნაყოფია, მაქსიმე კვეკვესკირი, ერასტი ზუხბაია, თეიმურაზ ზუხბაია, ილარიონ კილანავა, ბორის ეზუგბაია, პავლე ჯეჯეია, ანდრია ალფენიძე, ლავრენტი სექანია, იასონ შონია, ბაგრატ ხორავა, გივი გეგეჭკორი, მაკარ ასვანუა, ილია გვაგვალა, ბაგრატ მარხულია, ვალერიან აქირთავა, ტრიფონ ალფენიძე, თამარ ფარფალია, ბიქტორ შონია, შალვა კაჯას ძე ბასარია, პლატონ სექანია, ნიკოლოზ დარსანია, გერონტი კაკუბავა, შალვა ფარულავა, ილია ანთია, აკაკი გულუა, მადიშა გამსახურდია, შალვა შამუგია, ეგნატე დგებუაძე.

გალის რაიონს ყოველთვის ჰყავდა მედიცინის გამოჩენილი მოღვაწეები, რომლებმაც ხალხის დიდი სიყვარული დაიმსახურეს: ქირურგ-ტრავმატოლოგები თემურ გამისონია და დურუ ყოლბაია, რომლებიც ურთულეს ოპერაციებს აკეთებდნენ.

ასევე, ხალხის ჯანმრთელობის სადარაჯოზე იდგნენ ექიმები იოსებ შავგულიძე, ანდრია პატარაია, მაქსიმე თორია, ვარლამ გაბლაია, გრიგოლ პაპასქუა, აკაკი შონია, აპოლონ კეშელავა, ვალერიან კახიანი, პავლე ობოლაძე, გიორგი ზუხბაია, თინათინ ხუროძე, შალვა სექანია, დავით თორია, შოთა თორია, გივი ლომია, ბათლომე ფეტელავა, შოთა კაკუბავა, შალვა გუნჯუა, ირაკლი შენგელია, ვალერიან ბუკია, თამარ მკერვალიშვილი, ალექსანდრე ყოლბაია, მურმან გუნჯუა, მედეა ჭანტურია, ელგუჯა ჯიქია, თალიკო ზუხბაია, მუშნი უზარაშვილი, სონია როგავა. ასევე გამორჩეულია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სამხედრო-სამედიცინო აკადემიის წევრი იური არტემის ძე გეგეჭკორი, რომელმაც გალის №3 სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში. შემდეგ მსახურობდა სამხედრო ჰოსპიტლებში – ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიაში ხაბაროვსკში, თბილისში, სადაც ჰოსპიტლის მთავარი ექიმი იყო სიცოცხლის ბოლომდე – 1993 წლამდე. ჩატარებული აქვს 5000-მდე რთული ოპერაცია.

იგივე შეიძლება ითქვას მედიცინის მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ ქირურგ ოთარ მარშავაზეც, რომელსაც 60 მეცნიერული ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული.

სანქტ-პეტერბურგის კლინიკაში კი წარმატებით მოღვაწეობს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი რევაზ ჩემინავა. ამჟამად თბილისში მოღვაწეობს გალელთა სიამაყე – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პედაგოგი ნოდარ ემხვარი.

სამურზაყანო ცნობილია მამაცი რევოლუციონერებით. გუდაუთაში ნესტორ ლაკობას მიერ დაარსებული **“ქიარაზის”** პარალელურად, ჩვენს რაიონშიც არსებობდა და მოქმედებდა გლეხთა შეიარაღებული რაზმი, რომელსაც პავლე ძიგუა ხელმძღვანელობდა. ამ რაზმში ირიცხებოდნენ ნიკოლოზ სვანიძე, ნიკოლოზ აქირთავა, იასონ ხაბურზანია, ფილიპე, დიმიტრი და კაპიტონ თორიები, ვლადიმერ შონია, ნიკოლოზ ბოკუჩავა, იჩო ქაია, აქვსენტი გაბლაია, ზოსიმე ლაბახუა, ილია იზორია, კუკუ გოგოხია, იონა ძიგუა, ივანე თაკალანძე, ონისიმე ჩიკვატია, ივანე ახალაია, ჭიჭი მოროხია, თომა ჯობავა. ისინი, სხვებთან ერთად, გაბედულად იბრძოდნენ მეფის რუსეთის რეჟიმის წინააღმდეგ. მოგვიანებით, თითქმის ყველა რაზმელი თანამდებობებზე მუშაობდა, თუმცა ზოგიერთ მათგანს რეპრესია შეეხო. თუნდაც ნიკოლოზ აქირთავა, რომელიც შემდეგ რეაბილიტირებულ იქნა.

უკვე მოვამზადე ვრცელი წერილი რევოლუციონერ პავლე ძიგუას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, რომელიც ამას წინათ დაიბეჭდა გაზეთ **“ილორში”**.

კოლექტივიზაციისა და მის შემდგომ წლებში დიდი მუშაობა გასწიეს სამურზაყანოელმა მშრომელებმა ჩაის კულტურის გაშენების საქმეში. დიდი იყო მშრომელთა ენთუზიაზმი, რადგან უცებ, საოცრად მოკლე დროში ჩაის თვალწარმტაცი პლანტაციების პატრონები გავხდით. 1985 წელს 8.377 ჰექტარზე იყო გაშენებული ჩაის პლანტაციები და მოიკრიფა 51.959 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. ჩვენი რაიონი, ჩაის ფოთლის მოსავლიანობის მაჩვენებლით, საქართველოში მესამე ადგილზე იყო. ასეთივე დიდი მაჩვენებლები გვქონდა მესიმინდეობის დარგშიც – 1982 წელს ეს კულტურა დაითესა 3.012 ჰექტარზე.

რაიონს ბევრი სახელოვანი მეჩაიე და მესიმინდე ჰყავდა. ცნობილი მეჩაიეები იყვნენ ნათელა და იმენა ბულესკირიები, სემირამიდა ჯიბუტია, თინა გოგოხია, მერი კაკავა, გოგოლა და რომან ღურწკაიები, იური ჯგერენაია, მექანიზებული წესით მკრეფავი ნაზიბროლა ხასაია, მედეა ლატარია და სხვები. მესიმინდეობაში მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩეოდნენ ჩოქოლი ქვაჩახია, ძუკუ რიგვავა, ტერენტი აბუხბაია, ოთარ ყავაძე, ჩაქა ჯეჯეია და სხვები. მხოლოდ გალის რაიონში 82 სოციალისტური შრომის გმირი ცხოვრობდა და საქმიანობდა.

კარგად იყო განვითარებული სოფლის მეურნეობის სხვა დარგებიც: მეციტრუსეობა, მეაბრეშუმეობა, მესაქონლეობა. ასევე დიდი წარმატებები იყო მიღწეული მრეწველობის დარგებშიც. კოლმეურნეობებსა და მეურნეობებს ხელმძღვანელობდნენ გამოცდილი, ნიჭიერი, უნარიანი ორგანიზატორები, რომლებიც იღვწოდნენ საზოგადოების ყოფის შემდგომი განვითარებისათვის. ასეთები იყვნენ გიორგი ჯგუბურია, ივანე ახალაია, ვლადიმერ გოგოხია, კონდრატე უზარაშვილი, ნადია აბლოთია, გრიგოლ და გოგი ჩაჩიბაიები და სხვები.

გიორგი გუჯას ძე ჯგუბურია დაიბადა 1887 წელს, სოფელ ოქუმში. 1921 წელს მან შექმნა პარტიზანული რაზმი, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა მტერს. საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ იყო ოქუმის რევკომის თავმჯდომარე, ხოლო შემდეგ ის აირჩიეს მის მიერ დაარსებული კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა.

გიორგი ჯგუბურიას თავისი უმწიკვლოებითა და შრომისმოყვარეობით მთელ საბჭოთა კავშირში ჰქონდა სახელი განთქმული. იგი გახლდათ სოციალისტური შრომის გმირი, შრომისა და ბრძოლის ორდენებისა და მედლების კავალერი, სსრკ მთავრობასთან არსებული საკოლმეურნეო საქმეების საბჭოს წევრი.

რაიონის წინსვლისათვის აქტიურად იბრძოდნენ რაიონის ხელმძღვანელები: იასონ ხაბურზანია, კაპიტონ თორია, ლავრენტი ქურსუა, ვარლამ ქეცბაია, ანტიფო ჭეჟია, მიხეილ ცატავა, ვალერიან ჯიქია, დამიანე გოგოხია, ხუტა ტუფურია, ამირან ქავთარაძე, ბაკურ გულუა, ვაჟა ეზუგბაია, ლეო ხაბურზანია, ნიკოლოზ თოდუა და სხვები.

1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გალის რაიონიდან გაიწვიეს 5.439 კაცი, საიდანაც ცოცხალი დაბრუნდა 3.523 მებრძოლი, რომელთა სახელებს რაიონი არასოდეს დაივიწყებს.

შინდარჩენილები ყოველნაირად ეხმარებოდნენ ფრონტებზე მებრძოლთ. გიორგი ჯგუბურიამ თავისი პირადი დანაზოგი – 300.000 მანეთი გადაურიცხა სახელმწიფოს, რითაც თვითმფრინავი იქნა შეძენილი.

ივანე ახალიამ 20.000 მანეთი გაიღო ფრონტისათვის, ვლადიმერ გოგოხიამ – 100 ათასი მანეთი.

გალელებმა ამ ომშიც გამოიჩინეს თავი. თუნდაც ჭუბურხინჯელი არტილერისტი იროდიონ წულაია, რომელმაც ომი ჩეხოსლოვაკიაში დაასრულა. მან სამართლიანად დაიმსახურა სამივე ხარისხის საბრძოლო დიდების ორდენი. სახელოვან მებრძოლთა შორის უნდა მოვიხსენიოთ შალვა ჯოლოგუა, მიშა აფხაზავა, ღუღუნი დემურია, შოთა ორჟონია, კიკი ძანძავა, ვასო ნაყოფია, ვარვარა კოტლიაროვა, ანტონინა კაკუბავა, ვალერიან ქარდავა, შალვა კორკელია, ლეონტი ზუხბაია, გრიშა ინალიშვილი, გვანჯი თაკალანძე, მირიანე გვარამია და სხვები.

მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი დიდმა საბჭოთა მათემატიკოსმა, სახელმწიფო პრემიების ლაურეატმა ილია ნესტორის ძე ვეკუამ. იგი დაიბადა და გაიზარდა სოფელ შეშელეთში, სადაც 1985 წელს გაიხსნა დიდი მეცნიერისადმი მიძღვნილი მემორიალი და სახლ-მუზეუმი.

სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის პრობლემებზე მუშაობდნენ გალელები პეტრე შარია, ვენორი ქვაჩახია, გიორგი ვეკუა და მამია ყოლბაია.

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქვეყნის განათლების სფეროს განვითარების საქმეში პროფესორებმა გრიგოლ გამსახურდიამ, პლატონ კოღონიამ, იროდიონ ქვაჩახიამ, დოცენტმა ირაკლი ბერაძემ. ასევე გალელები არიან ცნობილი შემოქმედები ვლადიმერ ალფენიძე, მირიან მირნელი, მურმან ჯგუბურია, ზურაბ ნაყოფია, ციალა არდაშელია, ივანე ქვაჩახია, გური ფეტელავა და დიდი მომღერალი ზურაბ სოტკილავა.

ამ წერილში ჩამოთვლილი ადამიანები მხოლოდ ზღვაში წვეთია. რაიონის ყველა ღირსეული ადამიანის გახსენებას კი ალბათ საკმაოდ სქელტანიანი წიგნი დასჭირდება.

მასალები მოგვაწოდა დიდი სამამულო ომის მონაწილემ, გალის რაიონის უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარემ,

ლავრენტი ბერაძემ

“ეს არის პირდაპირი ექსტრემიზმი და მოქალაქეებისათვის საქართველოს კონსტიტუციით მონიჭებული უფლებების დარღვევა!“ – ევრაზიის ინსტიტუტის 2014 წლის 24 მარტის აქციის შედეგების შეჯამება

მაშ ასე, 2014 წლის 24 მარტს, ქართველებმა მოიხადეს თავიანთი მორალური ვალი და სოლიდარობა გამოუცხადეს ერთმორწმუნე, მოძმე სერბ ხალხს, რომელიც 15 წლის წინათ გახდა ჩრდილოატლანტიკური სამხედრო ალიანსის – ნატოს აგრესიის მსხვერპლი. თბილისსა და ბათუმში გაიმართა ევრაზიის ინსტიტუტის მიერ ინიცირებული მასშტაბური აქცია, რომელსაც ბევრი საზოგადოებრივი ორგანიზაცია შეუერთდა, მათ შორის: **„ერთიანი საქართველოსთვის მებრძოლთა კავშირი“** (გ.ვანიშვილი), **„საქართველოს მშრომელთა კავშირი“** (თ.ჯაფოშვილი), **„ახალი ხიდი“** (ს.ქორიძე), **„მამულიშვილთა საგვარეულო კავშირი“** (ნ.ბოლქვაძე) და სხვები, მათ შორის, ყოფილი პოლიტპატიმრები. თბილისში შეიკრიბნენ შიდა ქართლის კონფლიქტის ზონის მცხოვრებნი, ასევე მოქალაქეები თელავიდან, საგარეჯოდან და სხვა ქალაქებიდან. აქციის მთავარი ლოზუნგები დაკავშირებული იყო სწორედ სერბულ ტრაგედიასთან და არაფერი ჰქონდა საერთო ევრაზიულ კავშირთან, როგორც ეს ქართულმა მასმედიამ გამოაცხადა. შეკრებილთა მიერ თბილისსა და ბათუმში შემდეგი შინაარსის ტრანსპარანტები აღიმართა: **„რატომ არ დაინდეთ სერბი ბავშვები?!“, „ნატო – სეპარატიზმის მხარდამჭერი“, „ნატო – ბოდიში მოიხადეთ აგრესიისათვის!“, „ქართველებს და სერბებს საერთო სიწმინდეები გვაქვს!“...** (სავსებით ლოგიკურია, რომ აქციაში მონაწილეობა მიიღეს სასულიერო პირებმა – ეპისკოპოსმა, მიტროპოლიტმა, მეუფე იოანე გამრეკელმა და მამა ნოე გუგუციძემ, რისთვისაც მათ განსაკუთრებულ მადლობას მოვახსენებთ).

თუმცა როგორც ქართულმა, ისე რუსულმა საინფორმაციო საშუალებებმა საკმარისად გააშუქეს თბილისის და ბათუმის აქციების თანმდევი მოვლენები. უკვე ყველამ იცის, რომ ადგილი ჰქონდა პროვოკაციას და ევრაზიის ინსტიტუტის გეგმების ჩაშლის მცდელობას **„ნაცმოძრაობის“** ნარჩენებისა და **„ლგბტ-მოძრაობის“** მხრიდან. ამიტომ აღარ შევუდგებით იმის აღწერას, თუ რა და როგორ იყო, მიუხედავად იმისა, რომ ქართული მასმედია არ შეეცადა, უფრო ღრმად გარკვეულიყო საქმის არსში და ზედაპირული, დილეტანტური შეფასებებით დაკმაყოფილდა (მცირე გამონაკლისების გარდა).

აქციის შედეგები კი ასეთია:

1. ქართულმა საზოგადოებამ ნაწილობრივ მაინც გაიგო 1999 წლის ნატოს აგრესიის ნეგატიური მნიშვნელობა საქართველოსათვის და მთელი თანამედროვე მსოფლიოსთვის, უკეთ გააცნობიერა მოძმე სერბი ხალხის გულისტკივილი;

2. „ნაციონალური მოძრაობის“ ნარჩენებმა დიდი რეკლამა გაუწიეს ევრაზიის ინსტიტუტს – აუგორეს მას „შავი პიარი“, რაც ხალხისათვის საძულველი ელემენტების მხრიდან საუკეთესო რეკომენდაციაა;

3. ასევე თავისდა უნებურად, „ნაცების“ ნარჩენებმა გამოააშკარავეს ის გარემოება, რომ ნატო არავითარ შემთხვევაში არ არის ერთადერთი გზა საქართველოსთვის, არამედ საკმაოდ საეჭვო და სახიფათო ვარიანტია,

4. „ნაცმოძრაობის“ ნარჩენები აქამდე მიჩვეულნი იყვნენ, რომ ნებისმიერი აქცია, რომელსაც ისინი „პრორუსულის“ იარლიყს მიაწებებდნენ, თავჩაღუნული ხვდებოდა მათ პროვოკაციებს და ისინიც დაუსჯელად გრძნობდნენ თავს. ახლა მათ საკუთარ დაუსჯელობაში სერიოზული ეჭვი შეეპარათ – ხალხი არ წამოეგება „პრორუსულობის“ თემით სპეკულირებას და ფიზიკურ ძალადობას საკადრის პასუხს გასცემს.

ყოველივე ამას, **„ნაცები“,** რა თქმა უნდა, ვერ აცნობიერებენ, თავიანთი დაბალი ინტელექტის გამო, მაგრამ კარგად გრძნობენ ინსტინქტების დონეზე. სწორედ ამიტომ გამოაცხადეს მათ ევრაზიის ინსტიტუტი ქვეყნის **„მტრად“** და **„ფეისბუკზე“** სპეციალური გვერდიც შექმნეს ჩვენი ინსტიტუტის აკრძალვის მოთხოვნით, რაც, რა თქმა უნდა, ანტიკონსტიტუციური მოთხოვნაა. მეტიც, **„ნაცები“** და **„ლგბტ“** აქტივისტები შეეცადნენ, 25 მარტის საღამოს, ზეწოლის გზით ეიძულებინათ თბილისის ძმები კაკაბაძეების ქუჩის მცხოვრებნი, მოეთხოვათ ევრაზიის ინსტიტუტისთვის ამ ქუჩის 22 ნომერში მდებარე ოფისის დახურვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი იმუქრებოდნენ, რომ ასეთ ხმაურიან აქციებს ყოველ საღამოს მოაწყობენ ამ ქუჩაზე, სახლისა და ქუჩის ბლოკირებით, რაც, ბუნებრივია, დიდ პრობლემებს შეუქმნის ადგილობრივ მცხოვრებთ. **„ნაცების“** და **„ლგბტ-საზოგადოების“** მიზანია, ადგილობრივი მოსახლეობა დაუპირისპირონ ევრაზიის ინსტიტუტს.

ეს არის პირდაპირი ექსტრემიზმი და მოქალაქეებისათვის კონსტიტუციით მონიჭებული უფლებების დარღვევა (უფლება საკუთარ სახლში მშვიდ ცხოვრებაზე, ასევე შეუფერხებელ მუშაობაზე). თუკი მსგავსი შემთხვევა განმეორდება, ევრაზიის ინსტიტუტი უფლებას იტოვებს, საჩივარი შეიტანოს პროკურატურაში და მოითხოვოს **„ნაცებთან“** და **„ლგბტ საზოგადოებასთან“** ასოცირებული რამდენიმე ორგანიზაციის აკრძალვა და ადამიანის უფლებების დამრღვევ ღონისძიებათა ორგანიზატორების დაკავება და დასჯა. ეს იქნება კიდევ ერთი კონკრეტული შედეგი 24 მარტს ჩატარებული მასშტაბური ღონისძიებისა.

ევრაზიის ინსტიტუტის გამგეობა

“საქინფორმი”, “ასავალ-დასავალი”, “ევრაზიის ინსტიტუტი”, “ობიექტივი” – საქართველოში მკვლელობების სერია მზადდება, სიები უკვე შედგენილია! – *საქინფორმის საგანგებო განცხადება*

თანამოქალაქეებო! ქართველო ხალხო! საქართველოს მრავალეროვანო მოსახლეობავ!

ჩვენ მოგმართავთ თქვენ, და არა პროკურატურას, პოლიციას და მთავრობას, რომლებიც დიდი ხანია კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტებად გადაიქცნენ.

ჩვენ მოგმართავთ თქვენ, და არა პრეზიდენტსა და პარლამენტს, რომლებმაც საკუთარი ამომრჩევლების ინტერესებს უღალატეს.

ექსპრეზიდენტი სააკაშვილი, ექსმმართველი პარტია **“ნაციონალისტური მოძრაობა”,** არასამთავრობო ორგანიზაცია **“თავისუფალი ზონა”** და **ლგბტ**-საზოგადოება არ მალავენ, რომ საქართველოში **“მაიდან-2”**-ს ამზადებენ, თუმცა მათი სიმხდალის გამო სახელმწიფო გადატრიალება უკრაინისაგან განსხვავებული სცენარით განვითარდება.

უკვე შედგენილია ჟურნალისტების, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელების, პოლიტიკოსების – თავიანთი პრინციპული, მართალი პოზიციის გამო საზოგადოებაში პატივცემული გავლენიანი ადამიანების სია, რომლებსაც უნარი შესწევთ, ხალხს წინ გაუძღვნენ და რომლებსაც პირველ რიგში გაანადგურებენ. სხვაგვარად მოაზროვნეებთან ანგარიშის გასასწორებლად, სააკაშვილის დაბრუნების წინ, რაც მან კიდევ ერთხელ დააანონსა, თავის ამაზრზენ ტელეკომპანია **“რუსთავი 2”**-თან ინტერვიუში, ამ ადამიანებს დახოცავენ – ზოგს საკუთარ სახლებში, სხვებს ქუჩაში ზურგში ესვრიან, დანარჩენები ავტოკატასტროფებში ან ვერაგულად დანით დაჭრილები დაიღუპებიან, ანდა მათ ბრბო ჩაქოლავს.

შედეგად ქვეყანაში მასობრივი სისხლიანი შეტაკებები დაიწყება, საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში არ მიიღებენ, ის ახალ ტერიტორიებს დაკარგავს – სამცხე-ჯავახეთს, ქვემო ქართლს, აჭარას და სამეგრელოს.

ვინ არის არამზადების მთავარი სამიზნე – ადვილი მისახვედრია, მხოლოდ ცოტა ხნის წინანდელი მოვლენები უნდა გავიხსენოთ.

– საქართველოში დაიწყო ხალხისათვის ყველაზე საყვარელი გაზეთის “ასავალ-დასავალის” დევნა. კამპანიას სათავეში ჩაუდგნენ სააკაშვილი და “ნაცმოძრაობის” ყველა ლიდერი, ლგბტ-საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებსაც თავი ჟურნალისტებად და კულტურის მოღვაწეებად წარმოუდგენიათ, და აგრეთვე, ერთი ბანკირი.

– ამას წინათ განხორციელდა მორიგი თავდასხმა ევრაზიის ინსტიტუტის და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებზე და აქტივისტებზე, რომლებიც ნატოს ავიაციის მიერ იუგოსლავიის დაბომბვის მე-15 წლისთავზე სერბ ხალხთან სოლიდარობის ღონისძიებას ატარებდნენ. იქვე თავს დაესხნენ სამუშაოდ მისულ მედიაკავშირ “ობიექტივის” ხელმძღვანელებს.

– საქინფორმში ათეულობით წერილი და ზარი შემოდის ლიკვიდაციის მუქარით, ხოლო მისი მთავარი რედაქტორი სააკაშვილის მეორე ამაზრზენმა ტელეკომპანიამ – “იმედმა”– გასულ კვირას საგანგებოდ აჩვენა სხვებთან ერთად, ვინც ლიკვიდაციას ექვემდებარება, როგორც საქართველოში “მეხუთე კოლონის” წარმომადგენლები.

2014 წლის 26 მარტი

საქინფორმის რედაქცია
საქართველო, თბილისი

მსოფლიო საეკლესიო კრება და ილია მეორის მიმართვა მართლმადიდებელ პატრიარქებს

განსაკუთრებული მოვლენა მართლმადიდებლურ სამყაროში – 12 საუკუნის შემდეგ, მსოფლიო საეკლესიო კრება 2016 წელს ჩატარდება. კრების თარიღი კონსტანტინოპოლში მართლმადიდებელი პატრიარქების შეკრებაზე დაასახელეს. თუმცა მანამდე მონაწილეები კრებაზე განსახილველ თემებზე უნდა შეთანხმდნენ.

სიტყვით გამოსვლის დროს ილია მეორემ მოახლოებულ კრებამდე საქართველოსთან დაკავშირებული ორი საკითხის გადაწყვეტა მოითხოვა. ესენია: საქართველოს კუთვნილი ადგილის დაბრუნება ეკლესიების იერარქიაში და ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციის გავრცელება.

სწორედ იურისდიქციასთან დაკავშირებით არსებული დავა გახდა იმის მიზეზი, რომ მართლმადიდებლობის ზეიმზე გასამართ საღვთო ლიტურგიაში მონაწილეობა არ მიიღო, კრება ნაადრევად დატოვა და დოკუმენტს ხელი არ მოაწერა ანტიოქიის ეკლესიის წარმომადგენლობამ.

კიდევ ერთი თემა, რომელზეც ეკლესიების მეთაურები შეთანხმებას ვერ ახერხებენ, საეკლესიო კალენდრის საკითხია.

„არის დაგროვილი მრავალი საკითხი, რომელიც ითხოვს შეთანხმებას, შეჯერებას და ახლებურ შეფასებას თანამედროვე სამყაროში... უწმიდესობის მიმართვა იქნა გაზიარებული და მსოფლიო პატრიარქმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ აფხაზეთი არის საქართველოს ეკლესიის კანონიკური ტერიტორია ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე“,– განაცხადა გორისა და ატენის ეპისკოპოსმა მეუფე ანდრიამ (გვაზავა).

სიცოცხლეშივე უკვდავებად და ლეგენდად ქცეულნი

(ეძღვნება მამანტი ძაძამიას დაბადების 73-ე წელს)

...ცირა და მამანტი ძაძამიების, ამ გზნებით დამუხტული და ნიჭით გასხივოსნებული ადამიანების გარჯა მართალ მეცნიერებას ემსახურება.

ნუმც განელებოდეთ მათ ჭეშმრიტების ძიების ჟინი!

ნუმც დალეოდეს ბ-ნ მამანტი ძაძამიასა და ქ-ნ ცირა ძაძამიასთანა სიმართლის მაძიებლები დიდი საბას, დიდი ვახუშტის დანერგილ მეცნიერულ ტრადიციას! (**ირინე ასათიანი** – ენათმეცნიერების ინსტიტუტის დოცენტი, 7/XI–98 წ.).

სიტყვიდან, – წიგნის ავტორებთან სხვადასხვა დარგის სპეციალისტების ერთ-ერთ შეხვედრაზე:

„ეს წიგნი („ენის წარმოშობის საიდუმლოება“) ბატონ მამანტი ძაძამიას და მისი ქალიშვილის ქალბატონ ცირა ძაძამიას დაწერილი არ გახლავთ. იგი თვითონ ღმერთის მიერ არის დაწერილი. აბა, ადამიანებს როგორ შეეძლოთ ასეთი რამის დაწერა!“ (**ნაპოლეონ ლემონჯავა**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ოქტომბერი, 1997 წ.).

„ვისაც ნამდვილად აინტერესებს, თუ საიდან მოვდივართ, საიდან იღებს სათავეს ჩვენი დედა ენა ქართული, და ენა საერთოდ, ვურჩევთ გულდასმით წაიკითხოს მამაშვილის შესანიშნავი წიგნი, სადაც დამაჯერებელი მეცნიერული არგუმენტებით ამოხსნილია არაოდენ მშობლიური ენისა, არამედ საერთოდ ენის წარმოშობის საიდუმლოება“ (**რ. კვარაცხელია** – ჟურნალისტი, პოეტი, 14/IV-98)

სიტყვიდან წიგნის პრეზენტაციაზე

„ნაშრომის ავტორებმა უდიდესი გაბედულობით სამზეოზე გამოიტანეს ის საიდუმლოება, რომელიც ჟამისაგან ტაბუირებული იყო. მათი ეს ნაშრომი, როგორც მეცნიერული გამოკვლევა, მისმიერი პოზიტიური აპოგეა, იმ დროს გამოდის არენაზე, როდესაც ქართული და არა მხოლოდ ქართული ენათმეცნიერული აზროვნება კონსერვატიზმის ტყვეობაშია მოქცეული, როდესაც სპორადულად გაბნეული ენის წარმოშობის თეორიები ალბათობის პრინციპით შემოიფარგლებიან, როცა ამ სფეროში მეცნიერთა მიღწევა ვერ სცილდება თითქმის დაკანონებულ მეცნიერულ არეალს“ (**ზაზა სიჭინავა** – თსუ ზუგდიდის ფილიალის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი, 10/XI–98 წ.).

წერილი აშშ-დან:

ძვირფასო ბატონო მამანტი!

„უღრმესი მადლობა თქვენ შესანიშნავი წიგნებისათვის. მე პირადად ბევრი რამ ვისწავლე და დავინახე მათი საშუალებით... თქვენ განსაცვიფრებლად საინტერესო ანალიზი გაგიკეთებიათ და გაგიმდიდრებიათ ქართული ენათმეცნიერება უაღრესად საჭირო გამოკვლევებით. გისურვებთ, რომ ღმერთმა ხელი მოგიმართოთ.“ (**დოდონა კიზირია** – პროფესორი. აშშ, ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, 4/X. 2000 წ.).

წერილი საფრანგეთიდან:

ბატონო მამანტი!

„მე სულ საქართველოს ფარგლებს გარეთ მიწევს ყოფნა და აქ მრავალი მეგობარი შევიძინე, თქვენი წყალობით. ესენი მეტწილად ევროპელებია. ძალზე სასურველია თქვენი ნაშრომები ევროპულ ენებზე ითარგმნოს, ვინაიდან თქვენით აღტაცებულთა რიგები დღენიადაგ იზრდება“ (**ზაზა ხუნწარია,** X, 2000 წ.).

ავტორებთან სტუმრობისას წარმოთქმული სიტყვიდან:

„ძალიან სასურველია თქვენი წიგნების თარგმნა ინგლისურ ენაზე. თქვენი ორი წიგნი მე უკვე წავიკითხე. როგორც ამბობენ, მესამე წიგნი კიდევ უფრო საინტერესოა, ვნახოთ!..“ (**ლორენს ბრუერსი**, ლონდონის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი).

„ენის წარმოშობის საიდუმლოება“ მსოფლიო მნიშვნელობის ნაშრომია. მსგავსი ნაშრომი ენათმეცნიერების დარგში არ არსებობს“ (**ვლადიმერ ალფენიძე**, ფილოლოგი, მწერალი, აკადემიკოსი, აპრილი, 2002 წ.).

ბატონო მამანტი!

„თქვენი ნაშრომი („ენის წარმოშობის საიდუმლოება“) უნდა ითარგმნოს დიდ ხალხთა ენებზე. მისი რეზიუმე უნდა ითარგმნოს სულ მცირე 5 უცხო ენაზე და გაიგზავნოს ყველგან, მათ შორის სტოკჰოლმში, – ნობელის პრემიაზე.“ (**ჯემალ პაჭკორია** – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, 15/XII-95 წ.).

„ჩვენ გაცნობიერებული არა გვაქვს რა ხდება და რა ბედნიერები ვართ, როცა მამანტი და ცირა ძაძამიების გვერდით დავიარებით. თავის დროზე, მათი ძეგლებით მსოფლიო მოიფინება...

რომ შემეძლოს, მე მათ მთელ ჩემს სიცოცხლეს ვაჩუქებდი“ (**მზია უბილავა** – ფილოლოგი, გერმანული ენის სპეციალისტი, 31/III-04 წ.).

„ეს ნაშრომი მსოფლიოს ნომერ პირველი საოცრებაა“ (**ვალერი ლუკავა** – ეკონომისტი, წარწერა წიგნზე „სიტყვათწარმომავლობა – ენის წარმოშობის საფუძველი“, 10/IV-05).

ბატონ მამანტი ძაძამიას და მის ძვირფას ოჯახს (წარწერა წიგნზე):

„დიდ კოლხ (ქართველ) მეცნიერს მართლაც მეცხრე საოცრებას (კოლხეთის ჩათვლით) დედამიწაზე, ათასი კეთილი სურვილებით“ (**ვაჟა ებრისელი** – პოეტი, აკადემიკოსი).

„მამანტი და ცირა ძაძამიებმა თავიანთი შრომებით მსოფლიო ენათმეცნიერება გადააბრუნეს. მოვა დრო და ამაში ყველა დარწმუნდება“ (**ხუტა ხუფენია** – იურისტი).

ცირა ძაძამიას, მამანტი ძაძამიას (წარწერა წიგნზე):

„საუკეთესო სურვილებით, სიყვარულით გულითადობით.

ღმერთმა ხელი მოგიმართოთ იმ განუმეორებელი ენათმეცნიერული წიგნების გამოცემაში, რომელთა შექმნას თქვენს გარდა, კოლხური გულმხურვალებით ვერავინ შეძლებდა. აგაშენოთ ღმერთმა! პატივისცემით (**ტიტე მოსია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, 17/IV-06 წ.).

შვიდტომეულის პრეზენტაციაზე

2008 წლის 29 მაისს, ზუსტად ბატონ მამანტი ძაძამიას დაბადების დღეს, საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ, “ფაზისი”-ს მეცნიერებათა აკადემიამ, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიამ, საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიამ და საგამომცემლო სახლმა „ინოვაციამ“ ერთობლივად მოაწყვეს აკადემიკოსების: მამანტი ძაძამიას, ცირა ძაძამიასა და ვლადიმერ ვახანიას შვიდტომეულის „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“ პრეზენტაცია. მასში მონაწილეობა მიიღო 300-მდე აკადემიკოსმა; მათგან, სიტყვით გამოვიდა 32. აი, ძალიან მოკლე ამონარიდები მათი სიტყვებიდან:

ნუგზარ ნადარაია – “ფაზისი”-ს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი:

„ეს უკვდავი შვიდტომეული ისტორიული მოვლენაა. იგი ამიერიდან ამთავრებს ყოველგვარ უსამართლო საუბრებს მეგრული ენის შესახებ.“

ზაურ ნაჭყებია – გამომცემლობა „ინოვაციის“ დირექტორი:

„ეს უნიკალური ფუნდამენტური ნაშრომი, მსოფლიო მნიშვნელობის ქმნილებაა.

რევაზ მიშველაძე – პოეტი, შ. რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი:

„ამ უნიკალურ შვიდტომეულს, ვერასოდეს, აწ და მარადის გვერდს ვერ აუვლის ქართული ფენომენით, ქართული პრობლემით, ქართული სიტყვით დაინტერესებული ვერც ერთი მეცნიერი. გილოცავთ ამ დიდ გამარჯვებას.“

გიზო ჯელიძე – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი:

„რა დიდი შენაძენის პატრონი გახდა საქართველო. ქართულ მეცნიერებაში შემოვიდა შვიდი ტომი, სრულიად განსხვავებული შვიდი ტომი, რაც კი აქამდე დაწერილა ენათმეცნიერებაში. ავტორების უდიდესი, გასაოცარი ცოდნაა გამოვლინებული მასში. ეს სამაგიდო წიგნია, რომელზედაც დისერტაციები დაიწერება და თაობები აღიზრდებიან. ეს არის უდიდესი ქართული მოვლენა.“.

კლიმენტი შელია – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი:

„...ეს შვიდტომეული, მამანტი და ცირა ძაძამიების სხვა ნაშრომებთან ერთად, არის გადატრიალება მსოფლიო ენათმეცნიერებაში. ეს მართლაც ტიტანური ნაშრომია.“

შოთა გოგოხია – პროფესორი, აკადემიკოსი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის თავმჯდომარე:

„...ძალიან დიდი მეცნიერული საჩუქარი, უნიკალური შვიდტომეული ჩამოგვიტანეს სამეგრელოდან ჩვენმა ძვირფასმა სტუმრებმა.

იცოცხლეთ, იბედნიერეთ, ქვეყნის საკეთილდღეოდ“.

ტიტე მოსია – ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი. შვიდტომეულის მთავარი რედაქტორი:

„...ეს წიგნი გიგანტი, მონუმენტური ნაშრომი, შვიდტომეული, ფასს არასოდეს დაკარგავს. ეს არის ძვირფასი მადანი, ზღაპრული სიმდიდრე, არაჩვეულებრივი გამოკვლევა. დიდი მადლობა თქვენ, ამ ტიტანური შრომისათვის“.

შოთა ხოჭავა – პოეტი, მწერალი, აკადემიკოსი:

„მე სავსებით ვეთანხმები, უკლებლივ ყველა გამომსვლელის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ შვიდტომეული, რომელსაც დღეს განვიხილავთ, უდიდესი შენაძენია ერისთვისაც და მთელი კაცობრიობისათვისაც. ეს არა მარტო მისი ავტორების დიდი გამარჯვებაა, იგი ჩვენი და სრულიად საქართველოს დიდი გამარჯვებაცაა. ვულოცავ მათ და მთელ საქართველოს ამ დიდ გამარჯვებას.

ჯიბო ლომაშვილი – ფილოლოგიის მეცნიერებათ დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი:

„დღეს ისტორიული დღეა, ნამდვილად, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე. გულითადად ვულოცავ ბატონ მამანტის და ქალბატონ ცირას ამ დიდ გამარჯვებას, და ბატონ მამანტის დაბადების დღეს. ნეტავი კიდევ გაზარდოს ქართველმა დედამ მათი მსგავსი დიდი ადამიანები.

ციალა მესხია – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი:

„შვიდტომეული **„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“** კოლოსალური აზრისა და მნიშვნელობის დამტევია. მასში სავსებით დამაჯერებლადაა ახსნილი ენის წარმოშობის საფუძვლები, მოხმობილია მეგრული ენის უმდიდრესი ლექსიკური არსენალი, – სიტყვათა წარმომავლობის დადგენით.

ეს ნაშრომი ფანტასტიკურიცაა და საკვირველიც...

შვიდტომეულის უდიდესი მნიშვნელობა ის შეუვალი ჭეშმარიტებაა, რომელსაც უკვე ვერავითარი „ღრმააზროვანი“ ეჭვები თუ თეორიული კონტრავერსიები ვეღარ შესცვლიან“.

ვლადიმერ რამიშვილი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი:

„ბატონებო, მე სამწუხაროდ, ამ ნაშრომს არ ვიცნობ, მაგრამ დღეს სავსებით დავრწმუნდი, რომ ჩვენ – ერთიანი ქართველობა და სრულიად საქართველო გავმდიდრდით ახალი უნიკალური ნაწარმოებით. ამის დასტურია ამდენი მგზნებარე ქართული გული რომ ჩანს დარბაზში. ვულოცავ ავტორებს ამ დიდ გამარჯვებას“.

გია კვაშილავა – მათემატიკოსი, აკადემიკოსი:

„ეს წიგნი უდიდესი მოვლენაა მეცნიერებისათვის. და თუ ვინმე პირადი მცდარი შეხედულების გამო მას არ იზიარებს ეს მისი პრობლემაა; არავის უნდა ეწყინოს, რომ, სწორედ ის, ვინც კეთილსინდისიერად და დაბეჯითებით იბრძვის, მიაღწევს ასეთ დიდ წარმატებას, ნობელის პრემიასაც, ხოლო ისინი, ვინც მას ყურადღებას არ მიაქცევენ, დარჩებიან ისტორიის...“

ანზორ შონია – აკადემიკოსი:

„მე გაოგნებული ვარ, ასეთ ნაშრომს ხომ წარმოუდგენელად დიდი შრომა და ნებისყოფა დასჭირდებოდა. არ დადის ჩემამდე, თუ როგორ შეძლეს ავტორებმა ასეთი ფასდაუდებელი და კოლოსალური, – მოცულობითაც და შინაარსითაც, – მნიშვნელობის ნაშრომის შექმნა, ნაშრომისა, რომელიც ნებისმიერ სამეცნიერო დაწესებულებას დაამშვენებდა“. ეს ქართველი ხალხის უდიდესი საჩუქარია.“

ალექსანდრე კრავეიშვილი – აკადემიკოსი:

„...ეს ნამდვილად ტიტანური ნაშრომი და სამაგიდო წიგნია... ძალიან კარგი იქნება, თუ განათლების სამინისტრო ქართულ სკოლებში შემოიღებს მეგრული ენის სწავლებას. ამით უფრო გამდიდრდება ქართული გონი. ყველას გილოცავთ ამ უნიკალური წიგნის გამოსვლას“.

იაკობ ახუაშვილი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი:

„ჩემი შრომა ქართული გვარ-სახელების ოცტომეულზე უფრო მსუბუქია და ადვილად მისაღწევი, ვიდრე ის დაუხვნელი ყამირი, რაც ბატონმა მამანტიმ და მისმა ქალიშვილმა აითვისა. ... ბარაქალა თქვენს შრომისმოყვარეობას და თავდადებას! გილოცავთ ამ დიდ გამარჯვებას! იდღეგრძელეთ მრავალჟამიერ!

კოჩა კოლხი – მკვლევარი, აკადემიკოსი:

„...დღეს განსაკუთრებით ხმამაღლა და თამამად შემიძლია ვთქვა: ისეთი ღირებულების ნაშრომი, როგორიც შექმნეს მამაშვილმა მამანტი და ცირა ძაძამიებმა, აქამდე მსოფლიო ენათმეცნიერებს არ შეუქმნიათ. ეს არის ტიტანური შრომა, რომლის ღირსეულად შეფასებისათვის, შეიძლება, მთელმა საუკუნემაც არ იკმაროს.

მამანტი და ცირა ძაძამიები ჩვენი დროის ჭეშმარიტი გმირები არიან. უღრმესი მადლობა, თქვენ, ამ ფასდაუდებელი საგანძურისთვის“.

ჯემალ ჯიქია – აკადემიკოსი:

„დიდი ხანია ველოდით ამ მომენტს. ვის არ წაუკითხავს იოანე ზოსიმეს „ქება და დიდება ქართულისა ენისა “, სადაც წერია, რომ „ეს ენა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის მას მეორედ მოსვლასა“... დიახ, ეს არის ლაზარეს აღდგინება.“

გვანჯი მანია – ჟურნალისტი, აკადემიკოსი:

„უდიდესი საქმე გააკეთეს შვიდტომეულის ავტორებმა. ეს ტიტანური შრომა შეიძლება გახდეს გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნის ლაურეატი და გაიცნოს მთელმა მსოფლიომ.“

სიმონ ზაქარაია – მწერალი, ჟურნალისტი, პროფესორი, აკადემიკოსი:

„ეს უნიკალური ნაშრომი, შვიდტომეული, მართლაც ზეტიტანური, ფასდაუდებელი ნაშრომია, მართლაც საოცრებაა. გილოცავთ ამ დიდ გამარჯვებას, ძვირფასო მეგობრებო!

სოკრატ სალუქვაძე – აკადემიკოსი:

„ბატონო მამანტი, ქალბატონო ცირა! მე ვერ წარმომიდგენია, როგორ შესძელით ასეთი რამ. ეს ხომ რჩეულთა ხვედრია. ვინც რაც უნდა თქვას, თქვენი ტომეულები ამიერიდან ზეცაში იფრენენ. ისინი საქართველოსთან ერთად იცოცხლებს. გილოცავთ წიგნის პრეზენტაციის ასეთ მაღალ დონეზე ჩატარებას“.

ზურაბ მინდელი – პროფესორი, აკადემიკოსი:

„...ბატონო მამანტი! ქალბატონო ცირა! მგონია, თქვენ ღმერთი დაგეხმარათ ამ დიდ საქმეში, ამ გოლიათური ნაშრომის შექმნაში. სახელი და დიდება თქვენ, ბატონებო!

მამა ავთანდილ გიორგობიანი – ფუსტელთა სკოლა-მუზეუმის წინამძღვარი, აკადემიკოსი:

„მოგესალმებით და მოგილოცავთ. ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი გამოკვლევები, არა მარტო ეროვნული, საერო თვალსაზრისით, არამედ სასულიერო თვალსაზრისითაც. გილოცავთ ამ დიდ გამარჯვებას“.

ვაჟა ებრისელი – პოეტი, აკადემიკოსი:

„დიდი მადლობა, ძვირფასო მეგობრებო! დღეს არის ზეიმი მწერლობის, მეცნიერების, კულტურის და კაცობის. მინდა მადლობა გითხრათ მობრძანებისათვის. ბატონ მამანტი ძაძამიას, მის ქალიშვილს ცირა ძაძამიას და ბატონ ვლადიმერ ვახანიას უდიდეს მადლობას მოვახსენებ ამ დიდი შრომისათვის, და დიდი გამარჯვებისათვის, რასაც ქვია ეს უნიკალური შვიდტომეული“.

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს
მტრობისა და სიძულვილის
გველეშაპი მისდგომია;
მათ იციან, იქ იწყება
საქართველოს ისტორია“.

ვალერი ძაძამია,
გაზეთ „ნოჯიხურის” რედაქტორი,
მეცნიერებათა აკადემია „აია”-ს
წევრი

სიტყვა “კოლხიდას” ეტიმოლოგია

– **“კოლხიდა”-”კოლხი”-”კოლა”** სახელწოდების ძირია **“კოლ”**, **“ხი”** ბოლოსართია (მესხი, კარდუხი, სომეხი, უბიხი, დიაოხი, ჭიუხი, კორტოხი, კონცხი, ტახი, ზამბახი), “და”-”დია” აღნიშნავს ქვეყანას (ელადა, ეგეიდა, კარდია, ხალდია).

– **“კოლო”** მეგრულად ნიშნავს მწარეს და ჭაობს. საქართველოში გვაქვს ახლახანს ხელოვნურად შექმნილი ტოპონიმი **“კოლხეთის დაბლობი”** – სინამდვილეში **“კოლო”** ამ დაბლობის მხოლოდ ჭაობიან ნაწილს ერქვა, რადგან მეგრულად ჭაობს საერთოდ ასე ქვია. **“კოლხიდას”** რომ თავიდანვე **“ჭაობეთის”** მნიშვნელობა ჰქონოდა, მაშინ მტკვრის სათავესთან, რომელიც მთიანი რეგიონია, ტოპონიმი **“კოლა”** არ გვექნებოდა. ბერძნულ-ლათინურად **κολάνη-”კოლინა”-”კოლი”** ნიშნავს **“გორას” – “მთას”** რასაც შეესაბამება მეგრული **“გოლა”**. ჰეკატე მილეტელის ცნობით კავკასიის მთებს ეწოდება **“კოლის”** მთები. შამში-ადად V-ს წარწერაში მოხსენიებულია **“კულარის”** (კოლარის) მთები. თუკიდიდე მთლიანად ანატოლიის ნახევარკუნძულს **“კოლხიდის”** ნახევარკუნძულად მოიხსენიებს. ქსენოფონტეს აღწერითაც კოლხები მთიან ადგილებში სახლობდნენ. ძველბერძნულად **κόρυμβος** ნიშნავს ქედს, მთის წვერს, გორას: **“კოლას”** მთებს ეწოდებოდა **“კორაქსული მთები”**, ამ მთებიდან გამოსულ მდინარეს (მტკვარს) ერქვა **“კოროსი”** (მოგვიანებით **“კიროსი”**), იქ მაცხოვრებელ ხალხს **“კორაქსები”-”კორძენები”**, რომელთა განსახლების ტერიტორია მოიცავდა აგრეთვე **“კლარჯეთს”** – **“კოლარჯეთს”** და სავარაუდოდ ასე ერქვა ჭოროხის, კოდორის, ყუბანის და არზანის (ევფრატის შენაკადი) რეგიონებსაც. ამდენად **“კოლხეთის”** სახელის **“ჭაობეთის”** მნიშვნელობიდან მიღება გამორიცხულია, მაგრამ არც ის ვერსიაა დამაჯერებელი რომ **“კოლხიდა”** მხოლოდ მთიანეთს ნიშნავდა – თუ **“კოლხიდა”** მთიანეთს ნიშნავდა, რატომ ერქვა მას თავიდან **“აია”**, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ზღვისპირეთს მოიცავდა? კოლხების განსახლების ურთიერთგანსხვავებულ არეალთა და იქ **“კოლ”**-ძირიანი ტოპონიმების არსებობა ცალსახად მიგვანიშნებს იმაზე რომ ეს ტერმინი არც მთებთან, არც ჭაობებთან და არც ზღვისპირეთთან უშუალო კავშირში არ იყო.

– მეგრულად **“კილახონუა”** ნიშნავს ხვნას, **“კინახონა”** ნიშნავს გუთნის კავის რკინის წვერს, მაგრამ ამ სიტყვებიდან **“კოლ”**-ფუძეს ვერ ვღებულობთ, რადგან **„კილა“**, ამ შემთხვევაში, თავსართია, ხოლო **„კინა„** ნიშნავს რკინას. ლათინური **“კოლერე”-”კოლტივარე”** სამიწათმოქმედო ტერმინებია, სადაც **“კოლ”**-ძირი იკვეთება, მაგრამ ის ლათინურად ნიშნავს შეგროვებას-შეწებებას. თუშურად **“კილხი” – “კუხი”** ნიშნავს ხრიოკ, სახნავ-სათესად გამოუსადეგარ ქვიან ფერდობს. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე **„კოლ“**-ფუძეს ხვნის მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა.

– **“კოლ”** ფუძის საწყისი ფორმა შესაძლოა იყოს **“ქართ”-”ქორთ”** ფუძე. გამყრელიძე-ივანოვმა ქართული **“ტყებ”-**”ტყავ” ძირი მიიჩნიეს ბერძნული **“კოვ”** ძირის საფუძვლად. ამ ორი **“მეცნიერის”** მიხედვით გამოდის, რომ ქართული **“ა”** შეიძლება ბერძნულში ქცეულიყო **“ო”**-დ. ამ ლოგიკითაც ვღებულობთ **“ქორთ”**-ს (მეგრულში ქართ-ველი ხდება ქორთ-უ). ბერძნულში **“ქ”** ხშირად იქცევა **“კ”**-დ, **“რ”** კი **“ლ”**-ში ადვილად გადადის – მივიღეთ **“კოლ”**. **“ლ”**-ს მერე **“თ”** იქცევა **“ხ”**-თ, ანუ **“ხ”**-ს წინ **“რ” “ლ”**-ში დაგადის, ანუ **“კოლთ”**, რაც უფრო ადვილად წარმოითქმის როგორც **“კოლხ”, “ლთ”** კი საერთოდ არ გვხვდება ბერძნულ დაბოლოვებებში. **“ქართიდა-კორთიდა-კოლთიდა”** მოუხერხებელი იქნებოდა ბერძნული ენისთვის და **“კოლხიდას”** ამჯობინებდნენ (ანალოგიურ შემთხვევას გავს **“კორინთო”**), მაგრამ ეს ვერსიაც მაინც ძალზედ სათუოა, რადგან მართალია ბერძნული ენისთვის **“რთ”** და **“ქ”** თავსართი მოუხერხებელია, სამაგიეროდ მას ენაცვლება **“რდ”** და **“კ”-”გ”** ფორმა – და მართლაც, არსებობს ელინიზებული სატომო სახელი **“კარდუხი”** და **“გორდუენო”** (ორისვეს ფუძე არის **“ქართ”**). ამდენად, თუ **“კოლხიდის”** ძირია **“ქართ”**, მას ბერძნულად **“კარდუხიდა”** ან **“გორდიონი”** უნდა რქმეოდა, და არა **“კოლხიდა”**. გარდა ამისა გამოდის რომ ასურულმა ენამაც **“ქართ”**-ძირი **“კულხად”-”კოლხად”** აქცია, რაც ნაკლებ დამაჯერებელია რადგან ასურულში **“ქართ”**-ძირს შეესაბამება **“ართუ”-”არდუ”-”ურ-ართუ”** (ურარტუ).

– მეგრულად სიტყვა **“კოლი”** ნიშნავს მიწაში ჩარჭობილ სარს ან ბოძს, რაც შესაძლოა წარმართულ ეპოქაში განასახიერებდა წმინდა სვეტს და სიცოცხლის ხეს. სიცოცხლის ხეს საქართველოში განასახიერებდა აგრეთვე დედაბოძიც. მეგრულ სიტყვა **“კოლს”** ბერძნულ-ლათინურად შეესაბამება **“კოლის”-”კოლონა”**-სვეტი. ანტიკურ სამყაროში არსებობდნენ განმარტოებით მდგარი **“კოლონები”**-სვეტები, რომლებსაც რელგიური დატვირთვა ჰქონდა – ეს უნდა ყოფილიყო სიცოცხლის ხის კულტის გადმონაშთი. **“კოლოსი”** ლათინურად აგრეთვე ნიშნავს ხერხემალს და ხორბლის თავთავის ღერძს რომელზეც მარცვლებია მიმაგრებული.

– საქართველოში სიცოცხლის ხეს განასახიერებს აგრეთვე ჩიჩილაკი, რომელსაც **“კალანდობაზე”** – ახალ წელს ამზადებენ – თავად სიტყვა **“კალანდობა”** ზოგის აზრით ლათინურიდან არის შემოსული და ითარგმნება როგორც კალენდრის პირველი დღე. მე ამ მოსაზრებას არ ვეთანხმები, რადგან თვითონ ლათინურ სამყაროში ახალ წელს ასე არ ერქვა: ტერმინით **“კალენ’დაე”** ძველ რომში აღინიშნებოდა არა წლის არამედ ყოველი თვის პირველი ხუთი დღე; დღე ლათინურად არის **“დაე”,“კალო”** კი ბერძნულ-ლათინურად ნიშნავდა ძახილს (მოხმობას) – გამოდის **“დაძახების დღე”**, რაც ახალი წლის დასაწყისის აღმნიშვნელად შინაარსობლივად გაუმართავია და ამდენად სიტყვა **“კალანდა”** ბერძნულ-ლათინური წარმოშობის არ უნდა იყოს. ძველ რომში **“კალანდა”** ღვთაება დიონისე ფრიგიელის დღესასწაულების ბოლო ხუთ დღეს ერქვა დეკემბრის ბოლოს, ახალი წელი კი ძველ რომში იწყებოდა 14 მარტს, როცა დგებოდა დღე-ღამ-სწორობა. რაც შეეხება დიონისე-ბახუსს ის ევროპაში მცირე აზიიდან შესულ ღვთაებად მიიჩნევა, ამდენად მისი დღესაწაულის სარიტუალო ტერმინებიც მცირეაზიული წარმოშობის უნდა ყოფილიყო, ამიტომ, სიტყვა **“კალანდას”** თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა ვეძებოთ წინააზიურ ენებში და არა ბერძნულ-ლათინურში. სიტყვა **“კალანდა”** შეგვიძლია განვმარტოთ მეგრული ენით: **“კალა”** არის იგივე **“კოლი”**, რომელიც ზემოთ ვახსენეთ (სარი-ბოძი-სვეტი-სიცოცხლის ხე – სხვათა შორის **“კალანდას”** სლავიანურად **“კოლანდა”** ქვია და უკავშირდება ხის კულტს – **“იოლკას”-”ოლხას”**); **“ნდა”-”ნდღა”** ნიშნავს დღეს – ასეთი ინტერპრეტაციით **“კალანდას”** საწყისი ფორმაა გამოდის **“კოლა-ნდღა”**, რომელიც იყო სიცოცხლის ხის დღესასწაული და ის წარმართულ ეპოქაში სავარაუდოდ სრულდებოდა გაზაფხულზე, საიდანაც იწყებოდა ძველად წელიწადის ათვლა, რაც უფრო ახლანდელ ბზობასთან იყო ახლოს.

– მკვდრების მისაწევარ შეჭამადს **“კორკოტს”**, რომელსაც ამზადებდნენ ხილის, თაფლის და მარცვლეულის შერევით, ბერძნულად ერქვა **“კოლიბა”**, სლავურად – **“კოლივო”**, ქართულად – **“კოლიო”**.

– **“კოლი”**, გარდა საკულტო სვეტისა, თავად საკულტო ხის სახელიც უნდა ყოფილიყო: **“კ”** მეგრულად ნიშნავს **“რკოს”** (კრკოს), რაც სხვა ხეების მსგავს ნაყოფსაც აღნიშნავდა. ამდენად, შესაძლოა **“კ”** თავსართის სახით ერთვოდა ხეების სახელებს (ჭყონი-კრჭყონი, რცხილა-კრცხილა, კაკალი, კედარი, კიპარისი). ქართულად **“ოლე”** ნიშნავს განმარტოებით მდგარ დიდ ხეს – **“ბერმუხას”**. წმინდა ხეა **“ალვის ხეც”** (**“ალიხე”**), ლათინურად მას შეესატყვისება **“ალნუსი”** და **“ალბერი”**. კულტების წმინდა ხის სახელი შემორჩენილია ევროპის ზოგიერთ ენაში, როგორც **“ოლხა”** და **“აილხე”** (იოლკა). სვანური სიმღერა **“(ო)ლილე”** და სლავიანური სადღესასწაულო სიმღერები **“კოლოტები”**, სავარაუდოდ, მას ეძღვნებოდა. ამდენად, დიდი ალბათობით, ადრე მართლაც არსებობდა ხის ჯიში სახელად **“კოლა”**, რომელიც ძალზე დიდი ხნის უკან გადაშენდა მცირე აზიაში, რადგან სავარაუდოდ ეს იყო ტროპიკული ხის ჯიში, რომელიც დათბობის პერიოდში ხარობდა მცირე აზიაში და შემდგომ კლიმატურ ცვლილებას ვერ გაუძლო. დასავლეთ და ცენტრალურ აფრიკაში კი დღემდე არსებობს ხე სახელად **“კოლა”**, რომლის კაკალიც თანამედროვე დასალევის **“კოკა-კოლას”** მეორე კომპონენტია. საყურადღებოა რომ აფრიკულ თქმულებებში ეს ხე ადამიანებს ღმერთებმა უწყალობეს.

– ისტორიული საქართველოს **“კოლას”** რეგიონის ჩრდილო-აღმოსავლეთით არის ხეობა **“რკონი”**, რაც **“კოლას”** ქართული შესატყვისი უნდა ყოფილიყო. **“კოლას”** რეგიონს ამასთანავე ერქვა **“კედარი”**, რაც აგრეთვე წმინდა ხეა. კოლას სამხრეთ-დასავლეთით არსებობს ტოპონიმი **“ოლთისი”**. ისტორიულ საქართველოში გვხვდება ტოპონიმები: **“კოლი”** იგივე **“კოლიკი”** (ჭოროხის ხეობაში); კაბადოკიაში არსებობდა ქალაქი **“კოლასა”**, იგივე **“კოლასტი”**, სადაც დაიბადა წმინდა ნინო; **“კოლთენე”** (მდებარეობდა ზემო არაქსის ხეობაში); **“კოლბი”** (გოგარენში); შუამდინარეთში არსებობდა ქალაქი **“კოლაბერდი”**,**“კულხა”** და **“კალხუ”** (იგივე ნიმრუდი). ერთ შუმერულ ღვთაებას ერქვა **“კოლა”** (საქართველოში ეს მამაკაცის სახელი ხშირად გვხვდება). ხეთების სამეფოშიც მუხის კულტი იყო გავრცელებული. ხეთურ მითში მოკვდავი და აღორძინებადი ღვთაების, თელიფინუს წინ, **“ეიას”** წმინდა ხეს დგამენ, რომელზედაც ცხვრის ტყავს ჰკიდებენ. ანტიკურ მითებში, ოქროს საწმისი მდინარე ფაზისის პირას, ომის ღვთაება არესის ხეობაში, მუხის ხეზე იყო ჩამოკიდული და მას ურჩხული (იქნებ ქერუბიმი-სფინქსი, **“მუხის ანგელოზი”**) დარაჯობდა. სვანურ თქმულებებშიც არსებობს მუხის ხეზე ჩამოკიდებული საწმისი. საერთოდ ქართულ ცნობიერებაში მუხა იგივე საქართველოა, რაც კარგად გამოიხატება ერთ ქართულ ხალხურ ლექსში – **“მუმლი მუხასაო”...**

ბაკურ მორგოშია

ჰოეზიის კუთხე

სათრევლები

27 მარტს მოწმედ გამოძახებულ მოქალაქე საკაშვილზე

პასუხი – ბაძბაყდევური

ცოლეურიდან წაგვეკაიფა,
ჰოლანდიიდან დაგვკუწ-
დაგვფლითა
და მესამედაც მოსვლას
დაგვპირდა
„მისი ბრძოლით“ და „მაინ
კამფითა“.

ბაქი-ბუქას “მაინ კამფი”

სად არის, სად არის, სად არის,
სადარი მფორთხავი სარდალის?
სადა და ცოლეურს ბრძანდება
და მოჰყვა „ცოცხების“ მზადე-
ბას...
როდესაც ვუხსენებთ სამარ-
თალს,
სიდედრთან ბაქი-ბუქს გამარ-
თავს.
და რაკი რაღაცით მაინც ჰგავს
ჰიტლერს და მის ცნობილ “მაინ
კამფს“,
დე, ჯიჯგნონ, დაგლიჯონ
ძაღლებმა
რაც დალპა, აშმორდა, მძაღდება!

შოუმენი 5 დღით

როცა კალთაში ჩაისვა,
დაიწყო ედოს ჩაის სმა,
მერე ტრაბახიც გაისმა,
რაკი ახსენა მაილსმა.
თუმცა ვერ მიხვდა, – „რაიზა“,
რატომ გაუწყრა რაიზა,
ომი აქცია შოუთ და
ამ ომს 5 დღე მოუნდა
და მასზე „მოკლე“ პუტინმა
მის სამწყსოს დედა უტირა.

* * *

ორი უდგას უკან იმას,
როცა „მოძღვრავს“ უკრაინას,
ბაქი-ბუქა, ცრუ და ქლესა
ორორლესულსა მიტომ ლესავს!

ალექსანდრე შენგელია

ჩემო საფიც-სახატეო

ჩემის მშობელი მიწა ხარ, თანაც
საძვალე ჩემია,
შენზე ფიქრების გარეშე არ
დაილევა დღენია.
ჩემთვის ხარ ხატი-სალოცი, სიც-
ოცხლე სიხარულია,
მოურჩენელი სენი მჭირს – სამ-
შობლოს სიყვარულია.
აეროს ნაძვნარ-ფიჭვნარი, სა-
თანჯოს ბადრი მთვარეო,
იმ შენი მიწის სურნელს და
ორთქლ-ცვარსაც ვენაცვალეო.
ჩემთა წინაპართ საფლავი სათ-
უთად შემინახეო,
უმორჩილესად ერთსა გთხოვ,
შენს მიწას მიმაბარეო!
იმ ჩვენსა ძველსა “ბოგიელს”
დატანჯულ გალის გარემოს,
ჯერაც იმედი არა მაქვს – ვიხ-
ილავ დღეს ან ხვალეო.
თურმე რა ძნელი ყოფილა, ანდა
როგორი მწარეო,
უშენოდ ყოფნა ძვირფასო, ნა-
ტრულო აფსნის მხარეო.
სულ შენზე ვფიქრობ დევნილი,
წუხელ სიზმარშიც ნახეო,
თან თვალწინ მიდგას იცოდე,
შენი იერი-სახეო.
ნუ მიწყენ, ჩემო ძვირფასო, რომ
ვეღარ დაგიფარეო,
ძირძველო სამურზაყანოვ, ის-
ტორიულო მხარეო!
ოცი წელი უშენობით, საუკუნე
განვლე თითქოს,
თუმც ფიქრებით შენთანა ვარ,
შენს მიწაზე დავალ ვითომ.
ანდერძს ვტოვებ, როს მოვკვდე-
ბი, ვინცა მიცნობს და არ მიც-
ნობს
სხვა მიწა არ დამაყარონ, სხვა
მიწას, მე, მკვდარიც ვიცნობ!

ირი კაკავა,
ქ. ზუგდიდი

სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ზუგდიდის ორგანიზაცია, არასამთავრობო იურიდიული პირი “ისტორიული მემკვიდრეობა”, გაზეთები “საქართველო და მსოფლიო” და “ილორი” თანაგრძნობას უცხადებენ ქალბატონ ელეონორა მებონიასა და ბატონ მამანტი ძაძამიას დედისა და სიდედრის

ოლია ტოჩია – მებონიას

გარდაცვალების გამო.

ჯალაღონია-ჯალაღანიების გვარის დალოცვა

2014 წლის 25 მაისს საქართველოს **კათალიკოს პატრიარქი ილია II** დალოცავს **ჯალაღონია-ჯალაღანიების** გვარს. ამისთვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივად დაწერა (დახატვა), რისთვისაც **“ლიბერთი ბანკში”** გახსნილია ანგარიში. **მფო 220101480 ანგ. №GE44LB0711101664171640 (როლანდ ჯალაღანიას სახელზე).** მნიშვნელოვანია, ყველა ჯალაღონია-ჯალაღანიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოთ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასაზუსტებლად შეგიძლიათ დარეკოთ ნომერზე: **599-57-33-22, 597-34-43-70 – როლანდ ჯალაღანია).**

კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე

დასაწყისი "ილორი" №№171-262

დემოკრატიის კლასიკოსებიც კი აღიარებდნენ, რომ ხალხს აქვს უსამართლობის წინააღმდეგ აღდგომის უფლება. რუსეთს არ სჭირდება ელიტა, – წერს სტატიის ავტორი,– რუსეთს სჭირდება ხალხი – განათლებული, მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნებით. ხალხი, რომელიც თავისუფლებას არ გაყიდის ძეხვზე და უკან არ დაიხევს არც **„ახალი ბურჟუაზიის"** არც **„უცივესთა შორის ყველაზე ცივი ურჩხულის"** წინაშე.

რუსეთს თავისუფალი მოქალაქეები სჭირდება.

ისინი, ვინც თავად გადაწყვეტს, თუ როგორ უნდა იცხოვრონ.

ანდრეი სტოლიაროვის სტატიიდან ამონარიდი იმიტომ მოვიტანეთ, რომ ყველა ქვეყნის ოლიგარქს – ამერიკელ, ინგლისელ, რუს თუ ქართველს ერთიდაიგივე აზრი აქვთ; საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაშია, მეორე მცირე ნაწილ, ფუფუნებაში იხრჩობა. ასეთია ბურჟუაზიის **„ზნე-წესი"**. ხელისუფლება **„ახალი ქართული ბურჟუაზიას" „ზნე-წესს"** ვერ შეაცვლევინებს.

ცნობილია, რომ 1970-იან წლებში მომავალი დროის შიში მდიდრების პრობლემა იყო, რომლებსაც ნავთობის მარაგის საკითხი და ფინანსური დისბალანსი აწუხებდათ. ამჟამად, XXI საუკუნის დამდეგს, გლობალიზაციის პირობებში, ყველა ყველასთან და ყველაფერთან არის დაკავშირებული და ერთის (ან ერთზე) დარტყმა მეორეზე და მთელ სამყაროზე მოქმედებს, ფაქტობრივად მთელ სამყაროზე დარტყმას ნიშნავს.

ადამ სმიტს შემთხვევით არ უთქვამს: **„დიდი ფულის უკან დიდი დანაშაულია".**

ფული ანგრევს, ანადგურებს ყველაფერს. ფული არის ყოველგვარი უბედურების წყარო.

ბრძენი ილია 1903 წელს ამბობდა: აქამდე ჩვენს **„მიწა-წყალს ხმლით ვინახავდით და ასე თუ ისე, შევინახეთ კიდეც. დღეს ხმალი ქარქაშში ჩაეგო. დღეს სხვა მტერი მოდის ჩუმად ქურდულად, როგორც მაცდური და მპარავი. იგი მტერი ფულია, გაიძვერა და მზარავი. იგი ღიმილით და ალერსით მოგექცევათ და ისე გამოგაცლით ხელიდან ამ ლამაზს, მდიდარს ქვეყანას, რომ პირველ ხანში იქნებ მადლობა გადაუხადოთ."**

ფილიპე მაკედონელი (ალექსანდრე მაკედონელის მამა) ამბობდა: არ არსებობს ისეთი ციხე-სიმაგრე, რომელიც ოქროთი დატვირთულმა ვირმა არ აიღოს. აი, ასეთია ფულის ძალა.

ისმება ასეთი ნათელი კითხვები – პირველი: კაპიტალისტ-ოლიგარქმა მთელი სიცოცხლე რომ იშრომოს (ფიზიკურად თუ გონებრივად), შეუძლია თუ არა გამოიმუშაოს მილიონები და მილიარდები? რა თქმა უნდა, არა. ეს მილიონები და მილიარდები მას მოპოვებული აქვს სხვისი შრომის მითვისების ხარჯზე; მეორე: ჭირდება თუ არა მილიონები და მილიარდები კაპიტალისტ-ოლიგარქს? ოლიგარქიული სისტემა, მსოფლიოში ყოველგვარი უბედურების მიზეზი და წყაროა. შეგნებული აქვს თუ არა ეს ინტელექტუალურ საზოგადოებას? რა თქმა უნდა აქვს, მაგრამ ძალაუფლება კაპიტალისტ-ოლიგარქების ხელშია, რომლებსაც შეიარაღებული ძალებით იცავენ საკუთარი ქვეყნის მთავრობები.

ყველაზე პატიოსანი, ყველაზე კეთილშობილი კაპიტალისტი სხვის შრომის შედეგებით არის გამდიდრებული. სხვისი შრომის შედეგად არის გაკაპიტალისტებული.

გვინდა ისიც ვთქვათ, რომ ძალიან საწუხარია: ქართველი ბიზნეს-კაპიტალისტებს შორის თითქმის არ არიან სარაჯიშვილები, ხოშტარიები, ზუბალაშვილები.

მოგვაქვს მასალები 2008-2009 წლების მსოფლიო კრიზისის ვითარების შესახებ.

ამერიკული ბიზნეს-ჟურნალის **„ფორბსის"** მიერ 2009 წლის მარტის დასაწყისში ნიუ იორკში წარმოდგენილი მონაცემების თანახმად კრიზისმა მილიარდელთა რიცხვი 332 ადამიანით შეამცირა. ე.ი. 2008 წელს ხუთი უკანასკნელი წლის განმავლობაში მილიარდერთა რიცხვის შემცირება პირველად დაფიქსირდა.

მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების საფულე ერთი წლის განმავლობაში ასტრონომიული თანხით, თითქმის 2.4 ტრილიონი დოლარით შემცირდა.

პირველი ადგილისათვის ბრძოლა, ფაქტიურად გადარჩენისათვის ბრძოლად იქცა. მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანის სახელი **„მაიკროსოფთის"** დამაარსებელმა ბილ გეითსმა დაიბრუნა, რომელმაც **„სულ რაღაც"** 18 მილიარდი დოლარი დაკარგა და დაახლოებით 40 მილიარდი დოლარი დარჩა. გეითსთან შედარებით მეტი დაკარგა უორენ ბაფეტმა (ეს ის უორენ ბაფეტია, რომელმაც 2008 წელს განაცხადა, რომ 44 მილიარდიან ქონებას გადასცემდა საქველმოქმედო ორგანიზაციებს და ამერიკის კონგრესში სხვა მაგნატებსაც მოუწოდა ასევე მოქცეულიყვნენ. გაუგებარია რა ხდება. ეტყობა, მაგნატები ვერ ელევიან თავიანთ სიმდიდრეებს), რომელიც დარჩენილი 37 მილიარდი დოლარით მეორე ადგილზეა. ბაფეტის კომპანია **„ბერქუირ ჰეთეუეისათვის"** 2008 წელი არსებობის ისტორიაში ყველაზე უარესი იყო.

მიუხედავად ამისა – კრიზისისა, 44 ბიზნესმენი ფულის დაკარგვის ნაცვლად, პირიქით უფრო გამდიდრდა.

როგორც ჟურნალი **„ფორბსი"** აღნიშნავს 2008 წლის განმავლობაში გასაკუთრებით დიდი ზარალი: რუსმა მილიარდერებმა განიცადეს – მათი რიცხვი 55-ით შემცირდა და დარჩენილი 32 მილიარდერის საერთო ქონება 471.4 მილიარდიდან 102 მილიარდამდე შემცირდა.

აღსანიშნავია, რომ 2008 წელს მოსკოვში 74 მილიარდერი ცხოვრობდა, ნიუ იორკში 71, ლონდონში – 36; 2009 წლის დასაწყისში ნიუ იორკში 55 მილიარდერი ცხოვრობდა, ლონდონში 28, მოსკოვი – 27.

ამერიკის მილიარდერთა პირველ ოცეულშია ნიუ იორკის ყოფილი მერი მაიკლ ბლუმბერგი, რომელმაც კრიზისის მიუხედავად გამდიდრება შეძლო (ეს დიდი ექსპლუატატორი ნიუიორკის მოსახლეობამ მერად ზედიზედ რამდენიმეჯერმე აირჩია).

როგორც ჟურნალი **„ფორბსი"** (დამაარსებელი სტივ ფორბსი) მიუთითებს მსოფლიოში ამჟამად (2009წ. მაისი) 1125 მილიარდერია, რომლებიც უზარმაზარ გავლენას ახდენენ მსოფლიო ბაზარზე, მუშათა კლასზე და შესაძლოა არმიაზეც კი.

"ამა ქვეყნის ძლიერთა" შორის მეორე ადგილზეა იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი, რომელიც მართავდა ქვეყანას 58 მილიონი მცხოვრებით, რომლის მთლიანი შიდაპროდუქტის მოცულობა 2.4 ტრილიონი დოლარია, ხოლო ბიუჯეტი 43 მილიარდი დოლარია. მესამე ადგილზეა ინდოელი მეწარმე ლაქშმი მიტალი, რომელიც მსოფლიო ფოლადის წარმოების 10 პროცენტს აკონტროლებს.

აღნიშნულ სიაში მოხვდა ოპრა უინფრი – ამერიკელი ტელეწამყვანი, რომლის თოქშოუ 114 ქვეყანაში გადაიცემა და 46 მილიონი ადამიანი უყურებს. უინფრის ერთი სიტყვა უცნობ წიგნს ბესტსელერად აქცევს. **„ასეთია სადღეისოდ ჩამოყალიბებული მსოფლიო ეკონომიკის ნახევრად კრიმინალური** (რატომ, **„ნახევრად კრიმინალური", არამედ აბსოლუტურად კრიმინალური – კ.შ.) ტიპი".**

ჩემს ადრინდელ ნაშრომებშიც მითქვამს, რომ ფორმაციულ (კლასობრივ) საზოგადოებაში – მონათმფლობელური თუ ფეოდალური წყობილების დროს, მონა თუ ყმა გლეხი, არ შიმშილობდა – მონათმფლობელს, ფეოდალს მონა, ყმა აუცილებლად უნდა გამოეკვება და საცხოვრისი უნდა მოეცა, რომ სამუშაო შეესრულებინა. კაპიტალიზმის დროს კაპიტალისტი **„ვალდებული"** არ არის მუშა გამოკვებოს. რადგან ბაზარზე ათასობით უმუშევარია და მუშა ხელის ნაკლებობა არ ექნება – ერთის ნაცვლად მეორეს აიყვანს. როგორც ცნობილია, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მაღალგანვითარებულ თუ განვითარებად ქვეყნებში ასეულათასობით ადამიანი შიმშილობს, მილიონობით ადამიანს არა აქვს ნორმალური ეკონომიკური ცხოვრების პირობები.

კაცობრიობის მომავალი იმედი მხოლოდ სოციალისტური წყობილებაა. ეგრეთ წოდებულმა **„პროლეტარიატის დიქტატურამ",** საშინელი ტერორისა და უკანონობის გამო, ავტორიტეტი გაუტეხა სოციალიზმს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ ე.წ. სოციალიზმსაც სოციალური დაცვა მაღალ დონეზე ჰქონდა (აბსოლუტურად არ განვიცდი სოციალიზმის ნოსტალგიას, პირიქით), ყველა მოქალაქე რიგის მიხედვით ღებულობდა უფასოდ ბინას, ძალიან დაბალი იყო კომუნალური მომსახურების ფასები. ასევე დაბალი იყო პირველადი მოთხოვნილების და საოჯახო საგნების ფასები, ყველას ჰქონდა თანასწორი განათლების მიღების უფლება, უფასო იყო სამედიცინო მომსახურება, მათ შორის ყველა სამედიცინო ოპერაცია და მშობიარობა. ახლა კი ჭიაყელა ნაწლავის, ნაღვლის ბუშტის, პროსტატის, კატარაქტის, გლაუკომის ოპერაცია, მშობიარობა ძალიან ძვირი ღირს; პროსტატა, კატარაქტი, გლაუკომა ძირითადად მოხუცებისა და პენსიონრების ავადმყოფობაა, რომლებსაც ძვირად ღირებული მკურნალობისათვის თანხები არ გააჩნიათ, ამერიკაშიც და ევროპის ქვეყნებში მოხუცებულებისათვის და პენსიონერებისათვის განკუთვნილი წამლები, შედარებით იაფი ღირს. გარდა ამისა ამერიკაში და ევროპოს ქვეყნებში პენსიონერები რამდენიმე ათას დოლარ პენსიას ღებულობენ, ხელფასი კი კიდევ უფრო მეტია, ამიტომ მათთვის წამლების ყიდვა პრობლემა არ არის. ჩვენ ორი დიდი სააფთიაქო ოლიგარქები **„ავერსი" და „PSP"** სისტემატურად ზრდიან წამლის ფასებს, განსაკუთრებით იმ წამლის ფასებს, რომლებსაც დიდი მოთხოვნილება აქვს და განკუთვნილი არიან პენსიონერებისათვის. ჩვენთან, რატომდაც მაშინათვე მთავრობა, ხელისუფლებას აკრიტიკებენ, რა შუაშია ხელისუფლება, თითოეული უწყება თვითონ უნდა უვლიდეს თავის ობიექტს. ცხადია, საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შესაფერისად ვერ მოუარა თავის უწყებას (2010 წ. აპრილი). ამიტომ პირველ რიგში, მინისტრია პასუხისმგებელი.

ყველას ჰქონდა დასვენებისა და ფასიანი შვებულების ერთ თვიანი უფლება, არ იყო უმუშევრობა, **„სოციალიზმის დროს"** ყველაზე დაბალხელფასიანებსაც კი არ ჰქონდათ მძიმე ეკონომიკური პირობები და არ ემუქრებოდა უხელფასობა და შიმშილი, არ ითიშებოდა გაზი, ელექტროენერგია, წყალი – თუ გამოითიშებოდა წუთიერად, და იმას წინასწარ აცნობდნენ მოსახლეობას. ახლა კი კაპიტალისტს შეუძლია გამოგითიშოს გაზი, სინათლე, წყალი და მოქალაქეები კაპიტალისტს ამისთვის ვერაფერს უზამენ. ძალიან შორს წაგვიყვანს ყველა იმ პრივილეგიების ჩამოთვლა, რომელიც სოციალიზმს ჰქონდა. მეცნიერების, მწერლების წიგნები დადგენილი გეგმის მიხედვით გამოდიოდა, წიგნის ავტორები სახელმწიფოსგან მაღალ ჰონორარს ღებულობდნენ, გამოცემულ წიგნებს სახელმწიფო (ალბათ გამომცემლობის საშუალებით) აგზავნიდა საკუთარი ქვეყნის ბიბლიოთეკებში და საზღვარგარეთის დიდ, წამყვან სახელმწიფო და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებში. საქალაქო და რაიონული ბიბლიოთეკების გარდა, ყველა სოფელში იყო ბიბლიოთეკა და სამკითხველო. დღეს ავტორმა წიგნი თავის ხარჯზე უნდა გამოსცეს. მაგრამ წიგნს მკითხველი არ ჰყავს, სწავლულ, განათლებულ ადამიანს ფასი არ აქვს, მეცნიერებზე დიდი ხელფასი აქვს თითქმის ყველა რიგით მუშაკს, მაღალი ხელფასი აქვს ზედაფენას, რომელსაც წიგნი არ უჭვარს, წიგნი არ ჭირდება. წიგნების, მით უმეტეს ძვირადღირებული წიგნების ყიდვის შესაძლებლობა არა აქვთ დაბალხელფასიან ადამიანებს – ასეთები კი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობაა.

შემთხვევით არ ამბობს მწიგნობარი გურამ გოგიაშვილი: **„ამჟამინდელ საქართველოში ადამიანებს და წიგნებს ერთნაირად უჭირთ. ამ ამბავს ზოგი მოსწრებულად და თავისებურად ხსნის: ვისაც წიგნი უყვარს, წიგნის შესაძენი ფული არა აქვსო, ხოლო ვისაც ფული აქვს, წიგნი სულ ცალ ფეხზე ჰკიდია, რადგან უამისოდაც მშვენივრად ახერხებს ცხოვრებასო... სულ ახლახან განათლების მეცნიერებისა და კულტურის დარგში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (იუნესკო) ავბედით ცნობებში: საქართველო ადამიანისა და წიგნის ურთიერთობის, ანუ წიგნიერების თვალსაზრისით, მთელი დედამიწის კვალობაზე სიის სულ კუდშია მოქცეული".** (გურამ გოგიაშვილი, წიგნს მკითხველი ენატრება, მკითხველს კი სულაც არ ეწიგნება... ენა-სიტყვიერება, კულტურა-თვითშეგნება. გაზ., „საქართველოს რესპუბლიკა", 2008, 30 დეკემბერი, №2437 გვ. 6.)

სოციალიზმი კაცობრიობის აუცილებელი მომავალია. ამას თვით ცხოვრება ამწიფებს. სოციალიზმს დააფუძნებს მის აუცილებლობაში დარწმუნებული საზოგადოება (ეს განვითარების კანონია) ან მოხდება სოციალური აფეთქების გზით. თუ როდის იქნება ეს ბედნიერი დრო. ამას ვერავინ იწინასწარმეტყველებს, ეს მთელი მსოფლიოს ოლიგარქებმაც იციან და ყველაფერს აკეთებენ რომ მისი მოსვლა საუკუნეებით გადაწიონ.

კაცობრიობისათვის საშიშროებას წარმოადგენს **„ჯოგური"** სოციალიზმი, ნაჯახის სოციალიზმი; სწორედ ამგვარი **„სოციალიზმის"** მიმდევრებმა დახვრიტეს ილია ჭავჭავაძის დისშვილი, დიდი პატრიოტი, კოტე აბხაზი და მისი 14 მეგობარი, დახვრიტეს მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე და სხვა მრავალი უდანაშაულო ადამიანი. მერე ერთმანეთს დაერივნენ და **„სასამართლომ"** დასაჯა ბუდუ მდივანი, მალაქია ტოროშელიძე, ცოლ-ქმარი მარიამ და მამია ორახელაშვილები, მიხეილ კახიანი, ძმები ოკუჯავები (უმცროსი ძმა – საქართველოს გენერალური პროკურორი), სამსონ მამულია, ერმილე ბედია და მრავალი სხვა.

ასე რომ, საუბარია არა უსამართლო, დიქტატორულ **„სოციალიზმზე",** არამედ ნამდვილ ჰუმანურ სოციალიზმზე, რომელიც კაცობრიობის მუდმივი ოცნება იყო და ოცნებაა.

მსოფლიო მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, აბსოლიტური უმრავლესობა იჩაგრება ეკონომიკურად და პოლიტიკურად. მოსახლეობის ამ ნაწილს უფლებას ართმევს და უდვოდ ჩაგრავს, ექსპლუატაციას უწევს ერთი მუჭა კაპიტალისტ-ოლიგარქები... სანამდის ბატონობენ ოლიგარქები, სამყაროში წესრიგი ვერ დამყარდება, ომებს ბოლო ვერ მოეღება.

როგორც აღინიშნა, ვ. იანის მიხედვით: მოხუცი ბრძენი ფინიკიელი, მთელი სიცოცხლე ეძებდა ხალხს, რომელიც უსამართლობას არ ჩაიდენდა, არ ჩაგრავდა სხვა მასზე უფრო სუსტ ხალხებს და როგორც აცხადებდა, მიაგნო კიდეც – ესენი არიან **ყაჩები: ბერძენები და მათი მონათესავე ხალხები. რომ 1-2-3 ათასი წლის შემდეგ დადგება ბედნიერი დრო და ადამიანებსა და ქვეყნებს შორის არ იქნება ომი და მონობა.**

კაცობრიობა გადარჩება თუ ბოლო მოეღება კაპიტალისტ-ოლიგარქების ბატონობას, თუ ოლიგარქების მიტაცებულ-დალექილი სიმდიდრე გადანაწილდება საზოგადოებაში. მაშინ დაიწყება კაცობრიობის ახალი, ბედნიერი ეპოქა, შეწყდება ომები და მოგვარდება დემოგრაფიული პრობლემები. თუ ყველაფერი ძველებურად დარჩა სამყაროს დაღუპავს კაპიტალისტ-ოლიგარქების ბატონობა და მსოფლიო გლობალიზაცია.

ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის გამო, საქართველოს მოსახლეობა კატასტროფულად მცირდება. ასი ათასობით ქალი და კაცი საარსებო პირობების საძებნელად გასულია რუსეთში და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (მათ შორის უშორეულეს ავსტრალიაში და ახალ ზელანდიაში) და მათ გაუცხოება ემუქრება – მათი დიდი ნაწილი ვერ მობრუნდება საქართველოში, მათ საფლავებს ახლობლები ვერასდროს ვერ ნახავენ, შობადობის დონე დაბალია.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გამოანგარიშებით საქართველო მომაკვდავ ქვეყენების ბოლო რიგშია. თუ პრესაში გამოქვეყნებულ მასალებს (2010 წლის აპრილი) დაუჯერებთ საქართველოში მოსახლეობის რაოდენობა მილიონი ადამიანით შემცირდა.

კლიმენტი შელია,
პროფესორი, მეცნიერების
დამსახურებული მოღვაწე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში

ᲘᲑᲔᲠᲘᲣᲚᲘ ᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ

ჩვენი საერთო სალიტერატურო ენა ყველაზე დახვეწილი და სრულყოფილად გახმოვანებული, საოცრად გამარტივებული და შეუდარებლად გრამატიზირებული ენაა მსოფლიოში. ეს მსოფლიოს უდიდეს მეცნიერთა მიერ აღიარებული ჭეშმარიტებაა და მას საგანგაშო არაფერი სჭირს, მაგრამ ყოველგვარი შიში იბერიული ენის მიმართ, ამ ენის უცოდინარობის გამოა და აბსოლუტურად უსაფუძვლოა, რადგან, ჯერ ერთი, იბერიული ენა სულ რაღაც 7-8 რაიონს შემორჩა. ამ ენაზე მწერლობის აღდგენა არავის შეუქმნის პრობლემას, პირიქით, საერთო სალიტერატურო ენას შეექმნება დაულეველი ბაზა შემდგომი ზრდა-განვითარებისათვის; მეორეც, იბერიული ენის წილი ჩვენს საერთო სალიტერატურო ენაში მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე ყველა დანარჩენის ერთად აღებული (ლექსიკის 34% იბერიული წარმოშობისაა და მათს ეტიმოლოგიას ძირისძირამდე ხსნის მხოლოდ იბერიული ენა; დანარჩენი უცხოური წარმოშობის ლექსიკის ძირისეული ფორმები გატარებულია ეროვნულ ბრძმედში და დაფიქსირებულია იბერიული საფიქსაციო საშუალებებით, ე.ი. გრამატიკა, თითქმის, იბერიულია) და არავითარი წინააღმდეგობა არ ექმნება იბერებს მისი შესწავლისას. მესამეც, ყველა გონიერ იბერს (მეგრელს), იბერიული ენა სჭირდება საერთო სალიტერატურო ენის გამდიდრებისათვის იბერიული ენის იმ უნიკალური მონაცემებით, რომლებიც არცერთ ენას დედამიწაზე არ გააჩნია და ამის ამბიცია მეც მაქვს, რადგან ამით ყოველგვარი შიდაენობრივი პრობლემა გადაიჭრება და კუთხური განსხვავებებიც თანდათანობით წაიშლება.

ებრაელები ვერ იტანენ ეშუას – მხსნელის სახელის გაგონებასაც კი, რადგან მისი ჯვარცმით, ღმერთმა ებრაელებიც აცვა ჯვარს და ის, რომ არ მოსულიყო, მათი აზრით, ყველაფერი კარგად იქნებოდა. ასევე, ქართებს ეგონათ, რომ სანამ იბერები ჰეგემონობდნენ, სპარსები, თითქოსდა, მხოლოდ იბერებს ებრძოდნენ და არა ქართებს და მათ მიერ გავლილი მწარე ცხოვრების მიზეზი მხოლოდ იბერები არიან. ასეთი აზრის შთაგონება და რწმენა ისე ძლიერი აღმოჩნდა ქართებში, რომ ეთნიკური სახელის იბერი გაგონებაც კი ტრაგედიად მიაჩნდათ და სახელი შეგვიცვალეს (იბერი-იგერი-ეგერი-ეგრი-მეგრი). აქედან მეგრისი (მეგრის კუთვნილება) მეგრ(ის)ელი მეგრელი. და ეს მოხდა არც თუ ისე შორეულ წარსულში, არამედ იბერიის დაცემის (523წ.) შემდეგ. იბერებს კი ქართებთან დაშორება იმდენად ტრაგიკულად მიაჩნდათ, რომ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ყოფნას, ქართებთან ისევ გაერთიანება, მეფედ ქართლის უფლისწული და სახელმწიფო ენად მანამდე მდაბიოთა ენად დარჩენილი ქართულის დაკანონება და განვითარება არჩია (978 წელს ეგრის-აფხაზეთში ქართლის უფლისწული – ბაგრატ III ბაგრატიონი გაამეფეს თეოდოს II და მისმა დიდვაზირმა იოანე მარუშმა.

ასე რომ, როგორც დავინახეთ, ის არგუმენტები, რომლებსაც იშველიებენ ებრაელი ბრძენები **„წმინდა ენისა”** და **„წმინდა ასონიშნების”** მფლობელ **„რჩეულ ერად”** ებრაელთა წარმოსადგენად, ჩვენ, იბერთა მოდგმას ბევრად მეტ უპირატესობას გვაძლევს, ვიდრე მათ, მაგრამ მკრეხელობა იქნებოდა ჩვენი ერისთვის ამ ნიშნების მიხედვით **„რჩეული”, „წმინდა ენის” და „წმინდა ასოების”** მფლობელი ერი გვეწოდებინა. მკრეხელობაა ისიც, რომ აღნიშნული ნიშნებით ისინიც თავიანთ თავს **„რჩეულს”** და **„წმინდას”** უწოდებენ. მაშინათვე დავეთანხმებოდი, თუ ისინი თავიანთ თავს **„რჩეულს”** უწოდებდნენ გამოჩენილი სიბრძნითა და სიმდიდრის დაგროვების ნიჭით.

1008 წელს ეგრის-აფხაზეთმა ქართლი შემოიერთა და სახელმწიფო ენად, იბერიული ენის ნაცვლად, ქართული ენის დაკანონებას დათანხმდა). მაგრამ, როგორც ძალაუფლება ხელთ იგდეს ქართებმა, იბერთა ჰუმანურობას ჰუმანურობითვე კი არ უპასუხეს, არამედ, მათდამი პათოლოგიური ზიზღი, რატომღაც, ისე დაუძლეველი აღმოჩნდა, რომ განიზრახეს იბერიული კვალის საერთოდ წაშლა, რამაც ბოლო ხანებში უფრო მწვავე ხასიათი მიიღო და, მართალია, **„თავმოყვარე”** მეცნიერები ამის პირდაპირ გამჟღავნებას ერიდებიან და მომეცნიერო მეცნიერებს (ტარიელ ფუტკარაძეს და მის თანამოაზრეთ) მიანდეს ე.წ. მეგრულის (იბერიულის) წინააღმდეგ ბრძოლა, ხოლო აკად. მარიამ ლორთქიფანიძემ და მისმა თანამოაზრე მეცნიერებმა, იბერიული კვალი, საერთოდ, რომ წაეშალათ, საქართველოს ისტორიის ბოლო გამოცემაში (2012წ.) ჩაგვიწერეს: იბერია ქართლის ელინური სახელწოდებაა, თორემ ეროვნული სახელმწიფო ეროვნულ სინამდვილეში, სახელწოდებით **იბერია** არასოდეს არსებულაო (იხ. საქართველოს ისტორია, ტომი I, გვ. 264). მაგრამ რა მოგვცა ასეთმა ტენდენციურობამ და სიყალბემ? – დავით აღმაშენებლის დროინდელი **„ნიკოფსიიდან დარუბანდამდის”** საქართველოს ნაცვლად, თანამედროვე უაფხაზეთო, უსამაჩაბლო, ფაქტიურად, უსამცხე-ჯავახეთი – უაჭარო საქართველო და, საერთოდ, აღარ იარსებებს საქართველო, თუ იბერთა ყველა მოდგმამ და მემკვიდრემ არ მოინანია დაშვებული შეცდომები.

დასაწყისში მკითხველს დავპირდით, რომ პასუხს გავცემდით კითხვას: რატომ ჩამოერთვა იბერიულ ენას ჯერ საერთაშორისო, შემდეგ კი სახელმწიფო ენის ფუნქცია?

ჯერ გავცეთ პასუხი კითხვას: რამ გახადა იბერიული ენა საერთაშორისო ენა?

ალბათ, დაგვეთანხმება მკითხველი, რომ იბერიული ცივილიზაციის გავრცელება პირინეიდან ინდოეთამდე, განაპირობა მისმა ტრიუმფალურმა ნახტომმა საზოგადოების განვითარებაში და, ბუნებრივია, ამან განაპირობა მისი საერთაშორისო ენად გადაქცევა.

რატომ ჩამოერთვა საერთაშორისო ენის ფუნქცია?

– როცა ველური ცხოვრების წესით (მიღება მიღებისათვის პრინციპით) მცხოვრებმა საზოგადოებამ გააკეთა პროგრესული ნაბიჯი და ცხოვრების წესად დაამკვიდრა პრინციპი – **გაცემა მიღებისათვის**, ეს მეზობელი ხალხებისთვისაც თვალში საცემი სიკეთე აღმოჩნდა და საერთაშორისო გავრცელება ჰპოვა, რამაც სულიერ-ზნეობრივი ამაღლება გამოიწვია, მაგრამ, შეიძლება, იმხანად ცხოვრების ეს წესი განვითარების ბოლო ეტაპი ეგონათ და ამით დაკმაყოფილდნენ. კმაყოფილებას კი აზროვნების მოდუნება და სულიერ-ზნეობრივი დაცემა მოჰყვება, ხოლო სულიერ-ზნეობრივი დაცემა ათასგვარი პრობლემისა და დაპირისპირების მიზეზი ხდება. დაპირისპირებები და მოწინააღმდეგეთა გამრავლება, ბუნებრივია, იბერიულს საერთაშორისო ენის ფუნქციას დააკარგვინებდა.

ისტორიკოსები, ხმელთაშუა ზღვის აუზიდან კავკასიაში მიგრაციას ძლიერ მიწისძვრებს უკავშირებენ, მაგრამ მიწისძვრით დანგრეულ და დასუსტებულ იბერთა საკუთარი მიწა-წყლიდან განდევნა და კავკასიაში ლოკალიზება, ცხადია, მრავალრიცხოვან ინდოევროპელთა მოწოლით მოხდა. კავკასიაში მიგრაცია იმას არ ნიშნავს, რომ ამ რეგიონში იბერები არ ცხოვრობდნენ. ცხოვრობდნენ, მაგრამ ძვ.წ.აღ-ის მეორე ათასწლეულის დასაწყისიდან დაწყებული ხმელთაშუა ზღვის აუზის იბერებმაც იწყეს მიგრაცია.

აღსანიშნავია, რომ პროტოქართული (ადამურ-იაფეტურ-იბერიული) ენის დივერგენცია-დიფერენციაცია დაიწყო ჩვენს ერამდე სამ ათასწლეულის წინათ და დამთავრდა ძვ.წ.აღ-ის XVI-XV საუკუნის მიჯნაზე (იხ. რისმაგ გორდეზიანი, წინაბერძნული და ქართველური), მაგრამ ამ დროისათვის ქართის ტომის [ქარდი→ქალდი→ქალდეა; ქარდი (აეზარდე)→ქართი (შეერიე)] დიალექტური ენის ჩამოყალიბება დასრულებული უნდა ყოფილიყო. ამას იბერიულ-ქართული ლექსიკის ისტორიულ-შედარებითი ანალიზი ადასტურებს. იბერთა კავკასიაში ლოკალიზებისა და სპარსეთის მიერ იბერიის დაპყრობის შემდეგ (ძვ.წ.აღ. 550წ.) დაიწყო იბერთა უმძიმესი და ტრაგიკული ცხოვრება: იბერიას დაქვემდებარებულმა მისი მოდგმის ქარდებმა (შემდგომ ქართებმა) სპარსელთა წაქეზებით დაიწყეს ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის და მრავალჯერ ცდის შემდეგ ახ.წ.აღ-ის II საუკუნეში შეძლეს, კიდეც, იბერიისგან გამოყოფა (ორმეფობის ხანა). ამ დროიდან **ქარდები** იწოდებიან **ქართებად. „... მაგრამ ექვსი მეფის მეფობის შემდეგ იძულებული გახდნენ ისევ დამორჩილებოდნენ მცხეთის იბერთა მეფეებს”.** თუმცა, ამის შემდეგ იბერებისა და ქართების ერთიანობა მყარი არ ყოფილა, რასაც, ეტყობა, სპარსეთის ზემოქმედება უწყობდა ხელს და უფრო და უფრო სუსტდებოდა იბერიის ძლიერება. ამასთან, სპარსელების თარეშმა ისეთი მძაფრი ხასიათი მიიღო, რომ აუტანელი შეიქმნა იბერებისათვის და 523 წელს მეფე გურგენ I მეთაურობით იბერია აუჯანყდა სპარსეთს, მაგრამ აჯანყება მოუმზადებელი აღმოჩნდა და იბერიის სახელმწიფოებრიობას ბოლო მოეღო, იბერიის მოსახლეობა ძალზე შემცირდა, იბერიის მეფე გურგენ I თავისი მრავალრიცხოვანი ამალით ბიზანტიაში გადაიხვეწა. ყოფილი იბერია, საპიტიახშოებად დაყოფილი, სპარსეთის უფრო მძიმე უღელქვეშ მოექცა. იბერი პიტიახშები ქართმა პიტიახშებმა შეცვალეს. მაგრამ სპარსთა ბატონობა ისე აუტანელი გახდა, რომ 571 წელს სპარსეთ-ბიზანტიის ომის დროს, როგორც კი მოწინააღმდეგეთა ძალები გათანაბრდა, ქართები მაშინათვე განუდგნენ სპარსებს და ბიზანტიელებს გამარჯვება მოაპოვებინეს. მაგრამ სპარსთა ბატონობა ბიზანტიელთა ბატონობამ შეცვალა: საპიტიახშოები სატრაპიებად გადაკეთდა და დაყოფილ-დაქუცმაცებული იბერია ბიზანტიის დაქვემდებარებაში აღმოჩნდა. VII საუკუნეში აფხაზეთის მთავარმა ლეონ მეორემ ისარგებლა ბიზანტიის დასუსტებით, ბიზანტიელი მეციხოვნეები განდევნა იბერიიდან, ქართებით დასახლებულ ტერიტორიებს გარდა, და თავი ეგრის-აფხაზეთის მეფედ გამოაცხადა. ქართლი კი რჩებოდა ბიზანტიის ქვეშევრდომად. 899, თუ 888 წელს კი ქართლმა, პირველად თავისი არსებობის ისტორიაში, მოიპოვა სამეფოს სტატუსი. პირველი მეფეა ადარნასე II ბაგრატიონი. 978 წელს კი, როგორც აღვნიშნეთ, ქართლის უფლისწულს – ბაგრატ III ბაგრატიონს ბიძამისმა (დედის ძმამ) თეოდოს II ეგრის-აფხაზეთის სამეფო ჩააბარა.

რატომ დაეცა იბერია და რატომ ჩამოერთვა იბერიულ ენას სახელმწიფო ენის ფუნქცია?

– როგორც ეტყობა, საერთაშორისო ენის ფუნქციის დაკარგვამ და კავკასიაში ჩაკეტვამ ვერ უბაკვეთილა იბერებს, ვერ გაანალიზეს მიზეზი და ვერ გათვალეს გარდაუვალი შედეგი. ჯერ იყო და ქარდების (→ქართების) დიალექტის ჩამოყალიბება იბერთა მეფეების დაუდევრობისა და უდარდელობის შედეგი იყო; მეორეც, ალბათ, ვერ ექცეოდნენ ქართებს ობიექტურად, რამაც ქართებში სეპარატიზმი გააღვივა, მაგრამ ვერც ამან უბაკვეთილა ჩვენს წინაპრებს – იბერებს, რადგან ვერ მიხვდნენ ყველაფერი ეს სულიერი დაცემის შედეგი იყო. თუმცა, უნდა ვირწმუნოთ, რომ ყველაფერი ღვთის ნება, ანუ ღვთიური კანონზომიერებაა და იბერთა ჭკუის სასწავლებლად მოხდა, მაგრამ რაკი თვითგანვითარებითა და სიბრძნით პრობლემას ვერ წყვეტდა იბერთა მოდგმა, უზენაესმა შემოქმედმა გასაწირად ვერ გაგვიმეტა და მოგვივლინა გიორგი ჭყონდიდელი და დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე და შოთა რუსთაველი, რომელთა დროს მოხდა იბერთა მოდგმის სულიერი გაბრწყინება და გადავრჩით. მაგრამ იბერთა მოდგმამ ისევ განიცადა სულიერი დაცემა და დღეისათვის, ათასწლეულების წინათ დამკვიდრებული ცხოვრების წესი – **გაცემა მიღებისათვის** პრინციპი, – სანატრელი გაგვიხადა და საზოგადოების უმრავლესობა ველური ცხოვრების წესით,– **მიღება მიღებისათვის** პრინციპით, – ცხოვრობს. ეს უნდა აღიაროს და გულწრფელად მოინანიოს იბერთა მოდგმამ და, განსაკუთრებით, მეგრელებად და ქართებად წოდებულმა იბერებმა, თუ გვინდა ღირსეული ცხოვრება და სრულყოფა. შემდეგ უნდა ვიჭყლიტოთ ტვინი, ვიღვაწოთ სულიერად ამაღლებისათვის და, რაც მთავარია, შთამომავლობას შთავუნერგოთ, რომ რამდენიც გინდა დიდ წარმატებებს არ მივაღწიოთ, კმაყოფილებას არასოდეს არ უნდა მივეცეთ, რადგან ყველა ტრაგიკული შედეგის მიზეზი კმაყოფილებაა.

მაგრამ უნდა გავაანალიზოთ, შევაფასოთ და გავითვალისწინოთ დღევანდელი რეალობა, რომლის წინაშე ქართველი ერი და მთლიანად საქართველო დგას.

პატარა საქართველოში დიდი რაოდენობით ცხოვრობენ არმენები და აზერბაიჯანელები და, კიდევ, მრავალი სხვა ერის წარმომადგენლები.

ცხადია, ქართველი ერი და ქართული ენა ეყრდნობა იბერიულ ძირს და იბერიული ენის გრამატიკას, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი საერთო სალიტერატურო ენის ლექსიკის 66% (აკად. ა. შანიძის გამოთვლით) უცხოური წარმოშობისაა, რომელიც ძირითადად და მეტ-ნაკლები რაოდენობით წარმოადგენს სპარსულის, ელინურის, არმენულის, ლათინურის, არაბულისა და თურქულის კონგლომერატს.

მართალია, ეროვნული, ანუ იბერიული წარმოშობის ლექსიკა 34%-ია ჩვენს საერთო სალიტერატურო ენაში, მაგრამ გრამატიკა, თითქმის, იბერიული დარჩა და უცხოური წარმოშობის ლექსიკა გატარებულია ეროვნულ გრამატიკულ ბრძმედში. ამდენად, ძირძველი იბერიული ენის წილი ე.წ. ქართულ სალიტერატურო ენაში მეტია, ვიდრე დანარჩენის ერთად აღებული, მაგრამ თვალი უნდა გავუსწოროთ იმ ჭეშმარიტებასაც, რომ ენის ასეთი აღრევა გენეტიკურ თავისებურებათა აღრევის გარეშე არ მომხდარა. ეს საქართველოს მოსახლეობის ანთროპოლოგიური და სხვა მონაცემებითაც (კანის ფერი, ზნე-ჩვეულებები, ქცევის მანერები და სხვა) დასტურდება.

ყველაფერი ეს ნეგატიურად მოქმედებს ძირითად, ეროვნულ თვითმყოფად კულტურაზე, მის ინტერესებზე და, საერთოდ, ერის ერთიანობაზე, რადგან თითოეული გრძნობს თავის განსხვავებულობას დანარჩენებისგან და თავის მსგავსთან, ბუნებრივია, მეტ საერთოს პოულობს. და, შეიძლება, მან თავისი სურვილი გარეგნულად არ გამოავლინოს, მაგრამ შინაგანად, მისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს, საკუთარ სურვილებს და ინტერესებს ყოველთვის მეტ უპირატესობას ანიჭებს, თუ ის არ არის ობიექტურად მოაზროვნე პიროვნება (ობიექტურად მოაზროვნენი კი, სამწუხაროდ, საქართველოში ძალზე ცოტაა, რასაც ადასტურებს ასეთ პატარა ქვეყანაში პოლიტიკურ პარტიათა სიმრავლეც). ამიტომ არ არის შინაგანი სულიერი ერთიანობა საქართველოს მოსახლეობაში. ეს ჭეშმარიტებაა და თავი არ უნდა მოვიტყუილოთ.

ამიტომაა გარეშე, თუ შინაური მტრების აგრესიის უმთავრესი სამიზნე ქართველი ერის ეროვნულობის განმაპირობებელი ბირთვი – იბერიული (ე.წ. მეგრული) ენა, რომლის გარეშე ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ, როგორც ერი ვერ იარსებებდა. ამიტომ ცდილობს გარეშე, თუ შინაური მტერი საერთაშორისო არენაზე ქართული ენის დიალექტად აღიარონ ბუნებრივი (ღვთიური) წარმოშობის ძირისეული ფორმების შემცველი ადამის ენა, კაცობრიობის საწყისი ფენომენი, მსოფლიოს ყველა ენათა დედა – იბერიული ენა.

ამისთვის იბრძვის ეკლესიაში შემძვრალი სატანა – მეუფე ანანია ჯაფარიძე, მეცნიერებაგაყიდული და სულგაყიდული ენათმეცნიერი – ტარიელ ფუტკარაძე, რომელთაც მიემატა, ასევე, მეცნიერებაგაყიდული და სულგაყიდული ისტორიკოსი – აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე, რომელმაც ჭეშმარიტი მეცნიერების ღალატსა და ცრუ მეცნიერების მხარდაჭერისათვის საპატრიარქოდან წმინდა გიორგის ორდენი მიიღო.

თუ ეს საკაცობრიო მნიშვნელობის დანაშაული რეალიზებული იქნება, ქართველ ერს ეროვნული აღარაფერი შერჩება და ვერაფერი დაუდგება წინ მის საბოლოო გაქრობას. თუმცა, გამორიცხულია, მსოფლიოს მოწინავე საზოგადოებრიობამ ამ დივერსიულ ქმედებას დაუჭიროს მხარი, რადგან მეგრული (იბერიული) ფენომენი საკაცობრიო მნიშვნელობის ფენომენია.

შეუძლებელია, ეს არ იცოდნენ ზემოთ აღნიშნულმა, 30 ვერცხლზე სულგაყიდულმა ანტიქართველებმა (სწორედ ანტიქართველებმა!) და არ იცოდნენ, რომ მეგრულ ენას ვერაფერსაც ვერ მოუხერხებენ, მაგრამ ესაა ყველაზე ეფექტური ხერხი უბიძგონ სამეგრელოს, გავიდეს საქართველოს შემადგენლობიდან, რომლის შემდეგ ვერ იარსებებს საქართველო. შეიძლება, ბევრმა ეს გზა ამჯობინოს კიდეც, მაგრამ რამდენადაც ამბიციურობად და ეგოიზმად არ ჩაგვითვალოს მავანმა, გონიერი მეგრელი ვერასოდეს გაიმეტებს ძირძველ იბერიულ მიწებს დამპყრობლისთვის, რომელიც რამდენი საუკუნეა კბილებალესილი ელოდება ამ მომენტს.

ᲙᲣᲙᲣᲠᲘ ᲤᲘᲤᲘᲐ,
„ფაზისისა” და „აიას” საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიების წევრი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის კვლევის ასოციაციის ვიცეპრეზიდენტი

რეცენზია ფსიქოლოგიის ინსტიტუტიდან

ვაგრძელებთ რეცენზიებისა და გამოხმაურებების ბეჭდვას ცნობილი ქართველი მეცნიერის ბატონ ედემ იზორიას ნაშრომებზე

...**"ნებისმიერია და დაუსაბუთებელი"** კი არა, თუ არსებობს... **"ადამიანის მიერ მეტყველების დაუფლების ასაკობრივი ჩარჩოები"...** თუნდაც მხოლოდ ონტოგენეზში (რაც ფაქტია და ფსიქოლოგებმა ეს კარგად უწყიან) შეუძლებელია ის ფილოგენეზში არ არსებულიყო. ოღონდ, პირველი სამეტყველო რესურსთა და მათი ჩასახვის მადასტურებელ ფაქტთა და ფაქტორთა მიგნებამდე (ჩასახვის მექანიზმის ახსნამდე) ამის თქმის მეცნიერული უფლება არ არსებობდა.

აი, რა არის დიდი სიახლე, ბატონებო და თქვენ ვალდებული იყავით ეს ყველაფერი არა თუ შეგემჩნიათ, არამედ დაგემუშავებინათ და შეგეფასებინათ.

რაც შეეხება ონტოგენეზს, პიაჟეს, ვიგოტსკის, ვალონის და სხვათა მონაცემები განა ეწინააღმდეგება ავტორისეულ მეტყველების ბიოგენეზურ კანონს თუ დამოწმებაა ამ უკანასკნელისა?.. თუმცა ეს თავი თქვენ ხომ წაუითხავად, სრულიად, გამოგრჩათ და აბა რა სიახლეს შეამჩნევდით (რამხელა პარადოქსია - კაცი, ამ ოცდამეერთე საუკუნეში, ახალ კანონზე საუბრობდე და მეცნიერი კი გპასუხობდეს რა სიახლე, რისი სიახლეო...).

ანრი ვალონეს მიხედვით, ინტელექტი განიხილება, როგორც ცნობიერების შინაგანი პლანის მოვლენა. ფსიქიკური მოვლენის განვითარება კი წარმოდგენილია როგორც მოქმედებიდან აზრზე გადასვლის პროცესი.

ჟან პიაჟე იკვლევდა ქცევის სტრუქტურულ ასპექტებს. მისი კონცეფციითაც ინტელექტუალური ოპერაციები ინტერიორიზებული (ლატინ. Inter\\ ინტერიორ **"შიგნით, შინაგანი"**) და ერთ სისტემად გაერთიანებული საგნობრივი მოქმედებებია... ინტელექტი თავის განვითარების პროცესში მრავალ სტრუქტურულ სტადიას ან ქვესტადიას გაივლის. ეს დებულება დიახაც მნიშვნელოვანია რადგან მისი კონცეფცია ინტელექტის ონტოგენეზური განვითარების სტადიურობისა, გარკვეულწილად, ესადაგება ავტორისეულ მეტყველების ონტოგენეზური განვითარების სტადიურობის კონცეფციას და ამით მეტყველების ბიოგენეზური კანონის (მ. ბ. კ.), როგორც სახეობის არსებობის, დამოწმებად გვევლინება.

ლევ ვიგოდსკის კულტურულ-ისტორიული თეორიის დებულების მიხედვითაც, ფსიქიკის ყოველი ადამიანური ფორმა ყალიბდება ადამიანთა შორის გარეგანი სოციალური ურთიერთობების ინტერიორიზაციის გზით.

აქ აშკარად ჩანს, რომ მხედველობაშია თანამედროვე ადამიანი, რადგან საქმე ეხება სოციალურ ურთიერთობებს და, თუ ენგელსის — შრომამ შექმნა ადამიანის-პერეფრაზს მოვუხმობთ, გვექნება: შრომამ შექმნა აზრი (იხ. ქვემოთ).

როგორც ვხედავთ, ფატობრივად ეს თეორიები ყველა სოციალურია და წვეთი წყალივით გვანან ერთმანეთს.

აქ განხილულია ქმედებიდან აზრის წარმოქმნა, მაგრამ არსადაა ნათქვამი თუ, უთავდაპირველესად, როგორ შეიმოსა ეს აზრი ბგერითი სამოსელით. ასე რომ საუბარი სრულ ადეკვატურობაზე ჩვენი და ამ თორიებისა ზედმეტია. რაც შეეხებაფილოგენეზს ნუთუ ისინი მეტყველების წარმოქმნის კონტექსტშია განხილული?.. მათი კვლევის ობიექტი ხომ, ძირითადად, გახლავთ შემეცნების თეორიის საკითხები (ეპისტემიოლოგია ეპისტემა – ბერძნ. **"ცოდნა"**) ანუთანამედროვე ადამიანი, რომელიც **„გ. თ."**-ში მხოლოდ ერთი პერიოდია, მეტყველების განვითარების თვალსაზრისით. ბოლოს იმის თაობაზე, თითქოს ნაშრომი **„სავსეა შეცდომებით"**, თუ ეს მართლა ასეა, რაღა თავად იძლევით ბუნდოვან დასკვნებს, ერთადერთ შეცდომიან შენიშვნას, ხოლო შეცდომებს კი ვერ ასახელებთ?...

რეცენზია ფიზიოლოგიის და ბიოლოგიის ინსტიტუტიდან

(დოქტორები: ალექსანდრე ქორელი, არჩილ კეზელი, მანანა ნემსაძე, ილია ლაზრიშვილი).

ნაშრომი, არსებითად, ენათმეცნიერების სფეროს განეკუთვნება და ჩვენ ვერ შევეხებით **"თეორიის"** ამ ნაწილს. ვინაიდან ბ-ნი იზორია, საკუთარი იდეების განსამტკიცებლად თუ დასამოწმებლად, მოიშველიებს ზოგიერთი ნეიროფიზიოლოგის მოსაზრებებსა და თეორიებს, ვეცდებით გავარკვიოთ ავტორი თანამედროვე ნეიროფიზიოლოგიის და, ზოგადად, ბიოლოგიის მდგომარეობაში, რომელიც სადღეისოდ შეიქმნა ადამიანის მეტყველებასთან კავშირში.

რამოდენიმე დილეტანტური შენიშვნა ნაშრომის ენათმეცნიერულ ღირებულებაზე, რომლის ზოგიერთი ხარვეზი თუ სისუსტე ნებისმიერ განათლებულ ადამიანს მოხვდება თვალში.

1. ჩვენთვის, როგორც მეცნიერთათვის, გაუგებარია სიტყვა **"თეორიის"** ავტორისეული გაგება. თეორია მოითხოვს მრავალი საფუძვლის – ლიტერატურულის, ისტორიულის, ექსპერიმენტულის, — არსებობას. ავტორი ხშირად წერს, რომ ყველა მისი მოსაზრება კარგადაა განმტკიცებული და ეყრდნობა **"ჭეშმარიტ ჰიპოტეზებს"**. ჰიპოტეზის ჭეშმარიტების მხოლოდ საიმედო დამტკიცების შემდეგ შეიძლება საუბარი რაიმე ღირებულ თეორიაზე. სინამდვილეში, ავტორი ეყრდნობა მხოლოდ საკუთარ მოსაზრებებს.

2. გაუგებარია სიტყვა **"გეორგიული"**. თუ ავტორს სურს ხაზი გაუსვას, რომ ადამიანის ამეტყველება საქართველოში დაიწყო და აქედან გავრცელდა მსოფლიოში (რაც უაღრესად საეჭვოა), ხომ არ აჯობებდა სიტყვა **"ქართველურის"** ხმარება, რაც მიღებულია ენათმეცნიერებაში.

3. ინგლისურ ენებს. რაც გარდა იმისა, რომ საკმაო მწირი საფუძველია ლინგვისტიკური წიაღსვლებისთვის, ჩამოთვლილი ენები (ქართულის და მეგრულის გარდა) არ ენათესავება ერთმანეთს. ავტორს უნდა შევახსენოთ, რომ დღევანდელ მსოფლიოში, პლანეტის სამხრეთ და ჩრდილო ნახევარსფეროებში, დასავლეთსა და აღმოსავლეთში, აქტიურად ხმარობენ – ოფიციალურად და შინაურულად – რამოდენიმე ათას ენას. მათი ერთი ფესვიდან ამოსვლა აბსოლუტურად შეუძლებელია. ამას მეტყველებს არა მარტო ჩამოყალიბებული ენების მკვეთრად განსხვავებული ფონეტიკა და სემანტიკა, არამედ აგრეთვე, ერების ყოფითი, სოციალურ-კულტურული, რელიგიური თავისებურებები და საზოგადოებებში არსებული პრიორიტეტები და, ასევე, გეოგრაფიულ-კლიმატური სპეციფიკა.

4. ე. იზორიასეული სიტყვების ჩამოყალიბების **"ხმაბაძვითი"** (თანაც, რატომღაც, მაინცდამაინც ჭამასა და სმასთან დაკავშირებული...) მექანიზმი საინტერესოა, მაგრამ, გაუგებარია, როგორი მძლავრი დივერგენციული პროცესები უნდა წარმართულიყო, თუნდაც ერთი მილიონი წლის განმავლობაში, რომ სიტყვა წყალი (წყ!) გარდაქმნილიყო და მიგვეღო გარმანული wasser, ფრანგული eau, არაბული ma, ბერძნული nero, ესპანური agua, სომხური jur და ეს მხოლოდ აქ, ჩვენი პლანეტის ყურისძირში!

5. საზოგადოდ, სამეტყველო ენის ჩამოყალიბება ერთი-ორი ბგერის (ე. იზორია) ან ოთხიოდე მარცვლის საფუძველზე (ნ. მარი), რბილად რომ ვთქვათ, ლინგვისტიკის უკვე მოხდილ საყმაწვილო სენად უნდა ჩაითვალოს.

თანამედროვე ნეიროფიზიოლოგიის საკვანძო საკითხებზე, ბ-ნი იზორიას საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენები ჩამოუყალიბდა. ზოგჯერ, სავსებით გაუგებარი პასაჟებიც მოიძებნება. მაგალითად, საინტერესო იქნებოდა გაგვეგო, ვინ და როდის დაადგინა, რომ ქალებს მეტყველების ზონა – ბროკას უბანი – თავის ტვინის ორივე ჰემისფეროში აქვთ განვითარებული. ამას თუ იმასაც დავუმატებთ, რომ, ამის გამო, თურმე, ქალები ბევრს და სწრაფად ლაპარაკობენ, გასაგები გახდება, რომ ინფორმაციას ავტორი, ზოგჯერ, ყვითელი პრესიდან სესხულობს.

მეტყველების პავლოვისეული გაგება – **"მეორე სასიგნალო სისტემის"** სახით, საუკუნენახევრის განმავლობაში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და მეტყველება, დიახაც, პირობით შრეფლექსური პროცესია, თავისი გამომუშავებით, განმტკიცებით და შეკავების ორივე – შინაგანი და გარეგანი – ფორმით.

ავტორის მსჯელობა ადამიანის მიერ მეტყველების დაუფლების ასაკობრივი ჩარჩოების შესახებ, სავსებით სამართლიანია, თუმცა **"მაუგლების"** და **"ტარზანების"** რეალური არსებობა ცივილიზებული კაცობრიობის ისტორიაში ან უკიდურესად იშვიათია ან მხოლოდ ლეგენდებისა და მითების სფეროს განეკუთვნება. თანამედროვე შეხედულებებით, მეტყველების ინდივიდუალური განვითარება უნდა ეყრდნობოდეს ე.წ. იმპრინტინგის (ჩაბეჭდვის) მექანიზმებს. ისევე, როგორც ქათმის წიწილას ან იხვის ჭუჭულის, რომლებიც საკმაოდ მომწიფებული და თვალხილული იჩეკებიან, შეუძლიათ ჩაიბეჭდონ თავის ტვინის სათანადო უბანში პოტენციური დედის ხატი (ფერი, ფორმა, ხმის ტემბრი და მოძრაობის თავისებურებები), ასევე ადამიანს შეუძლია ჩაიბეჭდოს ის ენა, რომელიც ესმის და რომელზეც მას მიმართავენ. განსხვავება კი ის გახლავთ, რომ წიწილას სენსიტიური პერიოდი გამოჩეკიდან 16-18 საათს გრძელდება (თუ ინკუბატორში გამოიჩეკა და 18 საათი არაფერი დაუნახავს, არაფერსაც არ ჩაიბეჭდავს და **"სულით ობოლი"** დარჩება), ხოლო ადამიანისა – დაახლოებით, ხუთი წელი. როგორც ფრინველებში, ისე ადამიანშიც მკაფიოდ და კონკრეტულად არის დადგენილი თავის ტვინის ის უბანი, რომელიც **"ინახავს"** ჩაბეჭდილ ინფორმაციას: პირველ შემთხვევაში **"დედის"** ხატს, მეორე შემთხვევაში **"სიგნალთა სიგნალებს"**.

ორივე შემთხვევაში, ადგილი აქვს ე.წ. სუსტი სინაფსების გარდაქმნას ძლიერად. ასევე ხდება მოგვიანო დასწავლაც და დამახსოვრება. სინაფსების უქმად ყოფნის (გამოუყენლობის) შემთხვევაში, მათი შემდგომი გამოყენება რთულდება ან საერთოდ შეუძლებელი ხდება. ამ პროცესების მოლეკულური მექანიზმების განხილვას, ჩვენ შემთხვევაში, აზრი არა აქვს.

ვურჩევთ ბ-ნ ედემ იზორიას, წესრიგში მოიყვანოს თავისი ნააზრევი (განსაკუთრებით ენობრივ-გრამატიკულად) და წარადგინოს ის სათანადო გამოცემაში გამოსაქვეყნებლად, ხოლო პუბლიკაციის შეფასება მიანდოს სპეციალისტებს – ლინგვისტებს, ანთროპოლოგებს და ფსიქოლოგებს.

პასუხი ფიზიოლოგებს

რეცენზია ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტიდან (ავტორები: დოქტორები: ა. ქორელი, ა. კეზელი, მ. ნემსაძე, ი.ლაზრიშვილი) შედგება ორი – ენათმეცნიერული და ნეიროფიზიოლოგიური ნაწილისაგან.

დასაწყისშივე, დიდად პატივცემული, ავტორები გვიმტკიცებენ, რომ **„ნაშრომი, არსებითად, ენათმეცნიერების სფეროს განეკუთვნება და ჩვენ ვერ შევეხებით, თეორიის ამ ნაწილს"**-ო, მაგრამ დაპირებას იმწუთშივე ღალატობენ და გვთავაზობენ **„...რამდენიმე დილეტანტურ შენიშვნას ნაშრომის ენათმეცნიერულ ღირებულებაზე, რომლის ზოგიერთი ხარვეზი და სისუსტე (თურმე ე.ი.) ნებისმიერ განათლებულ ადამიანს (რომ ე.ი.) მოხვდება თვალში"...** ამ შეთავაზებასთან დაკავშირებით, უპრიანია თავადაც შევნიშნო: თუ ეს შენიშვნები მართლაც დილეტანტურია, ანუ მეცნიერულ ფუძემდებლობასაა მოკლებული (დილეტანტობას თუ აკადემიურობას ჯიბეში სადოქტორო, სადოცენტო თუ სხვა სახის დიპლომთა დება კი არა, სწორედ რომ კონკრეტულ საკითხებში მეცნიერული საფუძვლიანობა განაპირობებს) როგორ ახსნის, დაასაბუთებს ან უარყოფს იგი ნაშრომის ავ-კარგს?... ენათმეცნიერების ინსტიტუტიდან ამდაგვარი **„შედევრით"** ხომ დიდი ხანია რაც აღმავსეს და გამახარეს (მ. ქურდიანი, ვ. შენგელია) და ფიზიოლოგიის ინსტიტუტიდან დუბლი კიდევ რა საჭიროა?...

ჩემო კარგებო, დიდად პატივცემულნო და დიდნო ფიზიოლოგნო, წამოწეულნო ენათმეცნიერების მაღალ რანგში, საქმე ეხება ათასობით სიტყვის წარმომავლობას, ათეულობით სისტემებს, დასაბუთებულ პრეტენზიებს ზოგიერთ ქართველურ თუ ზოგადენათმეცნიერულ პრობლემების მოხსნაზე და ა. შ. თქვენ კი გსურთ ისინი რამდენიმე (ხუთადხუთი) შენიშვნით უარყოთ?... კეთილი, ვნახოთ რა გამოგივათ... ოღონდ არ თქვათ, თქვენი მხრიდან, თითქოს საქმე ეხებოდეს, მხოლოდ და მხოლოდ, იმას, რაც ნებისმიერ ნაშრომში შეიძლება მოიძებნოს – **„ზოგიერთ ხარვეზსა და სისუსტეს"**. არაფერიც, თქვენ ფუნდამენტს ეჯაჯგურებით.

ვხედები თქვენს ჩანაფიქრს: აქაოდა, იზორია ხომ **„დილეტანტია*, მაგრამ ეს ქურდიანივით პირში კი არ უნდა მივახალოთ, არამედ შეპარვით, სიტყვა დილეტანტის ხსენებით, მივახვედროთ; თანაც, რისი დილეტანტური, რამდენიმე „გროსმაისტერული" სვლით მის ნაშრომს ბუნდღა-ბურტყლი ვადინოთო... ეს ერთი, მეორეც – აღნიშნული „ხარვეზები და სისუსტეები ნებისმიერ განათლებულ ადამიანს (რომ ე.ი.) მოხვდება თვალში"** (ანუ ნებისმიერი რომ შენიშნავს) და ავტორსაც კი რომ მოხვდა თვალში (აბა თვითონ დაწერა და თვალში არ მოხვდებოდა?!..), მაგრამ მრავალწლიან ცოდვილ-წვალებაშიც კი ვერ შენიშნა-შეაფასა (მაშ, მოხვედრია კი არა თვალიც დაუფსია მისთვის და ეგაა), ამიტომ, იგი **„ნებისმიერ განათლებულ"** ადამიანთა კატეგორიას არ განვაკუთვნოთო. უფრო მეტიც: ამ უკანასკნელთ (განათლებულ ადამიანებს) რაკი ყოველი ქართველი, უეჭველად, განეკუთვნება (ყოველ შემთხვევაში მათი შეხედულებით) ედემ იზორია, დასაშვებია, საერთოდ ადამიანად არ ჩავთვალოთო.

ტელეპატი არ გახლავართ, მაგრამ თქვენი ამ **„დანაის"** შეთავაზების, ქვეტექსტი კი არა, გენერალური სტრატეგია, თანაც ბუნდოვნად კი არა – თვალნათლივ ჩემი და ჩემი ნაშრომის მოშთობა ყოფილა.

მინდა ვიკითხო: ეს ის **„საყმაწვილო სენი"** ხომ არაა თქვენ, დაუმსახურებლად, რომ მიფეშქაშეთ და ლენინი თავის **„დეტსკაია ბოლეზნ ი ლევიზნა ვ კომუნიზმე"**-ში რომ გულისხმობდა – ბავშვური ეგოიზმი ხომ არაა ეგა?...

ექიმი, თანაც დიაგნოსტიკი რომ არ ვიყო, დავეჭვდებოდი, მაგრამ საბოლოო დიაგნოზი, ხათრის გამო, მაინც თქვენთვის მომინდვია.

აწი კი დროა ვიხილოთ, ხსენებული, ჩემი და ჩემი ნაშრომის ეგრერიგად დამამცრობელ-დამმიწებელი შენიშვნები:

შენიშვნა პირველი: „...ჩვენთვის, როგორც მიეცნიერთათვის, გაუგებარია სიტყვა „თეორიის" ავტორისეული გაგება"...

– უმჯობესია ვიხმაროთ სიტყვა კი არა ტერმინი თეორია, რამეთუ იგი არა საგნობრივი, არამედ ცნებითი მონაცემია; უფრო ზუსტად კი ცნებათა მთელი სისტემაა. დმერთო, დიდებულო!..., ტერმინ თეორია-ს ლექსიკურ მნიშვნელობებს არსად და არასდროს შევხებივარ, ამიტომ მასზე ჩემი გაგება სხვათათვის, მათ შორის თქვენთვისაც, დიდად პატივცემულო დოქტორნო, გაუგებარი აბა რა იქნება?.. კაცო, რაც ათასობით სიტყვა და ტერმინი ვატრიალე სათოფედ არ გაკარებიხართ და რაღა, მაინცადამაინც, რომ არც დამსიზმრებია იმის ჩემმიერი **„გაგების"** თქვენმიერ **„გაუგებრობაზე"** ჩივიხართ?... მაგრამ, ვფიქრობ, თქვენ გაინტერესებთ არა ზოგადად ტერმინ თეორიაზე ავტორისეული გაგება, არამედ ის არსი ნაშრომისა, რაც ამ სათავო ტერმინმა გამოხატა. უზუსტესად კი – კრიტიკა კი არა, დაუსაბუთებელი უარყოფა ნაშრომის ემპირიული ბაზისისა (ემპირიოკრიტიციზმი კი არა – ემპირიონიჰილიზმი), რაზეც შენიშვნის გაგრძელება მიანიშნებს: **„...თეორია მოითხოვს მრავალი საფუძვლის — ლიტერატურულის, ისტორიულის, ექსპერიმენტულის არსებობას..."**

დიახ, სწორია და ეს ყველაფერი ნაშრომს რაკი არ გააჩნია, რა უფლება მქონდა იგი (თეორია) სათაურში დამებრძანებინა, ხომ?... ?... ასეც რომ იყოს, ბატონებო, რატომ გამოგრჩათ, რომ თეორიას უწოდებენ **„...ზოგჯერ მეცნიერულ ჰიპოთეზებსა და მათ ერთობლიობას... ზოგჯერ კი – მას რაც უპირისპირდება ემპირიულ ცოდნას..."** (იხ. ქსე ტ. გვ. 655). ამიტომ ჩემიუფლებები ნაშრომის სათავო მონაკვეთში დაცულია და ჩემი **„გაგების"** თქვენმიერი **„გაუგებრობა"** უსაფუძვლოა.

ედემ იზორია

(გაგრძელება იქნება)

ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲡ ᲓᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ

ᲩᲔᲛᲘ ᲛᲠᲬᲐᲛᲡᲘ

1891-92 წლებში ქუთაისის გიმნაზიაში მოხდა ისეთი რაღაც, რამაც დიდი გავლენა იქონია ჩემს ცხოვრებაზე: ჩავარდა ყოველკვირეული გაზეთი „საქართველო“, რომელიც გამოდიოდა გიმნაზიის მოწაფე კლიმენტი თოფურიძისა და მიხა შენგელაიას მეთაურობით. გაზეთის შინაარსი ხაზს უსვამდა საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას, 1783 წლის ტრაქტატის დარღვევას და ევერიელთა სახელმწიფო ორგანიზმის გადაქცევას რუსეთის უბრალო პროვინციად, მოითხოვდა მისი გათელილი უფლებების აღდგენას. ამ ამბავმა გამოიწვია გიმნაზიის დირექციაში დიდი აურზაური. ცნობილი ინსპექტორი ჩებეში გაჰკიოდა: ვი ხოტელი სოზდატ მოლოდუიუ გრუზიუ?! ია ვამ პოკაჟუ. ამ ნიადაგზე ბევრი გამოყარეს, მაგრამ ყველაზედ მეტი მოხვდა თოფურიძესა და შენგელაიას. ამ დროიდან ვიგრძენი, თუ რაში მდგომარეობდა ქართველი ერის უბედურება და მის თავზე მოვლინებული უკუღმართი ძალმომრეობა. ჩემში გაიღვიძა სამშობლოს განთავისუფლების დიადმა სურვილმა. ეს გახდა ჩემი ცხოვრების საგანი. რაღაც უცნაური ძალა მუდამ ყურში ჩამჩურჩულებდა საქართველოს განთავისუფლების ტკბილსა და დიადს სიმღერას და ამ დღიდან ვიგრძენი ის, რაც ჩემს ცხოვრებაში ყოველთვის მასულდგმულებდა და ენერგიას მიმატებდა ამ დიადი მიზნის მისაღწევად. მოვკიდე ხელი და გადავიკითხე საქართველოს ისტორია, რომლის წაკითხვის შემდეგ თვალწინ გადამეშალა ის დაუსრულებელი ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის, რომელსაც ეწოდა ქართველი ტომი ათას წლობით ისტორიის სარბიელზე გარშემორტყმული, უკულტურო ველური ტომებით, და ეს ბრძოლა ფარნაოზიდან ვიდრე დღემდის დაუმთავრებელია. ვინ იცის, როდის ეღირსება ის ადამიანურ ცხოვრებას. გავიცანი საფრანგეთის დიდი რევოლუცია, რუსეთის დეკაბრისტები, ნაროდნიკები, ნაროდოველცები, წავიკითხე მიხაილოვსკის მოძღვრება, პირველი მარტის პროცესი, **„კაპიტალი“** მარქსისა გავეცანი ბაკუნინისა და კრაპოტკინის ცხოვრებას და სრულიად გამიტაცა განმანთავისუფლებელმა მოძრაობამ, რომელშიც ჩვენში ფეხს იდგამდა დასელების მეთაურობით. გაზეთ **„მოგზაურის“** ფურცლებზე წამოყო თავი ფილიპე მახარაძისა და ნოე ჟორდანიას აზრებმა. კარგად მახსოვს მათი პოლემიკა ილია ჭავჭავაძესთან, მათ მიერ აღებული გზა რევოლუციისა ძლიერ მომწონდა, მხოლოდ ვერ გავიგე, ვერ გავერკვიე თუ რისთვის იყო, რომ ეს ხალხი, ქართველი ერის წიაღიდან წარმოშობილი, თავისთავს იხსენიებდა რ.ს.მ.პ. წევრად, უარყოფდა ეროვნულ საკითხს და ფიქრიც ავტონომიაზე არ შეიძლებოდა, მაშინ როცა ეს რუსი პატრიოტების პროგრამაში ნათლად იყო წამოყენებული. თვით კარლ კაუცკის ბროშურაში გარკვევით იყო ნათქვამი: **„ავტონომია ნე რაზედენიაეტ, ა ობედენიაეტ პროლეტარიატ!“** როცა ასე მსჯელობდა ერთ-ერთი ლიდერი გერმანიის სოციალ-დემოკრატებისა, მიკვირდა, ჩვენს დასელებს რატომ არ მოუვიდოდათ აზრად, დაეარსებინათ საქართველოს სოციალისტური მუშა პარტია, მსგავსად უკრაინის, ბელორუსიის, ლატვიისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატებისა. თვით **„ბუნდისტების“** პარტია, უტერიტორიო, ყოველგან ჯვარცმული და წამებულის, დაქსაქსულის ებრაელის ერისა იცავდა თავგამოდებით ავტონომიას, როცა

ᲛᲣᲨᲜᲘ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ — ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲨᲔᲤᲘᲠᲣᲚᲘ ᲠᲐᲘᲜᲓᲘ

მათთვის სათაკილო იყო მამულისშვილობაზე და სამშობლოზე ლაპარაკი და იმავ დროს მარქსის სიტყვები ადასტურებენ, რომ **„პროლეტარიატს წაართვეს სამშობლო და მან ეს სამშობლო უნდა დაიბრუნოსო“**... როცა დიდებული მოძღვარი გერმანული სოციალ-დემოკრატიისა ავგუსტ ბებელი ამბობდა: პირველად ყოვლისა, მე ვარ გერმანელი და შემდეგ სოციალ-დემოკრატი, რისთვის მიაჩნდა სათაკილოდ ყოველივე ეს და განსაკუთრებით საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის არსებობა მესამე დასელებს, სწორედ საკვირველი იყო ჩემთვის. ამათმა საქციელმა დამაშორა ამ პარტიას და მის იდეოლოგიას. განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს შვეიცარიაში ჩამოყალიბდა საქართველოს სოციალ-ფედერალისტური პარტია, რომლის გაზეთი **„საქართველო“** ჟენევიდან ქუთაისში მოსდიოდა გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძეს, ინჟინერ ჯორჯაძეს, დათა მიქელაძეს. მათგან ამ გაზეთს გავეცანი და 1904 წლიდან შევიქენი ამ პარტიის წევრი. ძმობა, ერთობა, თანასწორობა, გაუმარჯოს თავისუფალ ერთა თავისუფალ კავშირს, გაუმარჯოს სოციალიზმს! სწორედ ეს დევიზი იქცა ჩემთვის იდეალად და ამ დევიზს ვემსახურები დღესაც.

ᲐᲕᲢᲝᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ვისთვის რა მაქნისია, რომ იცოდეს ჩემი ბიოგრაფია? ვისთვის რა საჭიროა, რომ იცოდეს თუ რას ვგრძნობდი, რას ვფიქრობდი, რას ემსახურებოდა ჩემი ფხიზელი გონება? ფხიზელი ვამბობ მისთვის, რომ მართლა ფხიზელი გონების ვიყავი. მასთან, რომ იტყვიან ადამიანზე ფანტაზიორი არისო, ესეც სწორეთ ჩემზე ითქმოდა, აზრსა და ფიქრებს, მართალია, არავის ვუზიარებდი, მაგრამ რადგანაც წილად მხვდა უსამართლობას დავემალო, მეტი რაღა დამრჩენია, თუ ისევ არ მივმართე ჭირში და ლხინში განუყრელს ჩემს მეგობარ — კალამს და ქაღალდს. როგორც უბრალო მოკვდავი ადამიანი, მინდა ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემმა ნაცნობებმა მოწყენის დროს გარდაიკითხონ ჩემი გამქრალი უმნიშვნელო ყოფა-ცხოვრება და მომიგონონ, როგორც მსხვერპლი განმანთავისუფლებელ მოძრაობისა. მაპატივე, მკითხველო, თუ რამე ვერ შევძელ გამეკეთებია ჩემის ტანჯული სამშობლოსათვის და მასთან ერთად იმ დიადი — სიმართლისათვის ბრძოლაში, რომელსაც ჰქვიან მშრომელი ხალხის სრული განთავისუფლება, თვალსაჩინო ვერასფერი გამირიგებია, მეპატივება რადგან ჩემი გულწრფელობა ამხანაგებმა უწყიან. დაე, მთელმა მშრომელმა ხალხმა იცოდეს, რომ კუბოს კარამდე სულით და გულით ვიყავი ყოველგან და ყოველთვის მისი ერთგული, ბევრი ტანჯვა გადამხდა მისთვის და მომავალშიც ველი, თუ კი რამე არ ესაშველა და გაუმჯობესდა მთელი რუსეთის მუშა ხალხის მდგომარეობა და, განსაკუთრებით, საქართველომ არ მოიპოვა ავტონომია. მ.კ.დ.

ᲐᲕᲢᲝᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

მე დავბადებულვარ 1875 წლის 4 ნოემბერს. დედაჩემი ელენე ეკუთვნოდა ძველ არისტოკრატულ საგვარეულოს დადეშქელიანებისას და გახლდათ ასული ოთარ დადეშქელიანისა, რომელიც თვით მთიელ რაინდ სვანებში გამოირჩეოდა თავისი უშიშობითა და განსაკუთრებული სიმაღლითა და სილამაზით. ვინ არ იცის სვანეთის უკანასკნელი მთავარი მურზაყან დადეშქელიანი — მამაცი რაინდი და ულამაზესი მთიელი, ასე სავალალოდ რომ დადო თავისი თავი ეშაფოტზე ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის თავად გაგარინისა და მისი თანმხლებთა მკვლელობის გამო. ვუცქერთ რა მის პორტრეტს, ვაკვირდებით რა მის ხუჭუჭ თმებს, შესანიშნავ აღნაგობას და ტიპიურ ლამაზ სახეს, ძალაუნებურად ფიქრობ, სად შეიძლებოდა დაბადებულიყო და გაზრდილიყო ასეთი ულამაზესი გოლიათი თუ არა კავკასიის მთებში, რომელიც აკვანია მთიელ გმირებისა. ბაბუაჩემი — დედაჩემის მამა ოთარი და მურზაყანი იყვნენ ბიძაშვილები. ბიძაჩემ, დავით დადიანისაგან, რომელიც ორივეს ახლოს იცნობდა და ნანახი ჰყავდა თითქმის ყველა ჩვენი ცნობილი მოხუცები, დანამდვილებით ვიცი, რომ ბაბუა ოთარი გაცილებით ლამაზი და ახოვანი ყოფილა, ვიდრე მთავარი კონსტანტინე. ასე რომ თუ ვინმეს ამაში ეჭვი შეეპარება, შეუძლია შეეკითხოს ბიძაჩემს — დავით გიორგის ძე დადიანს, რომელიც ამჟამად ცხოვრობს სენაკის მაზრის სოფ. კურზუში და მიღწეულია 80 წელს. იგი მონაყოლში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ წინაპართაგან ოთარ დადეშქელიანის მსგავსი ვაჟკაცის მხილველი არ ყოფილა.

დედაჩემი დაიბადა და გაიზარდა თერგის მხარეში, იალბუზის კალთებთან, მდინარე ბაქსანის (თერგის შენაერთი) ნაპირებთან, ყარაჩაში. ცნობილ თავად ურუსბიევების ოჯახში. ვისაც წაკითხული აქვს პროფ. კავალევსკის **„მოგზაურობა კავკასიაში“** მას გაახსენდება ამ წიგნში აღწერილი ისმაილ ურუსბიევი, ყველასაგან პატივდებული და ცნობილი პიროვნება იმდროინდელ სინამდვილეში. ამ წიგნის ავტორს ბევრი რამ გამოუყენებია მისი მონაყოლიდან კავკასიის ლეგენდებსა და სიძველეებზე. დედაჩემი გახლდათ დისშვილი ისმაილ ურუსბიევისა და მის სახლში აღიზარდა.

მამაჩემი, კოწია გიორგის ძე დადიანი, დედაჩემს არცთუ ისე შორეულ ნათესავად ეკუთვნოდა, მაგრამ მამას ის ძალზე მოსწონდა. დედა კი სასტიკად წინააღმდეგი იყო ქრისტიანზე გათხოვებისა, რადგან თვითონ თავდადებული მაჰმადიანი იყო. მას მაჰმადიანურად დაუმხანი ერქვა. მამას დიდი ცდა და მონდომება დასჭირდა, რათა დაეთანხმებინა დაუმხანის ნათესავები ამ ქორწინებაზე. როგორც ვიცი, დედა საბოლოოდ დამორჩილებია დედამისის ნება-სურვილს და მონათლულა ქრისტიანულად. ეს ნათლობა მომხდარა ლეჩხუმში და ნათლიად ყოფილა მამაჩემის სიძე, დის ქმარი, მთავრის ძე კონსტანტინე ლევანის ძე დადიანი. გაქრისტიანებული დედა ლეჩხუმიდან ჭკადუაშის სასახლეში მოუყვანიათ. როგორც ავღნიშნე, მამაჩემი ძალზე გულადი პიროვნება იყო. შეურაცხყოფას არავის აპატიებდა, განსაკუთრებით თავისი ხალხისა და ამისათვის სიცოცხლესაც არად დაგიდევდათ. დედას მთელი სიცოცხლის განმავლობაში არ განელებია სამშობლო მხარეზე დარდი. მან სიცოცხლის ბოლოს, 23 წლის შემდეგ, მოინახულა მშობლიური მხარე, მაგრამ დასნეულებულს არაფერმა უშველა და 1899 წლის 12 ნოემბერს ზუგდიდში აღესრულა, დაგვტოვა რა 4 შვილი ობლად. ეს ტრაგედია მამამ ძალზე განიცადა და სიცოცხლის ბოლომდე უბედურად თვლიდა თავს.

მამა გამოირჩეოდა განსაკუთრებული ჯანმრთელობით, მაგრამ სიცოცხლის ბოლოს გულმა დაუწყო ღალატი. ერთი ჩვეულებრივი გაცივების შემდეგ, იავადმყოფა რა 5 დღე, გარდაიცვალა ფილტვების ანთებით 1903 წლის 19 მარტს ზუგდიდში. სიკვდილის წინ მას პირჯვარი გადუწერია, ჭიქა ღვინო მოუთხოვია, გაჭირვებით წამომჯდარა და შემდეგი უთქვამს: **„ღმერთო, გევედრები ჩემის ცოდვილის პირითა, როგორც გიორგის შვილი, გაუმარჯვე ჩემს გაჭირვებულ ქვეყანასა! ალავერდი შენთან, ექიმო“.**

ᲛᲣᲨᲜᲘ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით ნება მიბოძოთ, გამოვაქვეყნო შემდეგი: 1906 წლის 2 თებერვალს ქრისტეს მოყვარე მხედრობამ გადამიბუგა სახლ-კარი და სწორედ, რომ იტყვიან **„ქვა ქვაზედ“** არ დაუტოვებიათ. ასეთი ვაჟკაცობა და სიმარჯვე გამოიჩინა პოლტავის პოლკის ასეულმა ერთის გულადის აფიცრის წინამძღვრობით და საზოგადოების ნაძირალის მეგრელი სტრაჟნიკ-ჯაშუშის შეროზიას წყალობით. ეს კიდავ არასფერი გასაკვირველია ყაზახრუსებისაგან. მაგრამ აი, რა საზიზღრობა ჩაიდინეს მათ. თავს დაესხნენ მეზობელ ბლაღოჩინს, ნესტორ ალშიბაიას, რომლის შვილი სტუდენტი ვასილი წინ გამოეგება ჯარს, რომელსაც ის იყო, უნდა გაენადგურებია მისი სახლ-კარი და თამამად უთხრა — რა შუაშია მოხუცი დედ-მამა და სახლის კედლები, თუ მე დამეძებთ, არსად გავრბივარ და მზადა ვარ წამოგყვეთ ზუგდიდში. გამოატანეს ორი ყაზახი — აფიცერმა რაღაც **„ზაპისკა“** გადასცა მათ, როგორც ზნეობით რაინდი, ვასო გამოეთხოვა დედ-მამას და გაჰყვა მბრძანებლებს. გამოიარეს ოთხი ვერსის მანძილი და, როგორც დამსწრენი ამბობენ, ეს ორი ყაზახი უცბათ შეჩერდა და თოფები დაახალეს ვასოს, რომელმაც იქვე სული განუტევა. გაქცეულს მის ცხენს გამოუდგა ეს **„ორი ოპრიჩნიკი“,** შეიპყრო და გაუდგა არხეინად გზას. როგორც დამსწრემ გადმომცა, ჯერ კიდევ ტანი არ გაცივებოდა, ჯერ კიდევ ებრძოდა ვასო სიკვდილს, როცა მას მიესია სოფლის ძაღლები და სისხლს ლოკვა დაუწყეს.

ᲔᲛᲖᲐᲠ ᲙᲕᲘᲢᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სპელეოლოგიური აღმოჩენები სენაკში



მღვიმეში ჩასასვლელად, უსაფრთხოების ტექნიკისა და აღჭურვილობის მოძიების შემდეგ, ჩასვლის დღედ დავნიშნეთ 1976 წლის 25 ივლისი. დათქმულ დღეს თოკით, ტროსითა და სხვა დამხმარე აღჭურვილობით მივედით გაგიას უფსკრულში, მაგრამ ჩაშვება ვერ გავბედეთ, რადგან უფსკრულის სველ პიტალო კედელზე ხელებით, ყოველგვარი დამხმარე ტექნიკური საშუალებების გარეშე, ადამიანის ჩაშვება და ამოყვანა გაგვიჭირდებოდა. გადავწყვიტეთ, ადგილზე არსებული ხე-ტყის მასალით უფსკრულის ვიწრო მხარეზე გაგვეკეთებინა ჭერი და ზედ ჩვენი მამა-პაპური იარაღი – ურმის ბორბალი დაგვეყენებინა. უფსკრულის ვიწრო ნაწილის მოჭერას 7,5 კუბური მეტრი ხის მასალა დაგვჭირდა. ბორბლის ღერძზე დავახვიეთ 500 მეტრი სიგრძის თოკი და ტროსი, მივაბით ელმოტორის სარტყელზე, თოკზე კი, დასაჯდომად, სქელი ჯოხი დავამაგრეთ.

საველე ტელეფონი მეშახტის ქუდზე დავამაგრეთ და დავიწყეთ ჩასვლა. მღვიმის ხახა ჩასვლამდე საშიში ქვებისაგან ს. რეკვავამ გაასუფთავა. ბორბლებზე მომუშავეს მივეცი ბრძანება ჩაშვების დაწყების შესახებ. უფსკრულის 60-70 მეტრის სიღრმეში კირქვის პიტალო სქელი კედელია, შემდეგ იწყება პატარა კასკადი. მერე შახტის ჭრილი ვიწროვდება, გვხვდება მეორე კასკადი. 100 მეტრის სიღრმეზე მოზრდილი დარბაზია სტალაგმიტებისა და სტალაქტიტების ნაღვენთებით. დარბაზის ჩრდილო-დასავლეთით ვიწრო ხვრელია – 2-3 მეტრი სიგანის. ტელეფონით სპელეოლოგები გავაფრთხილე, რომ ვიწყებდი ჩასვლას ძალიან ვიწრო და საშიშ ხვრელში და ვთხოვე ნელი ტემპით ჩავეშვი. 10-მეტრიანი ვიწრო ყელის გავლის შემდეგ აღმოვჩნდი პატარა დარბაზში. ცოტა შევისვენე, რა დროსაც ქვემოდან მომესმა წყლის ხმაური. განვაგრძე ჩასვლა. დაახლოებით 20-30 მეტრის გავლის შემდეგ უფსკრულის კედლები დამთავრდა და უზარმაზარ სიცარიელეში აღმოვჩნდი. ვტრიალებდი თოკსა და ტროსს მინდობილი. შიშმა შემიპყრო, მაგრამ გულს არ ვიტეხდი. ომახიანი ხმით ვაცნობე მეგობრებს ნანახის თაობაზე და ვთხოვე, რომ კვლავ ნელი ტემპით გაეგრძელებინათ ჩემი ჩაშვება.

მიწაზე რომ დავადგი ფეხი, გულს მომეშვა და მოვნახე ადგილი ბაზირებისათვის. აქ პირველი პროექტორი დავამონტაჟე, რადგან მეშახტის ფანარი ვეღარ ანათებდა დარბაზის კედელს. პროექტორის დამონტაჟების შემდეგ პირველად ვიხილე მსოფლიოში ჯერ არნახული საოცრება – სტალაქტიტებისა და სტალაგმიტების ტყე, სხვადასხვა ფორმისა და ფერის ათინათებით. მღვიმის ცივი წყალი დავლიე და ცოტა მოვსულიერდი. მერე ავიხსენი დამჭერი სარტყელი, საიმედო ჯოხის **"სკამიდან"** ჩამოვედი და გავეცი ბრძანება სპელეოლოგების ჩამოსვლის თაობაზე. ახლადაღმოჩენილ **"ოქროს აკვანის"** დარბაზში მე – იგორ ბოჯგუამ, სოსო რეკვავამ და მურმან ბოჯგუამ ვისადილეთ.

წინ რთული და საინტერესო გზა გველის: 7 დღის განმავლობაში, დღემონაცვლეობით, ჩვენს მიერ აღმოჩენილი იქნა 9 დარბაზი, 2 ტბა, 2 ჩანჩქერი და ერთი სიფონი, ძალიან ვიწრო შესასვლელით. დაახლოებით 7 კილომეტრის გავლის შემდეგ საწულეისკიროს გამოსასვლელ ხვრელთან, ანუ დელტასთან, უზარმაზარ მიწისქვეშა ზღვას გადავეყარეთ. დაწყებული ამ დღიდან **"Зоркий"**-ს ფოტოაპარატით გადაღებული ბაცი ფოტოსურათებისა და ჩვენს მიერ შედგენილი ბიზნესპროექტის მეშვეობით პროპაგანდას ვუწევთ ჩვენს სპელეოაღმოჩენას, მაგრამ ჩვენი აღმოჩენებით დღემდე არავინ დაინტერესებულა. 2002 წელს ქართულ ტელეარხ **"რუსთავი-2"**-ის ბიზნესპროექტში **"თქვენი იდეა, ჩვენი ფული"** მივიღე მონაწილეობა, წარვადგინე მღვიმის ბიზნესპროექტი, სადაც მღვიმის კეთილმოწყობისა და მისი ინფრასტრუქტურის გასამართად და ექსპლოატაციაში გასაშვებად 1,5 მილიონ ლარს ვითხოვდი. ყურადღება არავინ მოგვაქცია.

მიუხედავად ამისა, მე და ჩემს ძმებს ხელი არ ჩაგვიქნევია – ეკის მთის 1.700 ჰექტარი ნაკრძალი იჯარით ავიღეთ ტურიზმისა და სამონადირეო სპორტისათვის. ამ მიწის ნაკვეთის ნაკრძალად აღებისას მიზნად ვისახავდით სპელეოკვლევების ბოლომდე მიყვანას და ტურიზმისა და სამონადირეო სპორტისათვის ნიადაგის მომზადებას.

ვახუშტი ბაგრატიონის **"საქართველოს გეოგრაფიაში"** აღწერილი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ეკის **"უნაგირას მთაზე"** ადამიანის სიმაღლის ბალახი იზრდება და აქ **"ხარირმები ბღავიან"**, სავსებით დადასტურდა – კოლხური ირმის უკანასკნელი წარმომადგენლის კვალმა მდინარე **ცივის** ნაპირამდე მიაღწია, რადგანაც აქ, 4 მეტრი მიწის ქვეშ ნაპოვნი იქნა კოლხური ირმის ორი რქა და შუბისპირი, რომლითაც ეს უკანასკნელი იქნა ნაპოვნი. დღეს ეს რქები შურდაიების ოჯახში ინახება. მართალია, ჩვენ ამ მთაზე ირმების ჯოგის გაშვებას ვერ შევძლებთ, მაგრამ გარეული ღორების, ხოხბის და შველის გაშვება გვაქვს გადაწყვეტილი. ჩვენ, ძმებმა, სპელეოკვლევების ბოლომდე მისაყვანად მიზნად დავისახეთ დავკავშირებოდით საფრანგეთის, იტალიის და სხვა ქვეყნების სპელეოლოგებს. საამისოდ ხელსაყრელი მომენტიც გამოჩნდა. ოცინდალესა (ჩხოროწყუ) და წაჩხურის (მარტვილი) მღვიმეებში მომუშავე საფრანგეთის, იტალიისა და გერმანიის სპელეოლოგიურ ექსპედიციასთან კავშირის გაბმა გადავწყვიტეთ. სააისოდ დავუკავშირდით ჩხოროწყუს სპელეოლოგიური ცენტრის უფროსს, გეოფიზიკის პროფესორს, სპელეოლოგს ბატონ იგორ ფიჩხაიას და საქართველოს სპელეოკავშირის კოორდინატორს ბატონ რომან თოლორდავას. გავაცანით მას ეკის კირქვულ მასივში ჩვენი აღმოჩენების შესახებ და ვთხოვეთ დახმარება მღვიმის გამოუკვლეველი ადგილების შესწავლის, სპონსორების მოძებნის და ამ გამოკვლევებში უცხოელი სპელეოლოგების ჩართვის საქმეში. 2012 წელს ეკის კირქვულ მასივში არსებული უფსკრულების შესასწავლად ჩამოვიდა საქართველოს სპელეოკავშირის ექსპედიციის კოორდინატორი რომან თოლორდავა, საქართველოს გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ნანა ბოლოთაშვილი, სპელეოლოგისტთა კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი კუკური წიქარიშვილი, საქართველოს ფიზიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი ნუგზარ ღლონტი და გეოფიზიკური კვლევების ხელმძღვანელი, პროფესორი გივი ჯაში.

ქართულმა ექსპედიციამ მეორე ჩაშვება გაგიას უფსკრულის შესწავლით დაიწყო. უფსკრულში ახალი სპელეოაღჭურვილობით რომან თოლორდავა ჩავიდა, მაგრამ მას 120 მეტრზე უფსკრულის ვიწრო შესასვლელი ჩახერგილი დახვდა. უფსკრულის ვიწრო ჩასასვლელის ჩახერგვა ჩვენი პირველი ექსპედიციის უცოდინარობის გამო მოხდა. უფსკრულის ხახის ჭერისათვის გაკეთებული 7 კუბური მეტრი ხეტყის მასალების დემონტაჟი ჩვენ არ გაგვიკეთებია. ის დალპა, უფსკრულში ჩაცვივდა და ვიწრო ჩასასვლელი ამოქოლა. ამ ექსპედიციის ჩაშვებაზე ინფორმაცია 2012 წლის 2 სექტემბერს გავიდა **"რუსთავი-2"**-ის ეთერში. ნანახით გაოცებულმა საქართველოს სპელეოექსპედიციამ უფსკრულის, ანუ ეკის მთის ზედაპირის გეოფიზიკური, გეოდეზიური და სპელეოკვლევები მომდევნო 2012 წლისათვის გადადო, მაგრამ სახსრების უქონლობის გამო კვლევები არ განხორციელებულა.

2013 წელს ეკის კირქვული მასივის შესასწავლად ჩამოვიდა ქართულ-ფრანგული საერთაშორისო ექსპედიცია. საფრანგეთის მხრივ: ალან დავანი და ბეტი პაჩინი – საფრანგეთის სპელეოფედერაციის ვიენნეს, სპელეოკლუბის პროფესიონალი სპელეოლოგები. ქართული მხრივ: საქართველოს სპელეოკავშირის კოორდინატორი რომან თოლორდავა, საქართველოს სპელეოკავშირის თავმჯდომარე, სპელეოექსპედიციის მთავარი კოორდინატორი მამუკა ნიკოლაძე, საქართველოს სპელეოტურისტულ საკითხებში ექსპერტი ვახტანგ ჩიხრაძე, საქართველოს სპელეოკავშირის წევრი სოფო ნიკოლაძე, ტელეკომპანია **"რუსთავი-2"**-ის დილის გადაცემების კურატორი, ტექნიკური პროდიუსერი რამაზ ქარჩავა. ასეთი მაღალი რანგის, მსოფლიოში ცნობილ სპელეოლოგებს, ჩვენ, ძმებმა, ყველაზე ძნელ, შემდგომში მურმანის სახელობის უფსკრულში ჩასვლა შევთავაზეთ. უსახელო უფსკრულში ჩასვლის შემდეგ, ბევრის მნახველი ფრანგი სპელეოლოგები იქ ნანახ სილამაზეზე გაოცებას და აღტაცებას ვერ მალავდნენ და მის მსოფლიო მნიშვნელობას უსვამდნენ ხაზს. ამ უფსკრულში პირველად ფეხი შედგეს ფრანგმა სპელეოლოგებმა ალან დავანმა და ბეტი პაჩინიმ, ქართველმა სპელეოლოგებმა რომან თოლორდავამ და სოფო ნიკოლაძემ. უფსკრულის სიღრმე 150-170 მეტრია.

2013 წლის 27 სექტემბერს სენაკს ეწვია საქართველო-ლატვიის სპელეომყვინთავთა ექსპედიცია. ლატვიის მხრიდან იყვნენ მყვინთავები ეიტის ვილკასი და დონატეს ზვიჩევიკუსი, საქართველოს მხრიდან კი გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, პროფესორი ამირან ჯამრიშვილი, ამავე ინსტიტუტის სპელეოლოგიის კათედრის გამგე, სპელეოლოგი კუკური წიქარიშვილი, კარსტოლოგი პროფესორი ამირან ქობულაშვილი, გეომორფოლოგი, პროფესორი იგორ ფიჩხაია, სპელეოლოგები მურმან ბოჯგუა, იგორ ბოჯგუა და ირაკლი ცხვიტავა. ჩვენ არ ვღალატობთ ჩვენს პრინციპებს და გამოცდილი სპელეოლოგი-მყვინთავები მიგვყავს საწულეისკიროს ურთულეს (3-სართულიან) მღვიმეში, ანუ მიწისქვეშა ზღვის გამოსაკვლევად. ვიდეო და ფოტომასალების მოსაპოვებლად ეიტის ვიკლასს მივეცით დავალება ზემოხსენებული მასალების მოპოვების ვადა – 15 წუთი. ვილკასი კი ნახევარი საათის განმავლობაში არ გამოჩენილა. უფსკრულში ჩასულმა სპელეომყვინთავებმა განგაში ატეხეს. ნახევარი საათის შემდეგ ეიტის ვილკასი, როგორც იქნა, გამოჩნდა და წამოიყვირა: **"ჩუდესა, ფრანცია!"**. მყვინთავ-სპელეოლოგებს გულზე მოეშვათ. ეიტასის მიერ მოპოვებული ვიდეომასალები საკუთარ ფესიბუკის გვერდზე განათავსა რომან თოლორდავამ, სადაც ასევე განთავსებულია მღვიმის დამახასიათებელი ახალი მონაცემები. თუმცა, მასში, სამწუხაროდ, შეცდომაა დაშვებული. კერძოდ, უნდა ეწეროს **"სენაკის რაიონის საწულეისკიროს მღვიმე"** და არა **"ჩხოროწყუს რაიონის სახარბედიოს მღვიმე"**. მღვიმეში შესასვლელის ფართი 4-3,5 მეტრია, სიგრძე – 100-150 მეტრი (იგი ბოლომდე არაა გამოკვლეული), სიგანე – 40-80 მეტრი, წყლის სიღრმეა 30 მეტრი. წყალი კამკამაა, ხილვადობა 15-20 მეტრია. ტემპერატურა მღვიმეში მუდმივად +15 გრადუსია. მღვიმის სიგრძეს ბოლო არ უჩანს, მღვიმეში სტალაგმიტები არ არის, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ აქ წყლის ჩქარი დინებაა.

ამ ვრცელი საგაზეთო წერილის მიზანია სენაკის რაიონში სპელეოაღმოჩენა **"ოქროს აკვნის"** სახელობის მღვიმისადმი საზოგადოების დაინტერესება და, რაც შეიძლება მოკლე ვადაში მისი ქვეყნის სამსახურში ჩაყენება. მის კეთილმოწყობას 2 მილიონი ლარი უნდა მოხმარდეს, რაც სეზონში 8-10 მილიონი ლარის მოგებას მოიტანს. ფაქტია ისიც, რომ მის აღმომჩენ სპელეოლოგ-მკვლევარებს აქ საკმაოდ დიდ ხანს მოუწევთ მუშაობა, რადგან 13 მდინარის დინების მიმართულებით არსებული მღვიმეები ჯერ კიდევ გამოსაკვლევია. ის ფაქტი, რომ ამ გამოქვაბულიდან გამოსული მდინარეების კალაპოტი მთის სტომაქიდან გამოტანილი კირქვული მასალებით – ღორღით და ლოდებითაა სავსე, მდინარე ტეხურსა და მდინარე ცივამდე, მიგვანიშნებს იმაზე, რომ სპელეოლოგებს საინტერესო და ხიფათიანი 80-კილომეტრიანი გზა გზა აქვთ გასავლელი. კერძოდ, გამოსაკვლევია პირველი ოკარკალეშის უფსკრული, ოღუეშის უფსკრული, სახარბედიოს მღვიმე, საწულეისკიროს მღვიმე, საადამიოს მღვიმე, მენათეს გამოქვაბული, ხომონის გამოქვაბული, კვარჯღალის გამოქვაბული, მენჯის უფსკრული, ოთუნთეს გამოქვაბული. ჩვენ კი, სამწუხაროდ, ჯერჯერობით მხოლოდ აღმოჩენილი მღვიმეების ექსპლუატაციაში გასაშვებად ვეძებთ სპონსორს.

იგორ ბოჯგუა,
აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსი, ქალაქ სენაკის VII საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი, სპელეოლოგი

დაგვიანებული გამოსათხოვარი



ახლახან ამიერეთიდან იმიერეთში უხმაუროდ გადასახლდა საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი, სიცოცხლის მიწურულს უსახლკაროთა თავშესაფრის ბინადარი, ჟურნალისტი კლარა აბრამია, რომელმაც თავისი არც თუ მოკლე ცხოვრების გზაზე უსამართლოდ დაჩაგრულთა ტკივილების დასაამებლად მრავალი განსაცდელი გადაიტანა, მაგრამ სამაგიეროდ ბევრ არაკაცსა და არაქალს დაუფრთხო ძილი.

ბოლოს იგი გარდაცვალებამდე 10 თუ 12 დღით ადრე შემხვდა კოსტავას ქუჩის №14-თან, ჟურნალისტებისათვის, მათ შორის მის საავტორო გაზეთ **„თუთარჩელასათვის"** წართმეულ გამომცემლობა **„სამშობლოს"** შენობასთან.

ძლივს მოლასლასებდა.

– სად ხარ? რატომ არ ჩანხარმეთქი? – ვკითხე.

– როგორც იქნა, გამოვადწიე მოსკოვიდანო, – მითხრა, – იქაც მომაგნეს აქაურებმა, საღსალამათი ქალი „ფსიხუსკაში" გამომამწყვდიეს და თავი ძლივს დავიხსენიო.

შევცქეროდი და დავრწმუნდი, რომ უკვე ნამდვილად აღარ ჰგავდა იმ კლარას, რომელსაც ყმაწვილკაცობიდან ვიცნობდი და მისი მეამბოხე ხასიათისა გამო ექსპრომტად ის მეგობრული **„სათრეველაც"** მივუძღვენი, რომელიც შეხვედრისას ტუჩებზე შეყინული ღიმილით თვითონვე შემახსენა: ***„ზოგი მამა აბრამია, ზოგიც კლარა აბრამია, თუმცა მისი რა ბრალია?"***

მართლაცდა, მისი რა ბრალია, როდესაც ცხოვრება ისეთი უკულმართია, რომ თუ სერიოზულად არ გაიბრძოლე, კუდის რიკამდე გაგატყავებენ და ყველაფერს ისე მიიტაცებენ, როგორც ბეჭდვური პრესის მუშაკებს ჩვენი შრომითა და გარჯით აგებული გამომცემლობა **„სამშობლოს"** კორპუსები წაგვართვეს კოსტავას ქუჩაზეც და ხოშარაულზეც.

ასევე მოხდა პერიფერიებშიც. ყველა რედაქციას თავზე დაამხეს ჭერი, შემდეგ კი საგაზეთო ჯიხურებიც დაანგრიეს, რათა გაზეთებისათვის მკითხველთან მისასვლელი ყველა გზა ჩაეხერგათ. ამითაც აიხსნება, რომ უკვე აღარ გამოდის აღარც **„თბილისი"**, აღარც **„სოფლის ცხოვრება"** და აღარც ბევრი სხვა პოპულარული გაზეთი აღარც თბილისში და აღარც პერიფერიებში.

– ნუთუ დღევანდელი ხელისუფლება ვერ ხვდება, რომ მათმა წინამორბედებმა ბეჭდვურ მედიას ეს სავალალო ხვედრი საგანგებოდ არგუნეს, რათა მიშისტურ **„ჯიბის ტელევიზიებს" „ტვინების გამორეცხვა "გაადვილებოდათ?!** – შემეკითხა და განაგრძო, – დიდი ხანი არ არის, რაც ვაკვირდები, მხოლოდ რამდენიმე დღეა, მაგრამ უკვე თვალნათლივ ვხედავ, რომ **„ჯიბის ტელევიზიებში"** არაფერი შეცვლილა – ისევ **„მიშისტურებად"** რჩებიან, ოღონდ ტაქტიკა აქვთ სხვა: ადრე თუ **„მიშა მაგარიაო"**, გაიძახოდნენ, ამჯერად ამას დღევანდელ ხელისუფლებაზე შეთხზული ჭორები, აღვირახსნილი გინება და შოკის მომგვრელი გადაცემებიც უხვად დაუმატეს, რათა მაყურებელი დააშინონ და პანიკაში ჩააგდონ...

დამშორდა იმ იმედით, რომ ცოტა მომჯობინდებოდა და თანამოკალმეებთან ერთად კვლავაც განაგრძობდა ბრძოლას გაზეთების, მათ შორის თავისი საავტორო გაზეთ **„თუთარჩელას"** აღსადგენად, გაყიდული **„სამშობლოს"** დასაბრუნებლად, მრავალთაგან აოხრებული და გაძარცული სამეგრელოს ტკივილების დასაამებლად.

ვაგლახ, რომ ფიზიკური ძალა აღარ ეყო, რამეთუ ამჯერად მხოლოდ გარეწრებთან კი არა, იმასთანაც მოუხდა ჭიდილი, ვისზეც სულმნათმა ბრძანა – **„მისგან გასწორდეს ყოველი, სუსტი და ძალგულოვანი"**.

ღმერთმა ინებოს, რომ ამიერეთში სიკეთისათვის ბნელეთთან მრავალგზის სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეჭიდებულ ქალბატონს იმიერეთში მაინც დაუმკვიდრდეს ნათელი!

ალექსანდრე შენგელია

ჩემო როლანდ!

ამაყი ვარ, რომ ჩვენ, ორივემ ერთგვარად ვალი მოვიხადეთ უპატრონო და დაუტირებელი ჩვენი კოლეგის წინაშე.

საოცრად უკუღმართი ბედი ჰქონდა!

ვიცნობდი მის ქმარს გურამ ჩიქოვანს, რომელსაც სიყვარულით გაჰყვა.

ანგელოზივით ბიჭი იყო თავიდან, მაგრამ მერე ჯერ ქურდობას მიჰყო ხელი, შემდეგ კი ნარკომანობას და ჩვენი კოლეგა გაშორდა. შეიძლება იმიტომაც, რომ შვილიც არ ეყოლათ.

მისი პირველი ჟურნალისტური ნაშრომის ნათლიაც და ფაქტობრივი რედაქტორიც მე ვიყავი და მაშინ გაეხსნა გზა „სახალხო განათლების" დროებითი კორექტორობიდან კორესპონდენტობისაკენ და ამას ყოველთვის მადლიერებით აღნიშნავდა.

დარწმუნებული ვარ, რომ შენი კომპიუტერის ოპერატორს მისი ფოტოს მოძებნა არ გაუჭირდება. საქართველოს რესპუბლიკაში იყო პატარა განცხადებასთან ერთად, სხვა გაზეთშიც.

აუხსენი, რომ ესეც მადლია, უფრო ზუსტად, მადლზე მოყრილი მარილი!

შენი ძმა და მეგობარი
ალეკო

ᲔᲠᲗᲘ ᲣᲚᲘᲠᲡᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲪᲮᲕᲘᲜᲝ ᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲓᲐᲙᲕᲐᲚ

„როცა ქალი სინდისისგან სულ მთლიანად გაშიშვლდება, ის ვერ შეძლებს სიმწრისაგან წამითაც კი გაწითლებას“

ომის შემდგომი რეალობა და აფხაზეთში შექმნილი ვითარება ახლებურ დანახვას და გააზრებას მოითხოვდა. სწორი გაკვეთილი უნდა გამოგვეტანა დაშვებული შეცდომებიდან, რათა თავი აგვერიდებინა მორიგი გართულებისა და უკუშედეგებისთვის, განზე უნდა გადაგვედო ამბიციები და გადაგვერჩინა აფხაზეთის ქართველობა, თუ გვინდოდა აფხაზეთი ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში, ერის გადარჩენა და ზოგადად ქვეყნის გამთლიანება.

საჭირო იყო თანმიმდევრული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, თუნდაც გალის რაიონში, ისე როგორც ეს გაკეთდა ე.წ. ზემო აფხაზეთში, რათა აფხაზებს, რუსეთის გამუდმებული ეკონომიკური და სხვა სახის ექსპანსიის ფონზე, გასჩენოდა ალტერნატივა და მისცემოდა არჩევანის საშუალება – საით აჯობებდა, ჩრდილო-დასავლეთისკენ, თუ სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით? ეს უთუოდ შეუწყობდა ხელს აფხაზების შემობრუნების პროცესს, გაუხსნიდა ისტორიულ მეხსიერებას და შეაგონებდა მათ, თუ სურდათ გადარჩენა, როგორც ეთნოსს, რომ მხოლოდ ქართველებთან არსებობა და თანაცხოვრებაა ერთადერთი სწორი გზა. რა თქმა უნდა, ამისთვის მხოლოდ ეს არ იქნებოდა საკმარისი – კიდევ ბევრი რამ იყო საჭირო, მაგრამ შექმნილ სოციალურ ვითარებაში, ყოველივე ამას უდავოდ დიდი სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ამისთვის კი უმთავრესი (საწყის პერიოდში მაინც), გალის რაიონში სპეციალური პროექტების დაფინანსება, სოფლის მეურნეობის, გზების, ჯანმრთელობის სისტემის, განათლებისა და სხვა დარგების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-აღორძინება გვესახებოდა. ეს შეიძლებოდა განხორციელებულიყო ევროკომისიის სპეციალური პროექტების ფარგლებში, სწორედ ევროკომისიის დაფინანსების გზით.

კარგად მესმოდა ეს, თანაც ერთგვარი პოზიტიური გამოცდილებაც გამაჩნდა და ნაბიჯ-ნაბიჯ ვცდილობდი მათ ნაწილობრივ რეალიზაციას.

ჩემი ძალისხმევით აღსდგა სოფელ ოტობაიას საუბნო პოლიკლინიკა, აღიჭურვა იგი თანამედროვე ავეჯით, სტომატოლოგიური კაბინეტითა და სხვა სამედიცინო დანადგარებითა და ხელსაწყოებით; ამუშავდა სპეციალური სასწრაფო-სამედიცინო დახმარების პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფილი იყო სპეციალური ტრანსპორტით. ამ საქმეში გვერდით მედგა მხოლოდ ჯანდაცვის მინისტრი ქალბატონი დალილა ხორავა.

ჩემი ინიციატივით შემუშავდა სოფელ ოტობაიაში საუბნო საავადმყოფოს აღდგენისა და რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც როგორც აღდგენილი პოლიკლინიკა, მოემსახურებოდა 7–8 მიმდებარე სოფლების მოსახლეობას. ასევე შემუშავდა ქალაქ გალში რეგიონალური სამედიცინო ცენტრის მეგა-პროექტი, რომელიც თანამედროვე მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიებით იქნებოდა აღჭურვილი.

ამ პროექტებს მხარს უჭერდნენ მაშინდელი ჯანდაცვის მინისტრი ბატონი ამირან გამყრელიძე და სახელმწიფო მინისტრი ბატონი ავთანდილ ჯორბენაძე. მათ მიერ ამ პროექტის განხორციელებისათვის საჭირო სახსრები (4,7 მილიონი დოლარის ოდენობით) გათვალისწინებულ იქნა 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში, მაგრამ, სამწუხაროდ, 2003 წლის ნოემბრის **„ვარდების რევოლუციის“** შემდეგ, ახალმა მთავრობამ იგი ბიუჯეტიდან ამოიღო. ასე რომ, ყველა მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.

მიუხედავად ხელისუფლების წაყრუებისა და აფხაზეთის მთავრობაში და უმაღლეს საბჭოში ნეგატიური მიდგომისა, ჩემს მიერ შემოთავაზებული იდეების და პროექტებისადმი, მე მაინც არ დამიყრია ფარხმალი და ვეძებდი გზებს მათი განხორციელებისთვის. დიდი დაბრკოლებებისა და წინააღმდეგობების მიუხედავად, მაინც მივაღწიე იმას, რომ აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში ჩემს მიერ ლობირებული და შემოთავაზებული პროექტი გალის რაიონის ეკონომიკური ინტეგრაციისა და რეაბილიტაციის შესახებ, იქნა დაწვრილებით განხილული და ისევე, როგორც ზემო აფხაზეთი, გალის რაიონი ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად დამტკიცებული.

ამ დადგენილების ხორცშესხმის მიზნით აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში ჩემს მიერ სესიაზე გატანილ და დამტკიცებულ იქნა სპეციალური სამსახური – საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის განყოფილება, რომელსაც დაევალა სპეციალური პროგრამების მომზადება.

ასე ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის, განათლების და სოფლის მეურნეობის სამინისტროებისთვის ჩვენს მიერ შემოთავაზებულ იქნა კონკრეტული პროექტები, რომლებიც შემდგომ მხარდაჭერილ იქნა ქვეყნის კონფლიქტების დარეგულირების სამინისტროს მიერ და შეტანილ იქნა სპეციალურ პროექტთა ნუსხაში. ისინი გადაეგზავნა ევროკომისიას დასაფინანსებლად. ეს პროექტები შეთანხმებული იყო აფხაზურ მხარესთანაც. გალის რაიონში მათი განხორციელების სანაცვლოდ, აფხაზური მხარე მიიღებდა ევროკომისიისგან სპეციალურ დაფინანსებას სოხუმის წყალკანალისა და სხვა საკომუნიკაციო სისტემების აღსადგენად. წარდგენილი პროექტები ითვალისწინებდნენ გალში რეგიონალური მრავალპროფილიანი სამედიცინო ცენტრის, გალის რაიონის დაბალი ზონის, კერძოდ, ოტობაიის, მეორე ოტობაიის, განახლების, ფიჩორის, გაგიდის, ქვემო ბარღების, ნაბაკევისა და თაგილონის საშუალო სკოლების რეაბილიტაციას, სოფ ოტობაიას საუბნო საავადმყოფოს მშენებლობას და აგროსექტორისთვის 4 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური მიკრო-სადგურის შექმნას. პროექტები უნდა ამოქმედებულიყვნენ 2008 წლის შემოდგომაზე, მაგრამ, ამავე წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომისა და რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების შედეგად ჩაბარდნენ ისტორიას.

ასეთი მიდგომა და სოციალური პოლიტიკა იქნებოდა ერთადერთი, სწორი და წინდახედული ნაბიჯი აფხაზეთთან მიმართებაში. გალის რაიონის აღორძინების პროცესს უნდა მისცემოდა მცოცავი ხასიათი და უნდა განვრცობილიყო სამურზაყანოს მთელ ტერიტორიაზე – ოჩამჩირის რაიონის ჩათვლით. ეს იქნებოდა საქმიანი მიდგომა და წონადი წინადადება აფხაზი ხალხისადმი. ასეთ შემთხვევაში ისინი ირწმუნებდნენ, რომ ჩვენ მართლა მშვიდობით მოვდივართ და გვსურს აფხაზეთში რეინტეგრაცია ხარისხობრივად სხვა, უფრო მაღალ დონეზე. სამწუხაროდ, ისინი, ვისზეც იყო ყოველივე ეს დამოკიდებული, როდი ფიქრობდა ასე!

აი, იმ საქმეთა არასრული ნუსხა, რითაც ვიყავი დაკავებული აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში თუ მის ფარგლებს გარეთ, მაგრამ ამაზე არასდროს დამცდენია ერთი სიტყვაც კი, და ამით არასდროს მიმიპყვრია სხვისი ყურადღება. თუ ვწერდი, ყოველნაირად გავურბოდი სიტყვა **„მე“**-ს. მიუხედავად ამისა, ჩვენი ქალბატონი ურცხვად წერს: **„საიდან ამდენი მე, მე, მე,... აშკარაა, მახსოვრობა გღალატობთ, ბატონო ნაპო, თორემ არავის ახსოვს ისეთი აქტიურობა, არც იქ და არც აქ, როგორსაც იბრალებთ. თითქმის ათი წელი (სინამდვილეში კი წელიწადნახევარი ნ.მ.) ე. შევარდნაძის მრჩეველი იყავით აფხაზეთის საკითხებში; ხუთი წელი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ამავე დროს ხელმძღვანელობდით სახალხო დიპლომატიას აფხაზებთან მიმართებაში, მაგრამ მერე რა? რას მიაღწიეთ? და ა.შ... საღად მოაზროვნე ადამიანისთვის მისი (ჩემი წიგნის! ნ.მ.) სულისკვეთება საკუთარი „განდიდების სურვილით გაბრუებული“ კაცის შემოქმედებაა, რაც ნამდვილად ანტისახელმწიფოებრივია და სეპარატისტთა წისქვილზე ასხმას წყალს“.**

კომენტარი აქ თქვენთვის მიმინდვია: მე უძლური ვარ რამე ვთქვა! კომენტარი აქ უადგილოდაც მიმაჩნია, მაგრამ მაინც არ შეიძლება რომ ორიოდე სიტყვა არ ითქვას იმ ბრალდებებზე, რომლებსაც ასე აკოწიწებს ეს ქალბატონი.

ჯერ ერთი, სახალხო დიპლომატიის მცდელობაც არ ყოფილა და მონაწილეობას ვიღებდი მხოლოდ ე.წ. შლაინინგის ფორმატით ცნობილ ორმხრივ, ქართულ-აფხაზურ შეხვედრებში ავსტრიასა და გერმანიაში. ეს იყო და ეს! ისე კი, თავის დროზე, ბატონ ბონდო ჯიქიას (იმ დროისთვის სამეგრელოსა და ზემო სვანეთის გუბერნატორი) მეშვეობით სახელმწიფო მინისტრს, ბატონ ვაჟა ლორთქიფანიძეს შევთავაზე სახალხო დიპლომატიის წინა პლანზე წამოწევა, სამთავრობო დონეზე აყვანა და მასში დევნილი მოსახლეობის წარმომადგენელთა აქტიური ჩართვა, მაგრამ ესეც, როგორც დანარჩენი არაერთი ასეთი ჩემი წინადადება, უყურადღებოდ დარჩა. ხელისუფლება თავად ვერ აგვარებდა პრობლემებს და სხვებსაც არ უშვებდა ახლოს!

ასევე არ შეიძლება არ ითქვას რამოდენიმე სიტყვა იმ **„განდიდების სურვილით გაბრუებული კაცის შემოქმედებაზეც“**, რაზეც ასე ურცხვად მიგვანიშნებს ეს ქალბატონი.

მკითხველს ეს არ შეიძლება არ აინტერესებდეს, რომ, თურმე, ექიმსაც გაუჩნდა მადალი სავარძლებისკენ ლტოლვა და აბა რა უნდა დაგვმართნოდა ჩვენს სასიკეთოდ. ეს მეც დიდი ხანია მაწუხებს და, რახან მომეცა საშუალება, ვიტყვი გულწრფელად, ყველაფერი ეს ჩემთვისაც იყო მოულოდნელი და გამაოგნებელი, მიუხედავად იმისა რომ, როგორც ცნობილია, ექიმსაც გააჩნია კონსტიტუციური უფლება იყოს ამომრჩეველი და ასევე არჩეულიც. მაგრამ ამაზე არასდროს არ მიფიქრია, მით უფრო, რომ ვიყავი დაკავებული ძალზე საინტერესო საქმით – საზოგადოებაშიც საკმაოდ ცნობადი ვიყავი და სხვა ამბიციები არ გამაჩნდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდი ჩემთვის უჩვეულო და უცნობ სამყაროში – პოლიტიკაში. ამაში ღმერთია მოწმე, როგორც იტყვიან: «Человек предпологает, а Бог распологает!»

ყველაფერი დაიწყო ძალიან მარტივად: ჩემთან მოვიდნენ სოხუმის ინტელიგენციის წარმომადგენლები და მეუბნებიან: **„საჭიროა დეპუტატობის ისეთი კანდიდატი ქალი, რომელიც დააბალანსებდა ქ-ნ ნათელა აკაბას ანტიქართულ პოზიციას და უზომო აქტიურობას მომავალ უმაღლეს საბჭოში“.** მე მაშინათვე გამახსენდა გალის რაიონის მთავარი ექიმი, ქ-ნი დალილა ხორავა – განათლებული, სიმპატიური და ძალზე ენერგიული ქალბატონი. ორიოდე დღის შემდეგ ვეწვიეთ კიდეც მას და ვთხოვეთ მონაწილეობა მიეღო უმაღლეს საბჭოს არჩევნებში, როგორც დეპუტატობის კანდიდატს, მაგრამ მან კატეგორიული უარი განაცხადა. მოტივაცია საკმაოდ არგუმენტირებული იყო: დეპუტატად კენჭს იყრიდა მისი მეუღლე, ბატონი თამაზ ხუბუა და უკვე რეგისტრირებულიც იყო ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. ამასთან ერთად, მან განაცხადა: **„გალიდან კენჭი უნდა იყაროს ბატონმა ნაპომ!“.** თქვა ეს და ისე დაგვტოვა, რომ მოვასწარი მხოლოდ მიმედევნა მისთვის, რომ არაფერი ეღონა საამისოდ. მას კი სახელდახელოდ მოუწევია რაიონის სამედიცინო საზოგადოების კრება, სადაც ერთხმად დაუმტკიცებია ჩემი კანდიდატურა და მეორე დღესვე შეუტანია იგი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

ასე ავღმოვჩნდი დეპუტატობის კანდიდატთა სიაში. მე კი არ ვიჩენდი არავითარ ინტერესს და აქტიურობას. გადიოდა დღეები, მე არ ვჩანდი – არ ჩავდიოდი გალში და არ ვხვდებოდი ამომრჩევლებს. ასეთ დროს ჩამოდის სოხუმში ქალბატონი დალილა აქტივისტებთან ერთად, და მეუბნება: **„აქვე, შენს კაბინეტში ჩამოვიხრჩობ თავს, თუ არ გამომყვებით გალში და აქტიურად არ ჩაებმებით წინასაარჩევნო მარათონში. რა გაეწყობოდა... ერთი სიტყვით, „კაცი ბჭობდა, ღმერთი კი იცინოდაო!“** ასე გავხდი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრი.

მერე იყო დეპუტატთა მცირე ჯგუფის შეხვედრა ქვეყნის პრეზიდენტთან, ბატონ ზ. გამსახურდიასთან, სადაც აფხაზეთის მთავრობის თავჯდომარის საკითხიც განიხილებოდა. აქ, ჩემთვის მოულოდნელად, ჩემი გვარიც გაჟღერდა, რაზეც კატეგორიული უარი განვაცხადე: **„ეს მოწმენდილ ცაზე ჭექა-ქუხილია ჩემთვის, მე ექიმი ვარ და ამისათვის არვარ მზად“**-მეთქი, მაგრამ ეს მაინც ითქვა და შემდგომ მსჯელობის საგნად იქცა.

სოხუმში ჩამოსვლის მეორე დღესვე **„მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“** აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის საბჭოს სხდომა შესდგა, სადაც იხილებოდა დეპუტატთა თბილისში გამგზავრების და პრეზიდენტ ზ. გამსახურდიასთან შეხვედრის შედეგები. სხდომას საბჭოს ყველა წევრი ესწრებოდა და გარეშე საზოგადოების წარმომადგენლებიც, მათ შორის, თუ სწორად მახსოვს, ქალბატონები რაისა ქარაია და ეთერი ასტემიროვა. მე ასევე უარი განვაცხადე ჩემი კანდიდატურის განხილვაზე და მწვანე შუქი ავუნთე ბატონ ვახტანგ ყოლბაიას, რომლის კანდიდატურა ასევე გააჟღერა პრეზიდენტმა ზ. გამსახურდიამ: **„მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე შეარჩიეთ ყოლბაიასა და მესხიას შორის“** – თქვა მან.

გადიოდა დღეები, მაგრამ ეს საკითხი არ დგებოდა დღის წესრიგში და იგი არ იხილებოდა არც ქართულ დეპუტატთა ფრაქციაზე და არც უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებზე. მართალია, გრძელდებოდა მავანთა კულუარული აქტიურობა, მაგრამ ხმამაღლა ამაზე არავინ ამბობდა. ამიტომ ფრაქციაში განვაცხადე: **„როგორც ჩანს, მე ვუშლი ხელს საქმეს, ვიხსნი ჩემს კანდიდატურას მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე და ვიფიქროთ ერთად იმაზე, თუ ვინ წარვადგინოთ. მინისტრთა საბჭოში სრული განუკითხაობაა და აჩქარება გვმართებს“** -მეთქი. პასუხად სრულ სიჩუმეს წავაწყდი. ვხვდებოდი, ერიდებოდათ ჩემი, ამიტომ დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ დეპუტაციაში ისევე ხმამაღლა გამოვთქვი ჩემი მოსაზრება, მაგრამ ისევ – სამარისებური სიჩუმე. ვერ მოინახა დეპუტატთა შორის ერთი კაციც კი, რომელიც იტყოდა: **„ბატონო ნაპო, მართალი ხართ, თქვენი კანდიდატურა, როგორც ექიმის, მართლა გვიშლის ხელს“.** კარგად მესმოდა, ბევრს ვერც წარმოედგინა ექიმი მთავრობის ხელმძღვანელად, არც იმას გამოვრიცხავ, რომ ბევრს არ უნდოდა ჩემი, როგორც სპეციალისტის დაკარგვა, მაგრამ ამის მთქმელიც ვერ აღმოჩნდა დეპუტაციაში!...

არ ვაპირებ თავის მართლებას, ეს, როგორც ხედავთ, სრულებითაც არ მჭირდება! არც იმაზე ვისაუბრებ (თუმცა ვთქვი უკვე), რომ ექიმი ისეთივე წევრია საზოგადოების, როგორც ნებისმიერი სხვა სპეციალობის წარმომადგენელი და მას, როგორც საზოგადოების ნებისმიერ წევრს, გააჩნია კონსტიტუციური უფლება იყოს არჩეული ნებისმიერ თანამდებობაზე. მიუხედავად ამისა, მე ყოველ ნაბიჯზე ვამბობდი უარს ჩემს კანდიდატურაზე და აფხაზურ მხარესთან ვმუშაობდი სხვების (ო. ზუხბაიას, ვ.ყოლბაიას ან რ. სიჭინავას) კანდიდატურაზე.

აქ უადგილო არ იქნება, თუ გავიხსენებთ თუნდაც იმ ფაქტს, როდესაც არ მივიღე მონაწილეობა შიდაფრაქციულ ფარულ კენჭისყრაში, რომელსაც უნდა დაესახელებინა პიროვნება, რომლის კანდიდატურა იქნებოდა წარდგენილი ქართული მხარის მიერ მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობაზე. მაშინ ყველას გასაგონად, ვთხოვე თ. ნადარეიშვილს, არ დაეყენებინა ჩემი კანდიდატურა კენჭისყრაზე. მან უგულველჰყო ჩემი თხოვნა, და მაინც გაჟღერდა ჩემი გვარი სხვა კანდიდატებს (ო. ზუხბაიას, ვ. ყოლბაიას, გ. ლომინაძეს, რ. სიჭინავას და მ. გობეჩიას) შორის. მაშინ, პროტესტის ნიშნად, დავტოვე კაბინეტი, სადაც ეს პროცედურა მიმდინარეობდა, და მონაწილეობა არ მივიღე მასში. მიუხედავად ამისა, პირველსავე ტურში გაუმარჯვია ჩემს კანდიდატურას, მაგრამ კენჭისყრის შედეგები ნადარეიშვილს გამოუკეტავს საკუთარ სეიფში და პრეზიდიუმში არ გადაუგზავნია.

შემდგომ იყო შეკამათება მასსა და ვ.არძინბას შორის სესიაზე, დია ეთერში და ჩვენს მიერ უმაღლესი საბჭოს დემონსტრაციულად დატოვება და არალეგიტიმური, პარალელური პარლამენტის ჩამოყალიბება, რაც სამართებლივად დანაშაული და პირდაპირი გამოწვევა იყო. მე ვტოვებ კოლეგებს და მთლიანად ვუბრუნდები საკუთარ პროფესიულ საქმიანობას. ამ დროს ნადარეიშვილის თხოვნით, ავდივარ „გოსდაჩაზე“ და ჩვენს შორის იმართება კონფედენციალური საუბარი. **„შალვოვიჩ, თქვენ უნდა წახვიდეთ ჩემს თანამდებობაზე, არძინბას პირველ მოადგილედ, მე კი მთავრობაში გადავალ“.** ჩემი პასუხი იყო: **„ბატონო თამაზ, ორივე თანამდებობა შენ გქონდეს, მე მოვიხსენი ჩემი კანდიდატურა იმის გამო, რომ არ ვიყავი საამისოდ შინაგანად მზად, ვარ ექიმი, მსგავს თანამდებობებზე არ მიმუშავია და, ამდენად, მე ეს არ მჭირდება. ვიმეორებ, ორივე თანამდებობა შენთვის დამითმია, მე ქუჩაში დავდგები, ქუჩასაც დავგვი, ოღონდ ტანკები არ შემომიყვანო აფხაზეთში!“**-მეთქი და ამ სიტყვებით ვტოვებ მას. ამ დროს ის მეუბნება: **„ხვალ უნდა შედგეს შემთანხმებელი კომისიის სხდომა, გთხოვ, წაიყვანე შენი გუნდი და მიიღე მასში მონაწილეობა, ეს მაინც გამიკეთე, გთხოვ!“** – თქვა მან და მეც დავთანხმდი.

ᲜᲐᲞᲝ ᲛᲔᲡᲮᲘᲐ,
ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

რომან ფიფია: ეს სიძულვილის კედელი უნდა დაინგრეს!..

უკანასკნელ ტურში **"ტორპედოსა"** და **"დინამოს"** მატჩის დროს მომხდარი ინციდენტიც და ამ ჩაშლილი შეხვედრის შემდეგ განვითარებული მოვლენები კვლავაც დიდხანს იქნება განსჯის საგანი. სკანდალურად ჩაშლილი მატჩი კვლავაც აქტუალურ თემად რჩება ქართულ საფეხბურთო სამყაროში. ასევე აქტუალურად მივიჩნიეთ ერთ-ერთი მხარის პოზიცია და ამჟამად უცხოეთში მყოფ **"დინამოს"** პრეზიდენტს, რომან ფიფიას დავუკავშირდით...

– ვიდრე ამ სკანდალურ მატჩთან დაკავშირებით თქვენს პოზიციას მოვისმენდეთ, გკითხავთ, შესაძლებელი იყო თუ არა მომხდარის თავიდან აცილება?

– რასაკვირველია. რაც მოხდა, იმის თავიდან აცილება შესაძლებელიც იყო და აუცილებელიც. ამაზე ორი აზრი არ არსებობს.

– მათთან ამ თემაზე საუბარი არ მქონია. კლუბში ვიცოდით ფანებს შორის დაძაბული ურთიერთობის შესახებ და საფრთხის თავიდან აცილების მიზნით მობილიზებული იყო კიდეც სამხარეო პოლიციის ძალები. დანარჩენი მასპინძელი გუნდის ხელმძღვანელობის საქმე იყო, რომ არ დაეშვათ ის ბაკქანალია. მოედანზე შესასვლელი კარი გაიღო, **"ციხე"** შიგნიდან გატყდა. პოლიცია მობილიზებული იყო, სხვაგვარად სამშვიდობოს ვერც გამოვიდოდით.

– "ტორპედოს" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მატჩამდე გააფრთხილეს "დინამოს" უსაფრთხოების სამსახურის უფროსი და მოსალოდნელი საფრთხის აცილების მიზნით სთხოვეს, თბილისიდან ფანები "დინამოს" არ წამოეყვანა. იყავით თუ არა ამის შესახებ საქმის კურსში?

– შეხვედრამდე ერთი დღით ადრე მასპინძელი გუნდის წარმომადგენლის მხრიდან იყო ერთი ზარი მოსალოდნელი დაპირისპირების ალბათობის შესახებ და წინადადებაც, იქნებ ფანები არ ჩაგვეყვანა.

თუ სტადიონი დისკვალიფიცირებულია და მატჩი მაყურებლის გარეშე ტარდება, **"დინამოს"** ფანების არყოფნაც გასაგებია; მაგრამ ქუთაისის სტადიონს არ ჰქონდა დისკვალიფიკაცია და ფეხბურთი ხომ გულშემატკივრებისთვის არსებობს. ცალკე ფეხბურთელი და ცალკე ფანი არ არსებობს. ვერავის ავუკრძალავთ **"დინამოს"** გულშემატკივრობას და ვერც ქუთაისში ჩასვლას ავუკრძალავდით. თუ კლუბის მიერ ორგანიზებულად არა, ისინი მაინც ჩავიდოდნენ ქუთაისში და, ასეთ შემთხვევაში, მერწმუნეთ, სავსებით შესაძლებელი იყო, საბედისწერო შედეგი მიგვეღო. ჩემი აზრით, ეს არ იყო იმის გაგრძელება. საერთოდ, ჩვენი ფანები, როგორც წესი, არ ტოვებენ ტრიბუნებზე მათთვის გამოყოფილ ადგილს თბილისშიც, ქუთაისშიც და სხვა ქალაქებშიც და ყველგან თავიანთი გუნდის ქომაგობით არიან დაკავებულნი. ისინი თავმოყვარე და ღირსეული ბიჭები არიან. მათ საკუთარი გუნდის ფანატიკური სიყვარული აერთიანებთ და არა მოწინააღმდეგისადმი ზიზღი და სიძულვილი.

– ქუთაისში მომხდარ ფაქტს ზოგი პროვოკაციად აფასებს; ზოგი მიიჩნევს, რომ ყველაფერი იმის გამო მოხდა, რომ დაუსჯელობის სინდრომი არსებობს. ამასთან დაკავშირებით, თქვენ რას ფიქრობთ?

– ჩემი აზრით, 2:0 მასპინძელთა სასარგებლოდ რომ ყოფილიყო, რაც მოხდა, ის არ მოხდებოდა. ქუთაისელი გულშემატკივარი განსაკუთრებულად მომთხოვნია, რაც არ არის გასაკვირი. **"ტორპედო"** გამორჩეული ქართული კლუბია დიდი ისტორიით და მდიდარი წარსულით. წარუმატებლობას ქომაგი ყოველთვის მტკივნეულად განიცდის, რითიც რამდენიმე ვაიგულშემატკივარმა ისარგებლა...

– აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებამ: ზოგს მიაჩნია, რომ "ტორპედო" მკაცრად დაისაჯა, ზოგის აზრით კი, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, სასჯელი უფრო მკაცრი უნდა ყოფილიყო. აქვე, "დინამოზე" დაკისრებულ ჯარიმაზეც გვაინტერესებს თქვენი აზრი.

– ვინმეს დასჯა ჩვენი თვითმიზანი არ არის. მიგვაჩნია, რომ ფინანსური ჯარიმები საკეთილდღეოდ არაფერს შეცვლის და გუნდის მდგომარეობას დაამძიმებს. ცუდი სიტუაცია კი არავის გვაწყობს. მაგრამ გარკვეული სანქციები, მაგალითად, სტადიონის დისკვალიფიკაცია, აუცილებელია.

შესაძლოა, შედარებით მცირე ფინანსური ჯარიმა და უფრო დიდი ვადით სტადიონის დისკვალიფიკაცია უფრო მართებული ყოფილიყო. ცალსახად რთული სათქმელია.

ჩვენზე დაკისრებულ ჯარიმას რაც შეეხება, ალბათ, ჩვენც დავაშავეთ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი იმ სკამებით ქვებისგან თავის დაცვას ცდილობდა.

– სადისციპლინო კოდექსში არის სპეციალური მუხლი, რომლის მიხედვითაც, "მაყურებლების მიერ მიუღებელი ლექსიკისა და შეურაცხმყოფელი გამონათქვამების სკანდირება" შესაბამისი სასჯელით – 1.000 ლარით ისჯება, თუ იგივე სხვა მატჩშიც მოხდა – 2.000 ლარით. როგორ ფიქრობთ, ეს სასჯელი ადეკვატურია?

– ყველაზე მიუღებელი სწორედ ის გახლავთ, სტადიონზე ქართველები ქართველს რომ აგინებენ. ტრიბუნებიდან გინების ერთხმად სკანდირება ყველაზე ამაზრზენია. აუცილებლად დავაყენებ აღმასკომზე შესაბამისი სასჯელის გამკაცრების საკითხს. ჩემი აზრით, მსგავს შემთხვევებში ჯარიმა ჯერ 10.000 ლარი, განმეორებით შემთხვევაში 20.000 ლარი უნდა იყოს, შემდეგ კი საშინაო მატჩის უმაყურებლოდ ჩატარება უნდა მოხდეს. ამ სენს როგორმე უნდა ვძლიოთ.

– ისევ ქუთაისში ჩაშლილ მატჩს დავუბრუნდეთ, სადაც თქვენ ასეთი რამ ბრძანეთ: "სამომავლოდ, სანამ არ დავრწმუნდებით, რომ სიტუაცია ნორმალურია, "დინამო" ქუთაისში სათამაშოდ არ ჩავა". ეს ცხელ გულზე ნათქვამია თუ დღესაც ასე ფიქრობთ?

– ნამდვილად, ეს ცხელ გულზე იყო ნათქვამი, მაგრამ მაშინაც და ახლაც ასე ვფიქრობ. იმ დღეს, ღმერთის წყალობით, უბედურებას გადავრჩით. სანამ ასი პროცენტით არ ვიქნები დარწმუნებული უსაფრთხოების მხრივ, მსგავსი რისკის საკუთარ თავზე აღებას მოვერიდები.

ალბათ, ფეხბურთის ფედერაციამაც უნდა აიღოს თავისი წილი პასუხისმგებლობა, ვინაიდან ჩემპიონატს ის ატარებს. ბოლო ტურის შეხვედრაში გორშიც მოხდა გარკვეული ინციდენტი. ფედერაციის ის წარმომადგენლები, რომელთა ფუნქციებშიც შედის ეს საკითხები, მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ საქმეს. სადაც სათანადო ყურადღება არ ექცევა უსაფრთხოების ზომების დაცვას, მატჩები არ უნდა ჩატარდეს.

– როგორ წარმოგიდგენიათ "ტორპედო"-"დინამოს" სამომავლო ურთიერთობა?

– ჩვენ პრობლემა არ გვაქვს **"ტორპედოსთან"**. აუცილებლად მინდა ვთქვა და დიდი მადლობა ვუთხრა **"ტორპედოს"** იმ ფეხბურთელებს, რომლებიც იმ რთულ ვითარებაში დინამოელების დაცვას ცდილობდნენ. გვერდიდან ეს ყველაფერი ძალიან კარგად ჩანდა.

დღესდღეობით, **"ტორპედო"-"დინამოს"** შეხვედრა ქუთაისში, ვეჭვობ, რომ ნორმალურ ვითარებაში ჩატარდეს. სამომავლოდ კი, ვიმედოვნებ, ყველაფერი დალაგდება. მე, როგორც **"დინამოს"** წარმომადგენელმა (მჯერა, რომ ჩვენი ფანკლუბის წევრებიც მხარს დამიჭერენ) და **"ტორპედოს"** მხრიდანაც პასუხისმგებელმა პირმა (რომელსაც ადგილობრივი გულშემატკივრების მხარდაჭერა ექნება), ერთად უნდა შევძლოთ ამ მდგომარეობიდან გამოსავლის მოძებნა.

საქართველოს ორი ყველაზე ტიტულოვანი გუნდის ფანკლუბებს შორის ასეთი სახის დაპირისპირება უნდა დასრულდეს. ეს სიძულვილის კედელი უნდა დაინგრეს. დარწმუნებული ვარ: თუ მონდომება ორივე მხრიდან იქნება, ჩვენ ამის ძალა შეგვწევს.

გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 599.573.322



უკრაინის გენპროკურორი – სნაიპერები, რომლებიც მომიტინგეებს ესროდნენ, უკრაინის მოქალაქეები არიან

უკრაინის გენპროკურატურამ იმ სნაიპერების ვინაობა დაადგინა, რომლებიც ევრომაიდანის აქტივისტებს ესროდნენ. ამის შესახებ უკრაინის გენერალურმა პროკურორმა, ოლეგ მახნიცკიმ განაცხადა.

"სნაიპერების ვინაობა დადგენილია, თუმცა მათი ვინაობის დასახელება არ შემიძლია", – განაცხადა მახნიცკიმ და აქვე აღნიშნა, რომ ყველა ამოცნობილი პირი უკრაინის მოქალაქეა.

როგორც ცნობილია, 20 თებერვალს, ჟურნალისტებმა კიევის ცენტრში მყოფ შეირაღებულ პირებს, რომლებიც მომიტინგეების მისამართით ისროდნენ, ფოტოები გადაუღეს. სნაიპერები ამ დღეს მინისტრთა კაბინეტის შენობასთან, სასტუმრო **"უკრაინასთან"**, ინსტიტუტსკის და ბანკოვსკის ქუჩებზე იმყოფებოდნენ. მხოლოდ ამ დღეს კიევში 39 ადამიანი დაიღუპა. სულ კი ქვეყანაში არეულობებს 103 ადამიანი ემსხვერპლა.

ელ. ქვესადგური „ხორგას“ მშენებლობის განხილვა ხობში

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდნენ, სს **„საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“** წარმომადგენლები, სადაც 220/110 კვ ქვესადგური **„ხორგას“** მშენებლობლობის გარემოზე, ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის ოფიციალური განხილვა მოეწყო.

სააქციო სსაზოგადოება **„საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“** (სსე) აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით **„რეგიონალური ელექტროგადაცემის გაუმჯობესების პროექტის“** ფარგლებში ახორციელებს 220/110 კვ **„ხორგას“** ქვესადგურის მშენებლობას, რაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების ნებართვას და გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადებას.

იუმორი

პატარა გოგო დედას ეკითხება:

– დედიკო, მამიკოს რატომ აქვს თავზე ასე ცოტა თმა?

– იმიტომ, რომ ბევრს ფიქრობს.

– შენ რომ ბევრი გაქვს?

– გაჩუმდი და ჭამე, – უწყრება დედა.

* * *

ვინ იცის რა განსხვავებაა სომეხს და აკუმულატორს შორის?

– აკუმულატორს ერთი პლიუსი მაინც აქვს!

* * *

ბაბუა უყვება შვილიშვილს:

– ომის დროს გერმანელებმა ტყვედ შეგვიპყრეს და გვითხრეს: აირჩიეთ, ან მოგკლავთ ან გაგაუპატიურებთო.

– მერე, შენ რა გიქნეს ბაბუ? – ეკითხება შვილიშვილი.

– მე მომკლეს ბაბუ! – პასუხობს ბაბუა.

* * *

გურული შედის ეკლესიაში და ლოცულობს:

– ღმერთო რომ ხარ ქე ვიცი... რაც მინდა ქე იცი... აბა შენ იცი...

* * *

ცოლ-ქმარი მაღაზიაში შედიან. ქმარი გამყიდველს მიმართავს:

– თუ შეიძლება, აი, ის ძეხვი ამიწონეთ, სამასი გრამი, ძაღლისათვის.

– კი მაგრამ, ჩვენ რომ ძაღლი არ გვყავს? – ეჩურჩულება ცოლი ქმარს.

– სუ! – აჩუმებს ქმარი, – ნუ წკმუტუნებ.

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930
234-32-95
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ძობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირგატია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჯინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge